

JK 1557
2024



శాస్త్రాధికారణమేళా మండలాని

XLV

Linguistic
Papers



არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
Arn. Chikobava Institute of Linguistics

ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება
Besarion Jorbenadze Society

საენათმეცნიერო ძიებანი

XLV

Linguistic
Papers

43058

თბილისი 2024 Tbilisi

საბრძოლო ენათმეცნიერობის
მემკვეთი გამარტინა

„საენათმეცნიერო ძიებანის“

XLV წიგნი თემატურად მრავალფეროვანია. იგი განკუთვნილია ენათმეცნიერთათვის და, საერთოდ, ენის საკითხებით დაინტერესებული პირებისათვის.

„Linguistic Papers“ volume 42 contains thematically diverse works. It is meant for linguists and in general, all persons interested in language issues.

სარედაქციო კოლეგია:

მ. ბერიძე, ქ. გაბუნია, გ. გოგოლაშვილი (მთავარი რედაქტორი), ნ. დარასელია (ინგლისური ნაწილის რედაქტორი), ც. ჯვანიშვილიანი (სწავლული მდივანი), მ. კიკონიშვილი, რ. ლანდია, ნ. ლომლაძე (მთ. რედაქტორის მოადგილე), თ. ლომლაძე, ნ. ჭუმბურიძე, ნ. ჯორბენაძე

EDITORIAL BOARD:

M. Beridze, K. Gabunia, G. Gogolashvili (editor-in-chief), N. Daraselia (editor of the English part), Ts. Kvantaliani (scientific secretary), M. Kikonishvili, R. Landia, N. Loladze (deputy editor-in-chief), T. Lomtadze, Chumburidze, N. Jorbenadze

ზრაზეოლოგიზმის სიტყვებით – „სული, გონება“
ზრაზეოლოგიზმის სიტყვებით – „სული, გონება“

ზრაზეოლოგიზმის სიტყვებით – „სული, გონება“

უკვე წლებია, ჩვენი ყურადღების საგანია ადამიანის სხეულის ნაწილების შესატყვისი სიტყვებით შექმნილი ფრაზეოლოგიზმების კვლევა. ჩვენი კვლევის ჰიპოთეზა შემდეგი: ადამიანის სხეულის ნაწილების შესატყვისი სიტყვებით შედგენილი ფრანგული ფრაზეოლოგიზმები იმავე ლექსიკური ერთეულებით შეიძლება ითარგმნოს ქართულად, მიუხედავად ქართული ენის სტრუქტურული განსხვავებისა ფრანგულთან შედარებით. ჩვენმა წინა კვლევებმა სიტყვებით გული, ჸავი, გვიჩვენა, რომ ლექსიკური თვალსაზრისით ფრანგული ფრაზეოლოგიზმები მსგავსია მათი ქართულენოვანი ეკვივალენტების, მათ შორის სხვაობა მხოლოდ გრამატიკულია.

ამჯერად, ჩვენი კვლევის საგანია სიტყვა სული/გონება-ს შემცველი ფრანგული ფრაზეოლოგიზმები და მათი ქართული შესატყვისები. ამ მიზნით ჩვენ შევისწავლეთ სიტყვებით სული/გონება შედგენილი გავრცელებული ფრაზეოლოგიზმები ფრანგულ და ქართულ ენებში, რისთვისაც გამოვიყენეთ შედარებითი და დესკრიპციული ანალიზები.

მთარგმნელი სამუშაო პროცესში აწყდება ძირითადად იმ სირთულეს, რასაც სიტყვის პოლისემია ქმნის. შედეგად, სამიზნე ენაზე არასწორად შეიძლება იქნას გადატანილი წყარო ენაში არსებული სიტყვა თუ ფრაზეოლოგიზმი. მაგალითისთვის ავიღოთ ფრანგული სიტყვა esprit, რომელიც ნიშნავს სულს და გონებას. ამგვარად, ჩვენ მივადექით ფრაზეოლოგიზმებს, რომელთა მთავარი სიტყვა არის esprit, რომლის მნიშვნელობაც განუყოფელია ადამიანის სხეულისაგან, ფილოსოფიური გაგებით. კერძოდ კი, რენე დეკარტი აღიარებდა გონების განუყოფლობას სხეულისაგან, რის შესახებაც ის სწერდა



პალატინელ პრინცესა ელიზაბეტს, რომელმაც მას კითხვაზე დაუსცვია სხეულისა და გონების განუყოფლობაზე.

ამ სიტყვის მნიშვნელობათა დასაზუსტებლად გამოვიყენეთ ფრანგული ლექსიკონები: ობერი, ლარუსი, ლიტრე, აშეტი.

ლინგვისტიკასა და ანთროპოლოგიაში, სეპირ-ვორფის ჰიპოთეზის მიხედვით, მენტალური წარმოსახვები დამოკიდებულია ლინგვისტურ კატეგორიებზე. სხვანაირად რომ ვთქვათ, სამყაროს აღქმა ენაზეა დამოკიდებული. კულტურული რელატივიზმისა და ლინგვისტური დეტერმინიზმის ფორმა განავითარა ამერიკელმა ანთროპოლოგმა ედვარდ სეპირმა, მის შემდეგ ვი ბენჯამინ ლი ვორფმა. მართალია, სეპირ ვორფის თეზისის რადიკალური ფორმა უარყოფილი იქნა, ეს იდეა მაინც აღზევდა XX საუკუნის ბოლოს, ექსპერიმენტულ კვლევათა შედეგად, რამაც გვიჩვენა, რომ ენას აქვს გავლენა, ზოგჯერ სუსტი, ზოგჯერ ძლიერი სივრცის, დროის და ემოციების აღქმასა და წარმოსახვაზე.

სეპირ-ვორფის ჰიპოთეზას გაეწია ანგარიში, როცა დადასტურდა, რომ ენათა მიერ სამყაროს აღქმა მრავალფეროვანია, რაც ლინგვისტიკაში პირველად ჰუმბოლდტმა აღიარა. ეს არის პრობლემა, რომელიც უშუალოდ ეხება მთარგმნელებს. მაშასადამე, სამყაროს გამოხატვა მრავალგვარია ენების მიხედვით. აქედან გამომდინარეობს სწორედ განსხვავება ფრაზეოლოგიზმებს შორის, რომლებიც სხვადასხვა ლინგვისტურ ჯგუფებს ეკუთვნიან. ზემოხსენებული ლექსიკონების მიხედვით ამ სიტყვის მნიშვნელობებია:

I: სული

1. âme სული Souffle de Dieu ღვთიური სული ;
2. Saint-Esprit ou Esprit saint სული წმინდა
3. L'opération du Saint-Esprit სული წმინდის ქმედებით
4. Dieu est un pur esprit ღმერთი არის წმინდა სული
5. L'esprit du mal ბოროტი სული, დემონი;
6. Âme d'un mort მიცვალებულის სული;
7. Avoir bon, mauvais esprit კეთილი სული, ბოროტი სული;
8. l'esprit et la matière სული და მატერია.

II. გონება

1. Avoir l'esprit ailleurs : être distrait. გონებით სხვაგან ყოფნა,
2. En esprit : par la pensée. გონებაში,

3. Perdre l'esprit : devenir fou. გონების დაკარგვა,
 4. Reprendre ses esprits გონზე მოსვლა, გონების მოკრეფა;
 5. გადატ. მნიშვნელობით: ადამიანი. Un esprit romanesque რომანტიკოსი; Calmer les esprits ადამიანების დაცხომა,
 6. Avoir l'esprit étroit ვიწრო ჭკუის, შეზღუდული გონების ქონა,
 7. Avoir l'esprit mal tourné უკუღმართი გონების ქონა,
 8. Une idée me vient à l'esprit გონებაში აზრი მომივიდა,
 9. Cela m'est sorti de **l'esprit** ამომივარდა თავიდან cela m'est sorti de la **tête**,
 10. avoir l'esprit lent ზანტად აზროვნება გვიან მოფიქრება,
 11. avoir le cerveau, l'esprit dérangé არეული ტვინის ქონა
 12. avoir le cerveau, l'esprit détraqué – idem არეული ტვინის ქონა,
 13. avoir l'esprit mal tourné უკუღმართი აზროვნების, ცუდად მოწყობილი ტვინი,
 14. cerveau, esprit embrumé ამღვრეული ტვინი, დაბინდული ტვინი,
- esprit critique კრიტიკული გონება.

აღსანიშნავია, რომ ქართულში ფრაზეოლოგიზმები, რომელთა მთავარი სიტყვა გონება, გამოხატულია იმავე მთავარი სიტყვით -გონება, ან თავით, ან ტვინით, სიტყვები, რომლებიც სემანტიკურად მონათესავეა.

III გუნება, განწყობა, ხასიათი

1. L'esprit et le corps გუნება (ფსიქიკა) და სხეული/ხორცი;
2. Avoir l'esprit à რაიმეს ხასიათზე ყოფნა,
3. être d'humeur à; გუნებაზე ყოფნა; Je n'ai pas l'esprit au jeu/ l'esprit à m'amuser თამაშის/გართობის ხასიათზე არ ყოფნა,

IV სპირტი

Esprit-de-vin : alcool éthylique. ღვინის სპირტი; სიტყვა სპირტს იგივე ფუძე აქვს, რაც spirituel-ს /სულიერს, ანუ ეს სიტყვაც სულთან არის დაკავშირებული.

V არსი

«L'Esprit des lois» (de Montesquieu). კანონთა არსი; Esprit de vie, esprit vital : არსი, ცხოვრების არსი;



როგორც ვნახეთ, esprit არის პოლისემიური სიტყვა **დაზურულის მიერ გამომდინარე**, როცა ის წარმოადგენს ფრაზეოლოგიზმის მთავარ სიტყვას, მისი მნიშვნელობის დასაზუსტებლად უნდა მივმართოთ კონტექსტს და ზოგჯერ ფართო კონტექსტსაც. მაგალითისთვის ავიღოთ – გამოთქმა «*Un Esprit saint dans un corps sain*» რომელიც ლათინურად ჟღერს ასე – «*Mens sana in corpore sano*» ხოლო ქართულად „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია“. გავიხსენოთ ამ გამოთქმის წარმომავლობა. ის ანტიკური ხანიდან მოდის. ქრისტემდე IV საუკუნეში, ჰიპოკრატე, ბერძენი ექიმი და ფილოსოფოსი, წერდა: „ადამიანმა უნდა მიაღწიოს სხეულისა და სულის ჰარმონიას“. მაგრამ გამოთქმა „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია – ***Mens sana in corpore sano***“ ეკუთვნის იუვენალს, ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის რომაელ პოეტს. მისი პოეტური შემოქმედების მეათე სატირაში, რომელიც მან 90-127 წლებში დაწერა, ვკითხულობთ: «*eux-tu voir (les dieux) sourire et céder à tes vœux? Demande un esprit sain dans un corps sain: Une âme que jamais aucun trouble n'agite (...)*»

გსურს რომ ღმერთებმა აგიხდინონ ყველა სურვილი?

მაში მოითხოვე ჯანსაღი სული ჯანსაღ სხეულში,

სული, რომელსაც ვერაფერი ვერ შეაშფოთებს“. თავის ლექსებში იუვენალი დასცინის თანამედროვეებს, რომლებიც ღმერთებს თავშეუკავებლად სთხოვდნენ ყველაფერს. თავისი სატირით ის ურჩევს თანამედროვეებს ლოცვებით ფიზიკურ და მენტალურ სიჯანსაღეზე მიმართონ მთელი ყურადღება. იუვენალის შეგონება ასე გამოიყერება: ყველაზე დიდი განძი არის ჯანმრთელი სხეული, დაკავშირებული გაწონასწორებულ სულთან.

დღეს ეს გამოთქმა ფართოდ გამოიყენება სპორტულ კონტექსტში, რითაც ხაზი ესმება თეორიას, რომლის მიხედვითაც ფიზიკური ვარჯიში მნიშვნელოვანი ელემენტია ადამიანის ფიზიკური და მენტალური კარგად ყოფნისთვის.

სიტყვა „esprit“-ით შედგენილი ფრაზეოლოგიზმების ფრანგულ-ქართულმა კონტრასტულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ

1. ამ სიტყვის რელიგიურ მნიშვნელობაზე დაყრდნობით წარმოებულ ფრანგულ ფრაზეოლოგიზმებს აქვთ ზუსტი შესატყვისები ქართულ ენაში;



2. ხოლო, როცა ფრაზეოლოგიზმები შედგენილია სიტყვას და მიმღების მიზანით „esprit“-ის მეორე მნიშვნელობით, რაც ნიშნავს გონიერას, ჭკუას, ინტელექტს, მაშინაც იძებნება ზუსტი ქართული ანალოგები ლექსიკური თვალსაზრისით;

3. როცა ეს სიტყვა ფრანგულად ნიშნავს განზრახვას, ქართულად ის სხვა ლექსემით გადმოიცემა; მაგ. Il a parlé dans un esprit d'apaisement მან ისაუბრა სხვების დამშვიდების განზრახვით; Esprit de révolte რევოლუციის განზრახვა.

სამყაროს აღქმები ცვალებადია სხვადასხვა ენის მიხედვით, რაც მათი სხვადასხვა ლინგვისტური სისტემებიდან გამომდინარეობს. სწორედ ამიტომაა არსებული გრამატიკულ-სტრუქტურული თავისებურებანი ფრანგული ფრაზეოლოგიზმების ქართულენოვან ეკვივალენტებში; ქართული ენა ეკუთვნის იბერიულ-კავკასიურ ენათა ჯგუფს, ხოლო ფრანგული რომანულ ენათა ოჯახს, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ორ ენას შორის დიდი სისტემური სხვაობაა. მიუხედავად ამისა, ჩვენი წინა კვლევები ფრაზეოლოგიზმებისა, რომლებიც წარმოდგენილები იყო ადამიანის სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი სიტყვებით, ადასტურებს, რომ ლექსიკური თვალსაზრისით, ასეთი ფრაზეოლოგიზმების შესაბამისი ქართული ფრაზეოლოგიზმები იდენტურია და მათ შორის სხვაობა მხოლოდ გრამატიკულია, რაც ზემოთ აღნიშნული ენის სისტემური თავისებურებით აიხსნება.

ამასვე ადასტურებს ჩვენი ამჟამინდელი კვლევა ფრაზეოლოგიზმებისა, რომლებიც შედგენილია პოლისემიური სიტყვის – esprit-ის მეშვეობით.

ენის ცოდნა ნიშნავს იმ კულტურის ცოდნას, რომლის წიაღშიც ეს ენა არსებობს; ენის დონეზე ეს გამოიხატება ფრაზეოლოგიური გამოთქმების-ფრაზეოლოგიზმების ცოდნით. ამიტომაა, რომ უცხო ენის შესწავლისას, კერძოდ კი ფრაზეოლოგიზმების გაგება-დამახსოვრების დროს იქმნება სირთულეები. ფრაზეოლოგიზმები ენობრივთან ერთად კულტურულ ფაქტებად უნდა მივიჩნიოთ. აქედან გამომდინარე, ადვილი წარმოსადგენია, რომ მონათესავე კულტურები ანალოგიურ ფრაზეოლოგიურ გამოთქმებს იყენებდნენ, რისი საფუძველიც არის უდავოდ იდენტური წარმოსახვები და იდენტური მეტაფორული აზროვნება. ეს მოსაზრება ნათლად დადასტურდა ჩვენ მიერ ჩატარებულ კვლევებში, როცა ერთმანეთს შევუპირისპი-



რეთ ადამიანის სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი სიტყვებით შეუძლია დგენილი ფრაზეოლოგიზმები ფრანგულ, ესპანურ და იტალიურ ენებში.

იმედია, ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები სასარგებლო იქნება სრულიად ახალი ისეთი დარგებისათვის, როგორებიცაა ფრაზეოლიდაქტიკა და ფრაზეოთარგმანი. ამავე დროს, ამ შედეგების გამოყენება შესაძლებელია ფრანგული ენის კურსის სწავლებისას ქართულენოვან ფრანგულის შემსწავლელებთან. ეს მონაცემები გამოსადეგია ასევე მთარგმნელთათვის და ასევე ფრანგულ-ქართულ კონტრასტულ ლინგვისტიკაში მომუშავეთათვის.

ლიტერატურა

Didier Houzel le corps et l'esprit : quelles relations ? in journal de la psychanalyse de l'enfant 2012,1, vol2, P25.

Laureanda Viola d'Angelo n° matr.1157182 / LMLCC Phraséologie contrastive français/italien. Axiologie des relations humaines: le désaccord. Anno Accademico 2017 / 2018

Colson, Jean-Pierre. 1995. Quelques remarques sur l'enseignement de la phraséologie aux futurs traducteurs et interprètes. *Le Langage et l'Homme*, XXX, 2–3. 147–156

González Rey, Isabel. 2010. La phraséodidactique en action: les expressions figées comme objet d'enseignement. *La Culture de l'autre: l'enseignement des langues à l'Université – Actes*. http://cle.ens-lyon.fr/50293376/0/fiche_article/ (accessed 25.01.2011). González Rey, Isabel (ed.). 2014. Outils et méthodes d'apprentissage en phraséodidactique. Fernelmont: EME & InterCommunications.

Mejri, Salah. 2009. Figement, défigement et traduction. Problématique théorique. In P. Mogorrón Huerta, S. Mejri (eds.), *Figement, défigement et traduction*. Universidad de Alicante. 153–163. Mejri, Salah. 2011. Phraséologie et traduction des textes spécialisés Alicante: Universidad de Alicante. 125–137. <http://192.168.170.5/pmb/catalog.php> (accessed 20.10.2011). Mel'čuk, Igor. 1993. La phraséologie est son rôle



dans l'enseignement / apprentissage d'une langue étrangère. Études de Linguistique Appliquée, 92. 82–113

Sułkowska, Monika. 2013. De la phraséologie à la phraséodidactique. Études théoriques et pratique. Katowice: Wydawnictwo UŚ.

Xatara, Claudia Maria. 2002. La traduction phraséologique. Meta: journal des traducteurs, 47, 3. 441–444.

SYBILA GUELADZE

A Contrastive Study of French and Georgian Phraseologisms

Involving the Lexical Items for *Soul* and *Mind*

Summary

This study presents a descriptive and contrastive analyses of French and Georgian phraseological units with the lexical items for *soul* and *mind*. As is known, the mental map of the world reflected in different languages varies from culture to culture. This is particularly so in the case of genetically different languages. The main difficulty that arose in the process of investigation was the polysemy of the French lexical item *esprit* which denotes *soul*, *mind* and *intention*.

The contrastive analysis of the French and Georgian data has revealed the following: the French phraseological units with the word *esprit* bearing a religious meaning have exact matches in the Georgian language. The same can be said about the French phrasemes involving *esprit* with the meaning of *mind*, *wit*, *intelligence*. However, when *esprit* denotes *intention* in the French phraseologisms, the corresponding meaning is conveyed by some other lexemes in Georgian.

ანა გელოვანი
რაზღვიშვილ კონცეპტუალური მეტაფორა
საბუნების მეტყველების და გამოიყენების მათ დარღვევაში

რაზღვიშვილ კონცეპტუალური მეტაფორა საბუნების მეტყველების და გამოიყენების მათ დარღვევაში

წინამდებარე ნაშრომის მიზანია გამოვლინოს და შეისწავლოს კონცეპტუალური მეტაფორები ინგლისურენოვან საბუნების მეტყველო დისკურსში. ანალიზის შედეგად დაადგინოს ამ მეტაფორების ფუნქცია სამეცნიერო ტექსტებში და ხაზი გაუსვას მათ ღირებულებას.

ნაშრომის თეორიულ საფუძველს ქმნის კონცეპტუალური მეტაფორის თეორია (ლეიკოფი, ჯონსონი, 1980; ლეიკოფი, 1993). ემპირიულ მასალად გამოყენებულ იქნა ბუნების მეტყველების სხვადასხვა დარღვები – ბიოლოგია (ჯერალდი, 2015), ფიზიკა (პიკოვერი, 2011), ქიმია (ლოუეი, 2016) – შესრულებული ნაშრომები, ასევე, სამეცნიერო ენციკლოპედია (რიტნერი & მაქვაბი, 2004) და ლექსიკონი (დაინტისი, მარტინი, 2010).

სპეციალური ლიტერატურისა და ემპირიული მასალის ანალიზმა ცხადყო, რომ სამეცნიერო დისკურსი კოგნიტიური ლინგვისტიკის კუთხით ნაკლებად არის შესწავლილი.

მხატვრული ლიტერატურისა და პროზის შესწავლისას მეტაფორას, როგორც ერთ-ერთ ძირითად მხატვრულ ხერხს, დიდი ყურადღება ეთმობა, რადგან ის ავტორის უნიკალური სტილის, ნიჭის, ენის დახვეწილობისა და მრავალფეროვნების განსახიერებას წარმოადგენს. ტრადიციული ხედვის მიხედვით, მეტაფორა და სამეცნიერო ენა შეუთავსებელი ელემენტებია. დამკვიდრებული წარმოდგენის თანახმად, მეტაფორა, როგორც მეტყველების ორნამენტი, არგვებდება სამეცნიერო დისკურსში (ფინატო, 2009).

რეალური ცვლილება მეტაფორის შესწავლაში გამოიწვია რედის (1979) „მეტაფორა როგორც არხი“ (*The Conduit Metaphor*) ცნების შემოღებამ – რაც მოიაზრებს იმ მეტაფორებს, რომლებიც გამოიყენება სამეცნიერო დისკურსში (ფინატო, 2009).



ბა ენაზე, კომუნიკაციის პროცესზე საუბრისას, და ასევე ლეტერატურული და ჯონსონის (1980) ნაშრომების გამოქვეყნებამ. ამ უკანასკნელთა თეორიის (რომელიც კოგნიტიური, სხვაგვარად კონცეპტუალური მეტაფორის თეორიის (CMT) სახელით არის ცნობილი) მიხედვით, მეტაფორიზაცია კოგნიტიური პროცესია. აზროვნება არსობრივად მეტაფორულია. ეს გაუცნობიერებელი, უნებლივი პროცესია. ყველაზე ჩვეულებრივ, ყოველდღიურ თემებზე საუბრის დროსაც კი, ადამიანები იყენებენ მეტაფორებს. მეტაფორის, როგორც უბრალოდ მხატვრული ხერხის იმიჯი დაიმსხვრა. ვიწრო სფეროდან (ლიტერატურა და ენა) მისი გამოყენების არეალი გაფართოვდა.

ლეიკოფი და ჯონსონი (1980:14; 28) გამოყოფენ სამი ტიპის მეტაფორას: ონტოლოგიურს, სადაც ერთი ცნების გაგება ხდება ობიექტებისა და სუბსტანციების მეშვეობით, მაგალითად: *THE MIND IS A MACHINE* (გონება არის მანქანა); ორიენტაციულს – ცნებათა მთელი სისტემები ერთმანეთთან მიმართების შედეგად იქმნება – *HAPPY IS UP* (ბედნიერება არის მაღლა); და სტრუქტურულს – ერთი ცნება მეტაფორულად სტრუქტურირებულია მეორის საშუალებით – *TIME IS MONEY* (დრო არის ფული). ისინი ასევე ასახელებენ პერსონიფიკაციას/გაპიროვნებას ონტოლოგიური მეტაფორების ყველაზე ფართოდ გავრცელებულ სახეობად, რომელიც გულისხმობს ფიზიკურ ობიექტს, რომელიც კონკრეტულად ადამიანის სახითაა წარმოჩენილი და მისი რომელიმე კონკრეტული თვისების ანასახს წარმოადგენს.

მეტაფორა განიმარტა როგორც ანასახი (*mapping*) საწყისი სფეროდან სამიზნეზე. მოცემული ფორმულების სახით – *TARGET-DOMAIN IS SOURCE-DOMAIN TARGET-DOMAIN AS SOURCE-DOMAIN* (ლეიკოფი, 1993:206–207) ან უფრო მოკლედ – *A IS B* (ფორსვილი, 2016:246), სადაც A, ანუ პირველი წევრი, ყოველთვის სამიზნე სფეროა, ხოლო B – ყოველთვის საწყისი.

სამეცნიერო სტილი სპეციფიკური თვისებებით ხასიათდება – თხრობის ობიექტურობას, სიზუსტესა და სიმარტივეს მოითხოვს. აქედან გამომდინარე, ხდება ისეთი ლინგვისტური ერთეულების შერჩევა, რომლებიც მინიმუმამდე დაიყვანს თხრობის ბუნდოვანებასა და ორაზროვნებას (ფინატო, 2009). მეტაფორები არსებობს სამეცნიერო დისკურსში, თუმცა ისინი იმდენად მყარად გამჯდარი ლინგვის-



ტური ერთეულებია, რომ მეტაფორებადაც აღარ აღიქმება უკავშირს სტრუ-
ლის ნიშანდობლივი თვისებაა მეტაფორის დემეტაფორიზაცია: ტერმინთა უმრავლესობა თავდაპირველად მეტაფორა იყო. მაგ: მკურნალობის ტაქტიკა, სისხლძარღვთა კედლები, მანქანის ტვინი,
თვალის ბროლი, თვითმფრინავის კუდი, მზის გვირგვინი, ფრთიანი
ფრაზა, მაგნიტური ქარიშხალი, მხატვრული ქსოვილი” (ცეცხლაძე &
ხუხუტაიშვილი, 2014:51).

თუკი სამეცნიერო დისკურსის ტერმინოლოგიას დავაკვირდე-
ბით, აღმოვაჩენთ, რომ მათი უმეტესობა მეტაფორულია (შათელუ-
ორსი, 2017), კერძოდ, ლათინური ან ბერძნული წარმოშობისაა. ამ-
გვარად, სიტყვათქმნადობაში მეტაფორის ხერხს დიდი ხანია მიმარ-
თავენ, რისი ახსნაც თავად ადამიანური მოთხოვნილებებით, აბ-
სტრაქტულის კონკრეტულით, უცნობის ნაცნობის საშუალებით ახ-
სნის საჭიროებაა, საგნებსა თუ მოვლენებს შორის ანალოგიების პოვ-
ნითა და მათი დაკავშირებით მეცნიერები ცდილობენ აქამდე უცნო-
ბი მოვლენები მეტაფორული ასახვის საშუალებით, ნაცნობი სქემების
სახით წარმოადგინონ და მკითხველისთვის მარტივად აღქმადი გა-
ხადონ. ამავე მოსაზრებას ეთანხმებიან დიაიურა და კოლესნიკი
(2013).

ლინგვისტური მეტაფორები უფრო მეტად სახასიათოა. სამეც-
ნიერო სტილისთვის – ამ აზრს ასევე ეთანხმება აბდულჰაიროვა
(2021). ისინი კარგავენ მხატვრულობას, არ აქვთ ემოციურ-შეფასები-
თი კონტაცია და, როგორც წესი, კლიშირებულნი არიან. აზროვნე-
ბის ანთროპოცენტრულობიდან გამომდინარე, ავტორი აგრეთვე
გამოყოფს შემდეგ მიმართებებს: ადამიანი → საგანი: artificial intelligence, wall of the intestine, gall bladder, computer memory, programming language; ობიექტი/object → ობიექტი/object (flow of electrons, nucleus of an atom), ობიექტი/object → აბსტრაქცია/abs-traction (brain blocks, source of attraction (psycho). ტერმინოლოგიური გადატანის
მრავალ მაგალითს ვხვდებით ზოოლოგიაშიც: ადამიანი/man → მწე-
რი/insect (rider (parasitic insect), woodcutter beetle, gravedigger beetle, cardinal butterfly), ცხოველი/animal → მწერი/insect (bear, scoop, filly),
ობიექტი/object → მწერი/insect (dead head butterfly, needle fish, swordfish, hammerhead fish) (აბდულჰაიროვა, 2021:71).



განვიხილოთ რამდენიმე კონცეპტუალური მეტაფორა **საბუნებრი**
ბის მეტყველო დისკუსიაში:

ბიოლოგია და მედიცინა:

მეტაფორა **ვირუსი არის მტერი/VIRUS IS AN ENEMY**

ბიოლოგიასა და მედიცინაში ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო კონცეპტუალური მეტაფორაა **ვირუსი არის მტერი**. აღნიშნული მეტაფორა წარმოადგენს ონტოლოგიური პერსონიფიკაციის ნათელ მაგალითს. დაავადებებთან დაკავშირებული ტერმინები ადამიანური მახასიათებლებით წარმოადგება, რაც ხელს უწყობს პაციენტის, როგორც მსხვერპლის სახით წარმოჩენას (ტემერმანი, 2000).

(1) "West Nile virus had killed 223 people" (რიტნერი & მაქაბი, 2004: 348)

ვირუსი დაავადებას იწვევს, თუმცა გარდა ვირუსებისა, არსებობს რიგი ბაქტერიებისა და მიკროორგანიზმებისა, რომლებიც ასე-ვე იწვევენ სხვადასხვა სახის გართულებებს ადამიანის ორგანიზმში. ეს ზემოხსენებული მეტაფორის განზოგადების საშუალებას გვაძლევს, რის შედეგადაც ვიღებთ ასეთი მეტაფორას – **მიკროორგანიზმი არის მტერი (MICROORGANISM IS AN ENEMY)**.

(2) "...an organism recognizes and *fights invasion of micro-organisms, viruses, and other substances (antigens) that may be harmful to the body*" (რიტნერი & მაქაბი, 2004: 173)

თუმცა რიგ შემთხვევებში ვხვდებით მსგავს მეტაფორასაც: **დაავადება არის მტერი/ DISEASE IS AN ENEMY**. სონტაგი (1990) ამ მეტაფორის სიზუსტეს ეწინააღმდეგება და ამბობს, დაავადება კი არ წარმოადგენს მოწინააღმდეგეს, არამედ მოწინააღმდეგე თავად ის მიკროორგანიზმია, რომელიც დაავადებას იწვევს. თუმცა, როგორც მაგალითებში ვხედავთ, ენობრივ ერთეულებში დაავადება კვლავ აგრძელებს მტრის სახით ფუნქციონირებას:

(1) "...diseases are able to manipulate and pass through the barrier" (რიტნერი & მაქაბი, 2004:43);

(2) "survive disease" (რიტნერი & მაქაბი, 2004:XIII);

(3) "antibiotic... is used to combat disease" (რიტნერი & მაქაბი, 2004:20);



ვირუსი, როგორც უცხო სხეული, იჭრება ორგანიზმში და გარკვეულ, ხანდახან ფატალურ ზიანსაც აყენებს მას. ვირუსის შექრის პროცესი ორგანიზმში, ანალოგის საფუძველზე, გაიგივებულია უცხო დამპყრობლის შექრასთან ქვეყანაში. ეს დასაბამს აძლევს კიდევ ერთ კონცეპტუალურ მეტაფორას – **მკურნალობა არის ბრძოლა/ოზი (TREATMENT IS A BATTLE/WAR)**. ამ ორ მოვლენას (მკურნალობა და ომი) შორის უამრავი მსგავსებიდან გამომდინარე, საბრძოლო პროცესები და ტერმინოლოგია სტრუქტურულად ასახულია მკურნალობის პროცესზე, რის შედეგადაც ვიღებთ სტრუქტურულ კონცეპტუალურ მეტაფორას. სამედიცინო თუ ბიოლოგიურ ტექსტებში მრავალ მაგალითს შევხვდებით:

(1) “*The virus destroys a subgroup of lymphocytes, essential for combating infections, known as the helper T cells, or CD4 lymphocytes, and suppresses the body's immune system, leaving it prone to infection.*” (რიტნერი & მაქაბი, 2004: 7)

(2) “*fight off virus attacks*” (რიტნერი & მაქაბი, 2004:341)

დაავადება წარმოდგენილია უცხო ორგანიზმის შემოსევის სახით, რასაც სხეული პასუხობს საკუთარი სამხედრო ოპერაციებით, როგორიცაა იმუნოლოგიური დაცვის მობილიზება – *mobilizing of immunological "defenses,"*” (სონტაგი, 1990:97). ამგვარად, მედიცინა არის აგრესიული – *medicine is "aggressive,"*” (სონტაგი, 1990:97), რასაც ადასტურებს ის ენობრივი საშუალებანი, რომელთაც ქიმიოთერაპიურზე საუბრისას ვიყენებთ.

(1) “*attack cells... kill cancer cells*” (რიტნერი & მაქაბი, 2004: 210)

(2) “*weakened virus*” (რიტნერი & მაქაბი, 2004:140) “*weakened immune system*” (რიტნერი & მაქაბი, 2004:8)

(3) “... *foreign objects* such as bacteria and viruses in the body and produces *antibodies* and cells that *target* them... “*B cells that produce specific antibodies to destroy foreign objects*” (რიტნერი & მაქაბი, 2004: 210)

ბრძოლასთან დაკავშირებული ზმნები მაღიან ხშირია: *fight, combat, attack, kill, survive* (ბრძილა, შეტევა, მოკვლა, გადარჩენა) და

სხვ. ეს ზმნები, ისევე როგორც სიტყვათა შეთანხმება „უცხო სხეული“ ერთგვარ ექსპრესიულობას სძენს, დამოკიდებულებას უყალიბებს; ამ პროცესზე საზოგადოებას. ამრიგად, გარკვეულ მეტაფორულ ასახვებში, საწყისი სფეროს კონოტაცია სამიზნე სფეროზეც გადადის.

მეტაფორა დნმ-ის მოღვაულა არის ჯაჭვი/DNA MOLECULE IS A CHAIN

ყველაზე ბაზისური მეტაფორის, რომელიც უკვე მყარად ჩამოყალიბებული ლექსიკური ერთეულია, გაცვეთილი მეტაფორის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი არის **დნმ-ის მოღვაულა არის ჯაჭვი/DNA MOLECULE IS A CHAIN** – DNA chain, სხვაგვარად “the strands of DNA” (ლოუვი, 2016: 401); “... acting on *instructions* from the cell’s DNA sequence” (ლოუვი, 2016: 144); “the double-stranded DNA was broken up” (ლოუვი, 2016: 587).

სტრუქტურულად, ის საკმაოდ მარტივი გასაგებია – დნმ/რნმ-ის მოღვაულების აგებულება გარეგნულად ძალიან ჰგავს, პრაქტიკულად იდენტურია, ჩვეულებრივი ჯაჭვისა. შესაბამისად, ასახვა გარეგნულ მსგავსებას ეფუძნება და ისევე როგორც ჯაჭვის თითოეული ელემენტი დაკავშირებულია ერთმანეთთან, მოღვაულებიც მსგავს კავშირს ამყარებენ მათ წინამდებარე თუ მომდევნო მოღვაულებთან. ამ მეტაფორის თავიდან წარმოქმნისას, მას გარკვეული ექსპრესიულობა გააჩნდა, თუმცა დროთა განმავლობაში მან ნეიტრალური ხასიათი შეიძინა (კომარსკაია, 2012).

შეგვიძლია ასევე გამოვყოთ: **დნმ არის ტრანსპორტი/სათავსი (DNA IS A TRANSPORT/CONTAINER)**: “DNA was established as the critical carrier of genetic information” (ჯერალდი, 2015: 370-371), “the entire contents of a cell’s DNA” (ჯერალდი, 2015: 409); **დნმ კონსტრუქცია / შენობა / DNA IS A CONSTRUCTION / BUILDING**: “preassembled DNA” (ლოუვი, 2016: 692), “correctly assembling the components of DNA” (ჯერალდი, 2015: 227), “the enzyme that assembles the building blocks of DNA” (ჯერალდი, 2015: 409), “damaged DNA in genes is normally repaired or destroyed” (ჯერალდი, 2015: 481), კონსტრუქციის მსგავსად მისი აგება, დანგრევა, შეკეთება და აწყობაც შესაძლებელია; **დნმ არის ჩარგი/DNA IS LUGGAGE** “contains DNA



packaged in chromosomes" (ჯერალდი, 2015: 30); "DNA wrapped in a chromosome" (ჯერალდი, 2015: 236); **დნმ არის მეთაური/DNA IS A CHIEF.** "DNA dictates the manufacture of proteins and RNA molecules" (ჯერალდი, 2015: 531), "DNA carries instructions to messenger RNA for building specific proteins" (ჯერალდი, 2015: 403) – ამ უკანასკნელ მაგალითში დნმ ასევე ინსტრუქციების მატარებლად, მშენებლადაა წარმოდგენილი, ასევე რნმ-ს მოლეკულა მესენჯერია, რაც რნმ-ის ფუნქციიდან გამომდინარეობს და მრავალი სხვ.

მეტაფორების მსგავსი ნაირსახეობა შეგვიძლია შემდეგნაირად ავხსნათ – რაკი კონცეპტუალური მეტაფორის მიხედვით გვაქვს ორი სფერო: სამიზნე და საწყისი, რომლებიც ერთმანეთზე აისახება გარკვეული სახის მსგავსების გადმოტანით, სამიზნის განსხვავებული თვისებების წინა პლანზე წამოწევით, ხდება მისი დაკავშირება განსხვავებულ საწყის სფეროებთან.

მეტაფორა სისხლის მიმოქცევის სისტემა არის სატრანსპორტო სისტემა და სისხლი არის ტრანსპორტი

მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზმის შიგნით პროცესები და ელემენტები სულაც არ არის აბსტრაქტული და საკმაოდ რეალურ ობიექტებსა და პროცესებს ასახავს, ისინი დაფარულია და, ამგვარად, ორგანიზმის შიგნით მიმდინარე პროცესები დიდ დაინტერესებას იწვევს ადამიანებში. ორგანიზმში მიმდინარე პროცესები ხშირად არის გაიგივებული ადამიანის გარემოში მიმდინარე პროცესებთან.

ერთ-ერთი ასეთი კონცეპტუალური მეტაფორის მაგალითია სისხლისა და სისხლის მიმოქცევის სისტემასთან დაკავშირებული ასახვები. სისხლის მიმოქცევის სისტემა, თავისი უპირველესი ფუნქციიდან გამომდინარე, გაიგივებულია სატრანსპორტო სისტემასთან, სისხლი თავად ტრანსპორტის ფუნქციას ასრულებს – **სისხლი არის ტრანსპორტი:** ენციკლოპედიაში სისხლის განმარტება ასეთია: "**blood** Blood is an animal fluid that *transports* oxygen from the lungs to body tissues and *returns* carbon dioxide from body tissues to the lungs through a *network of vessels* such as veins, arteries, and capillaries" (რიტნერი & მაქვაბი, 2004: 43). აღსანიშნავია, რომ განსხვავებით რეალური ტრანსპორტისა, სისხლს არ შეუძლია თავისთავად გადაადგილ-

დეს, მას სჭირდება ტუმბო, რომლის ფუნქციასაც გული ასრულებს, რაც ბიძგს აძლევს სისხლს იმოძრაოს მთელ სხეულში; სხვადასხვა სახის სისხლძარღვები – სატრანსპორტო ხაზებისა და გზების მეშვეობით არის წარმოდგენილი, შესაბამისად, ვიდებთ მეტაფორას: **სისხლძარღვები, უფრო კონკრეტულად ვენები/არტერიები/კაპილარები არის სატრანსპორტო გზები.** “tiny tubes through which the blood passes” (რიტნერი & მაქვაბი, 2004: 49); ხოლო თავად ორგანოები – დანიშნულების ადგილები: “Avicenna explained that the blood of the portal vein is *distributed* in the liver...”, “...the blood vessels, which further prepares the nutrients for *delivery* to the tissues.” (დერახშანი, და სხვ., 2019: 5). მსგავსება მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება, სისხლის მიმოქცევას კონკრეტული მარშრუტი გააჩნია, რომელსაც საწყისი და საბოლოო წერტილი აქვს – გული: “the heart and all the vessels that transport blood to and from the heart” (რიტნერი & მაქვაბი, 2004: 53).

დაამატებით, სისხლს, როგორც სატრანსპორტო საშუალებას, გარკვეული ელემეტების გადატანა ევალება. ეს ელემენტები, იქნება ეს ჟანგბადი, გადამუშავებული საკვები, მინერალები თუ ანტისეულები, „მოთავსებულია“ მასში, რაც კიდევ ერთ ონტოლოგიურ მეტაფორას წარმოქმნის – **სისხლი არის სათავსი / BLOOD IS A CONTAINER.**

(1) “Blood *contains* red and white blood cells and platelets that are responsible for a variety of functions,” (რიტნერი & მაქვაბი, 2004: 43)

(2) “... blood *containing* the corresponding antigens” (დაინტისი, მარტინი, 2010: 1).

ფიზიკა და ასტრონომია:

მეტაფორა გრავიტაცია არის მაგნიტი

გრავიტაცია ძალას წარმოადგენს (*FORCE*) – “The objects are accelerated by gravity” (პიკოვერი, 2011: 127). ამ უხილავი, ხელშეუხებელი ძალის რეალურ ობიექტთან დაკავშირების საფუძველზე ვიდებთ მეტაფორას – **გრავიტაცია არის მაგნიტი/GRAVITY IS A MAGNET.**

(1) “pulled downward by gravity” (პიკოვერი, 2011:47)

(2) “gravity would be too weak to hold individual galaxies together” (პიკოვერი, 2011:569)

(3) “which results from gravity pulling together a few nearby galaxies into one supergalaxy” (პიკოვერი, 2011:571)

(4) “gravity will have already drawn together the burned-out remains of dead stars” (პიკოვერი, 2011:573)

გრავიტაციის მოქმედება ძალიან ჰყავს მაგნიტის ქმედებას – ის იზიდავს ობიექტებს. გარდა ამ თვისებისა მათ ქმედებებს შორის მსგავსება სრულდება. გრავიტაცია ბევრად მრავლისმომცველი ძალაა, რომელიც მხოლოდ მეტალების მიზიდვით არ შემოიფარგლება. გრავიტაციის არსებობა წინაპირობაა გალაქტიკის არსებობისა. დედამიწაზე სიარული, მზის სისტემაში პლანეტების მოწესრიგებული მოძრაობა, ახტომა, დაცემა – ეს ყველაფერი გრავიტაციის ძალის წყალობით ხდება. რა თქმა უნდა, საწყისის სამიზნებზე ასახვისას, არ არის აუცილებელი ერთი ობიექტი სრულად აისახოს მეორეზე, მთავარია ერთი საერთო თვისების გადმოტანა მაინც მოხერხდეს სამიზნე სფეროზე.

ალბერტ აინშტაინი კი გრავიტაციის ძალის წარმოდგენას არსებითად განსხვავებული ობიექტის, მრუდის სახით ცდილობდა: “which explained gravity from a new perspective. In particular, Einstein suggested that gravity is not really a force like other forces, but results from the curvature of space-time caused by masses in space-time” (პიკოვერი, 2011: 372). რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ ფაქტს, რომ თავად მეცნიერები ანალოგიური კავშირების საშუალებით ცდილობენ აბსტრაქტული ობიექტების განმარტებას ინფორმაციის ადგკვატური გააზრების მიზნით.

მეტაფორა ვარსკვლავი არის ცოცხალი ორგანიზმი

საინტერესო მაგალითებს ვხვდებით ვარსკვლავებზე ტექსტებში. ხშირ შემთხვევაში მათ აღწერენ, როგორც ცოცხალ ორგანიზმებს, რომლებიც ხასიათდებიან დაბადებისა და სიკვდილის პერიოდებით და ამასთან, გააჩნიათ ასაკი.

(1) “Stars are born.” (პიკოვერი, 2011: 416)

(2) “stars at the ends of their lives” (დაინტისი, მარტინი, 2010: 97)

(3) “... young stars that share a common origin, usually having been born together” (დაინტისი, მარტინი, 2010: 783)

(4) “an old star” (დაინტისი, მარტინი, 2010: 148)

აღსანიშნავია, რომ ვარსკვლავების სახელებიც ხშირ შემთხვევაში მაში მეტაფორულია – “White Dwarf”, “black dwarf” – რომლებიც მასით მცირე ზომის ვარსკვლავებს ასახავს, განსხვავება ამ ორ შორის კი მხოლოდ ისაა, რომ თეთრ ჯუჯას ჯერ კიდევ შენარჩუნებული აქვს სითბო, ხოლო შავს არა და ის გაერთიანებულია ცივი ციური სხეულების კატეგორიაში (დაინტისი, მარტინი, 2010: 97). აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვარსკვლავებში სითბოს არსებობა არის თეთრი, ხოლო მისი არარსებობა – შავი. თუმცა ამის აბსოლუტური მტკიცება არ შეგვიძლია, რადგან თეთრი თეთრი ჯუჯის შემთხვევაში, სწორედ ისეთ ვარსკვლავებს შეარქვეს, რომლებიც თეთრი ფერის იყო.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საბუნებისმეტყველო დისკურსის ანალიზის შედეგად გამოვლინდა სტრუქტურული – სისხლის მიმოქცევის სისტემა არის სატრანსპორტო სისტემა და სისხლი არის ტრანსპორტი, სისხლძარღვები არის სატრანსპორტო გზები, მკურნალობა არის ბრძოლა/ომი, და ონტოლოგიური მეტაფორები – ღნმ-ის მოღვაცულა არის ჯაჭვი, ღნმ არის ტრანსპორტი/სათავსი, ღნმ არის კონსტრუქცია/შენობა, ღნმ არის ბარგი, სისხლი არის სათავსი, ვირუსი არის მტერი, მიკროორგანიზმი არის მტერი, დაავადება არის მტერი, გრავიტაცია არის მაგნიტი, ვარსკვლავი არის ცოცხალი ორგანიზმი. განხილული კოგნიტიური მეტაფორებიდან რამდენიმე ონტოლოგიური პერსონიფიკაციის მაგალითს წარმოადგინს – ვირუსი არის მტერი, ღნმ არის მეთაური. ამის ახსნა იმით შეგვიძლია, რომ აბსტრაქტული, მიუწვდომელი ობიექტებისა და მოვლენების დაკავშირება ადამიანურ თვისებებთან, გამოცდილებებთან, მოტივებსა და მიზნებთან გაიგივებით, ადამიანს გარე სამყაროს, აღქმას უმარტივებს. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ აზრს, რომ აზროვნება მეტწილად ანთოლოცენტრულია და ინდივიდები გარე სამყაროს მოვლენებს საკუთარი გამოცდილების პრიზმაში ატარებენ.

ერთი სამიზნე სფეროსთან მრავალი საწყისი სფეროს დაკავშირებით, როგორც მაგალითად ღნმ-თან დაკავშირებული მეტაფორები – ღნმ არის ტრანსპორტი/სათავსი, ღნმ არის კონსტრუქცია/შენობა, ღნმ არის ბარგი, ღნმ არის მეთაური – ადასტურებს სამეცნიერო დისკურსში კონცეპტუალური მეტაფორის ისეთივე თავისუფალი

და უხვი რაოდენობით არსებობას, როგორც ამას ნებისმიერი სხვასაა ხის დისკურსში თუ მეტყველებაში შეიძლება შევხვდეთ.

ასევე უარვყავი ზოგადად ჩამოყალიბებული მოსაზრება, რომ სამეცნიერო სტილისთვის დამახასიათებელ მეტაფორებს ექსპრესიულობა აქვთ დაკარგული, რისი ნათელი მაგალითიც აღმოჩნდა მეტაფორები, რომლებიც დაავადებებისა და მათი მკურნალობის მიმართ გამოიყენება: ვირუსი არის მტერი (მიკროორგანიზმი არის მტერი), დაავადება არის მტერი, მკურნალობა არის ბრძოლა/ომი.

ლიტერატურა

აბდულჰაიროვა 2021 – Abdulhairova, F. (2021, February1). Metaphor in The Scientific Discourse. International Journal of Progressive Sciences and Technologies (IJPSAT), Vol. 25 No. February1 2021, 69-73.

დაინტისი, მარტინი 2019 – Daintith, J., Martin, E., (Eds) (2010). A Dictionary of Science. 6th Ed. Oxford University Press.

დერახშანი და სხვ. 2019 – Derakhshan, A. et al. (2019). Digestion process and causes of indigestion based on Avicenna's view and modern medicine. Traditional Medicine Research. Online. 10. 12032/TMR 20190225100. 1-8

დიადიურა, კოლესნიკი 2013 – Diadiura, G., & Kolesnik, D., (2013). Terms-Metaphors in Scientific Texts. Management and Education, Vol. IX (4), 31-34

კომარსკაია 2012 – Komarskaya, A. I. (2012). Types of Scientific Metaphors/Типы научных метафор in: Современные коммуникации: Язык. Человек. Общество. Культура: сборник статей. Екатеринбург: Изд-во УМЦ УПИ. 72-75. <http://hdl.handle.net/10995/93799>

ლეიკოფი 1993 – Lakoff, G. (1993). The Contemporary Theory of Metaphor. In Orthony A. (Ed.): Metaphor and Thought, 2nd Ed. Cambridge: Cambridge University Press, 202-251.

ლეიკოფი, ჯონსონი 1980 – Lakoff, G. & Johnson, M. (1980). Metaphors we Live By. Chicago: University of Chicago Press.

ლოუ 2016 – Lowe, D. B. (2016). The Chemistry Book. New York: Sterling Publishing.

ბიკონერი 2011 – Pickover, C. A. (2011). *The Physics Book: from the Big Bang to Quantum Resurrection, 250 milestones in the history of physics*. New York: Sterling Publishing.

რედი 1979 – Reddy, M. *The Conduit Metaphor* (1979) Metaphor and Thought, 2nd edition, A. Orthony (Ed.), Cambridge: Cambridge University Press, 284-324.

რიტნერი, მაქაბი 2004 – Rittner, D. & McCabe, T.L. (2004). *Encyclopedia of Biology*. New York: Facts on File.

სონტაგი 1990 – Sontag, S. (1990), *Illness as Metaphor, and AIDS and Its Metaphors* (1st Anchor books). New York: Picador: Farrar, Straus and Giroux, 93-131.

ტემერმანი 2000 – Temmerman, R. (2000). *Towards new ways of Terminology description: the sociocognitive approach*. Amsterdam/Philadelphia: John Benjamins, xv-258 p. 10.9734/JSRR/2017/39630.

ფინატო 2009 – Finatto, M. (2009). *Metaphors in Scientific and Technical Languages: Challenges and Perspective*, DELTA: Documentação de Estudos em Lingüística Teórica e Aplicada. 26. 645-656. 10.1590/S0102-44502010000300012.

ფორსვილი 2016 – Forceville, Ch. (2016), *Pictorial and Multimodal Metaphor*. In: Nina-Maria Klug and Hartmut Stöckl (Eds.) *Handbuch Sprache im multimodalen Kontext [The Language in Multimodal Contexts Handbook]*. Linguistic Knowledge series. Berlin: Mouton de Gruyter, 241-260.

შათელუორსი 2017 – Shuttleworth, M. (2017). *Metaphor in Scientific Thought and Writing*, in *Studying Scientific Metaphor in Translation: An Inquiry into Cross-Lingual Translation Practices*. 1st Ed, 10. 351-356. 10.1075/msw.00012.dor. New York; Routledge, 9-19.

ცეცხლაძე, ხუსუტაიშვილი 2014 – ცეცხლაძე, ნ., ხუსუტაიშვილი, მ., (2014) სტილისტიკა (სახელმძღვანელო), მე-2 გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, გამომცემლობა „ივერიონი“.

ჯერალდი 2015 – Gerald, M. C. with Gerald, G. (2015). *The Biology Book*. New York: Sterling.

ჰაუსერი, შვარცი 2015 – Hauser, D. & Schwarz, N. (2015). *The War on Prevention. Personality & social psychology bulletin*. 41. 66-77. 10.1177/0146167214557006.



Some Conceptual Metaphors in the Discourse of Hard Sciences

Summary

This paper aims to identify and analyze conceptual metaphors in a collection of texts on natural sciences. Conceptual metaphor theory (Lakoff & Johnson, 1980; Lakoff, 1993) forms the theoretical framework of the research. The empirical data have been drawn from textbooks on physics and biology as well as scientific encyclopedias and dictionaries. It should be noted that discourse of hard sciences is quite understudied from the perspective of CMT.

On the basis of the study, a number of ontological and structural conceptual metaphors have been revealed and their pragmatic loading in the samples of scientific discourse under discussion has been stated. These ontological metaphors are as follows: *BLOOD IS A CONTAINER*, *GRAVITY IS A MAGNET*, *DNA MOLECULE IS A CHAIN*; *DNA IS A TRANSPORT/ CONTAINER*; *DNA IS A CONSTRUCTION/BULDING*; *DNA IS LUGGAGE*. Some ontological metaphors are samples of personification: *VIRUS IS AN ENEMY* (*MICROORGANISM IS AN ENEMY*; *DISEASE IS AN ENEMY*), *DNA IS A CHIEF*. The structural metaphors include: *THE CIRCULATION SYSTEM IS THE TRANS-PORTATION SYSTEM*, *STARS ARE LIVING ORGANISMS*, *TREATMENT IS A BATTLE/WAR*.

It has been observed that the metaphors in question are employed with the purpose of describing different scientific phenomena in a vivid and easily comprehensible way.

၁၄၂၃၆၂၂၈

ଟାଇମ୍‌ଲିଫ୍ ପ୍ରକାଶନକାରୀ

ଓমିନୁଟ୍‌ସିରି ତାଙ୍କେବେଳିର ଲିଙ୍ଗବେଳିର କହାଲିଯାବୋ
ଖରପିରଟି ଆଶେଷତି ବେଳିର ବ୍ୟାଲିଙ୍ଗିଲି

წინამდებარე ნაშრომში განხილულია გენდერული სტერეო-
ტიპებისა და ფემინისტური ტენდენციების ლინგვისტური რეალი-
ზაციის ზოგიერთი თავისებურება ინგლისელი ფემინისტი ავტორის
ვურჯინია ვულფის ნაწარმოებში „ორლანდო: ბიოგრაფია“. ნაშრომ-
ში გაანალიზებულია გენდერის გამომხატველი როგორც ვერბალუ-
რი, ასევე არავერბალური საშუალებანი. კერძოდ, განხილულია შემ-
დეგი საკითხები:

- ბატლერისეული პერფორმატიული აქტების რეალიზაცია „ორლანდო: ბიოგრაფიაში“.
 - გენდერული როლების ასახვა საუბრის თემატიკაში.
 - პირის ნაცვალსახელებით მანიპულირება.

სტატიის თეორიულ საფუძველს ქმნის: დისკურსის ანალიზი (მიღლივი, 2001; 2008; ბატლერი, 1993; 1999; ტანენი, 1990), სოციოლინგვისტიკა (ჰადსონი, 1980) და კვლევები ფსიქოლოგიაში (ფროიდი, 1924).

გენდერი და სქესი მნიშვნელოვანი ცნებებია, რომლებიც აყალიბებენ ჩვენი ცხოვრების ყველა ასპექტს. ადამიანები შეიცნობენ თავიანთ სხეულს, გონებასა თუ საკუთარ თავს სქესისა და გენდერის მიხედვით. განსხვავების დადგენა გენდერსა და სქესს შორის საკმაოდ მნიშვნელოვანია არა მარტო სოციოლოგიაში, ფსიქოლოგიასა და ქავის შემსწავლელ მეცნიერებებში, არამედ ყოველდღიურ ცხოვრებაშიც. ამ ორ ტერმინს შორის განსხვავების დადგენისას, სხვადასხვა კვლევრები სხვადასხვა შეხედულებას გვთავაზობენ. ფრონტის მიხედვით, სქესი არის ბიოლოგიური მოცემულობა, რომლის ბუნებრიობა ემყარება აზრს, რომ დისკრეტული განსხვავებები ადამიანები



ზის სხეულში მდგრადია. გენდერი კი დროთა განმავლობაში როლების განცხადების გამომდინარე (ფროიდი, 1924:178).

მსგავსი ტიპის ახსნას ვხვდებით კემბრიჯის ონლაინ ლექსიკონშიც. ლექსიკონში სიტყვა სქესი განიმარტება, როგორც: "The physical state of being either male, female, or intersex", ხოლო გენდერი განიმარტება, როგორც: "A group of people in a society who share particular qualities or ways of behaving which that society associated with being, male, female, or another identity" (dictionary.cambridge.org). როგორც ვხედავთ, სიტყვა სქესის მნიშვნელობა უშუალოდ დაკავშირებულია ორ ბიოლოგიურ სქესთან: კაცი და ქალი, და ამ ორ სქესს შორის არსებულ ბიოლოგიურ განსხვავებებთან. რაც შეეხება სიტყვა გენდერს, სიტყვა სქესისგან განსხვავებით, მას აქვს განსხვავებული მნიშვნელობა, რადგან ეს სიტყვა გამოხატავს სოციალურ სხვაობას მამაკაცებსა და ქალებს შორის.

ჯუდით ბატლერიც მიიჩნევს, რომ სქესი და გენდერი ორი განსხვავებული ტერმინია. ბატლერისათვის გენდერი არის პერფორმანსი, კერძოდ, ადამიანის სიარულის მანერა, საუბარი, ჩაცმა, ქცევა და არა ინდივიდის ფიზიკური მახასიათებლები. გენდერული როლის შესრულება კი ქმნის იდენტობას (ბატლერი, 1999:15).

ამერიკელი ფსიქოლოგი სანდრა ბემი გვთავაზობს ახალ ტერმინს ანდროგინიას, რაც ნიშნავს, რომ ადამიანებმა უნდა გამოავლინონ, როგორც მამაკაცური, ასევე ქალური თვისებების კომბინაცია (ბემი, 1981:354-5).

მსგავსი ტიპის შეხედულებას იზიარებს ვირჯინია ვულფიც. ის ამტკიცებს, რომ თითეულ ჩვენგანში დომინირებს ორი ძალა, როგორც მამაკაცური, ასევე ქალური და რომ ანდროგინული გონება არის ბუნებრივად შემოქმედებითი (ვულფი, 1929:82).

თეორეტიკოსები ასევე ამტკიცებენ, რომ გენდერი სოციალური კონსტრუქციაა: ადამიანები იბადებიან გარკვეული სქესით, თუმცა მათი გენდერი ყალიბდება მათ გარშემო არსებული საზოგადოების მიერ. მაგალითად, თუ ადამიანი ქალად იბადება, საზოგადოებაში დამკვიდრებული წესების მიხედვით, ისინი სოციალიზებულნი არიან, რომ მიიღონ ქალური იდენტობა.

მსგავს შეხედულებას იზიარებს ფრანგი მწერალი და ფრანგულობის სოფოსი სიმონ დე ბოვუარიც. 1949 წელს გამოქვეყნებულ წიგნში „მეორე სქესი“ ის წერს, რომ ქალებმა უნდა ეძიონ თავისუფლება და ავთენტურობა ისეთ ქმედებებში, რომელიც არ არის დაკავშირებული ისეთ ბიოლოგიურ აუცილებლობასთან, როგორიცაა შვილების გაჩენა და მათი აღზრდა.

ანთროპოლოგმა კლოდ ლევაი-სტროსმა შეიმუშავა თეორია, რომლის თანახმად, ადამიანები საზოგადოებაში ცხოვრობენ აზროვნების ჩარჩოებში, რომლებიც ქმნიან ბადეებს ყოველდღიური ქცევისათვის. ეს ჩარჩოები, როგორც წესი, არის ბინარული და შედგება ისეთი კონტრასტული კატეგორიებისგან, როგორიცაა წმინდა და უწმინდური, მამრობითი და მდედრობითი და ა.შ. (ლევაი-სტროსი, 1949:159) ურთიერთობებში ბინარები მოქმედებენ ერთმანეთის წინააღმდეგ. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მამრობითი და მდედრობითი სქესის შემთხვევაში, ეს ცნებები თუ მახასიათებლები ურთიერთგანმსაზღვრელია, რადგან მათ საერთო საზღვარი აქვთ, რომლის გადაკვეთის შემდეგ, ქალურ ქცევას მამაკაცურში გადაზრდის და პირიქით.

ამერიკელი ლინგვისტი დებორა ტანენი მიიჩნევს, რომ მამაკაცებსა და ქალებს შორის არსებობს გენდერული განსხვავებანი, რომლებიც გამოიხატება მათ მეტყველებაში, მრავალფეროვან ცხოვრების წესსა და დამოკიდებულებებში. ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტი კი, რომელიც გასათვალისწინებელია გენდერული მეტყველების სტილის შესწავლისას, არის ის, რომ გენდერული განსხვავებები ჩაშენებულია ენაში. თითოეული ადამიანის ცხოვრება საუბრების სერია და, უბრალოდ, ჩვენი ენის სიტყვების გაგებითა და გამოყენებით, ჩვენ ყველანი ვითვისებთ და ვუზიარებთ ერთმანეთს განსხვავებულ, ასიმეტრიულ ვარაუდებს მამაკაცებისა და ქალების შესახებ. და იმისათვის, რომ მამრობითი და მდედრობითი სქესის წარმომადგენლების კომუნიკაცია უკეთ გავიგოთ, ისინი უნდა აღვიქვათ, როგორც ორი ცალკეული „კულტურული დიალექტი“ (ტანენი, 1990:6-7).

როგორც მკვლევრების უმეტესობას, მიმაჩნია, რომ გენდერი და სქესი არის ორი განსხვავებული ტერმინი. სქესი არ არის ის, რასაც ჩვენ ვირჩევთ; ჩვენ ვიბადებით გარკვეული სქესით. მეორე



მხრივ, გენდერი არის ის, რასაც ჩვენ ვიღჩევთ. ჩვენი მამაკაცურითდაც ქალური სქესი, მდედრობითი და მამრობითი გენდერი, ჰეტეროსექსუალური თუ ჰომოსექსუალური სურვილები მიჩნეულია, როგორც ბუნებრივი ფაქტორები, თუმცა ამავდროულად ისინი არიან ბინარული ოპოზიციები, რომელიც რეგულირდება კულტურის მიერ; ისინი აისახება ტანსაცმელში, რომელსაც ვიცვამთ; ოჯახურ სტრუქტურებში, რომლებშიც ვცხოვრობთ; კანონებში ან საჯარო პოლიტიკაში, რომელსაც ვემორჩილებით ან ვეწინააღმდეგებით; და სიტყვებშიც კი, რომლებსაც ვიყენებთ.

ადამიანები ცხოვრობენ სოციუმის მიერ დაწესებული გენდერული ნორმების მიხედვით. მაგალითად, ქალებს შთააგონებენ, რომ სხვებზე, მათ შორის ბავშვებზე ზრუნვა მათთვის ბუნებრივი ფაქტორია; ამიტომ ქალები თვლიან, რომ ისინი საუკეთესოდ შეეფერდიან ამ როლს. ეს არის ის ერთ-ერთი მცდარი სტერეოტიპული შეხედულება გენდერთან დაკავშირებით, რომელიც შექმნილია სოციუმის მიერ. როდესაც ასეთი სტერეოტიპული შეხედულებები დიდი ხნის განმავლობაში არსებობს საზოგადოებაში, მათი გამოაშვარავება და, რაც მთავარია, მათი აღმოფხვრა საკმაოდ რთულია.

როგორც უკვე აღვნიშნე, ჩემი ინტერესის სფეროს წარმოადგენს შევისწავლო, თუ როგორ არის ფემინისტური ტენდენციები და გენდერული სტერეოტიპები ლინგვისტურად რეალიზებული ფემინისტი ავტორის ვირჯინია ვულფის ნაწარმოებში „ორლანდო: ბიოგრაფია“.

ვირჯინია ვულფის რომანში „ორლანდო: ბიოგრაფია“ მრავლად არის წარმოდგენილი გენდერული პერფორმატიული აქტები. ნაწარმოებში პერსონაჟები ხშირად იცვამენ საპირისპირო სქესის ტანისამოსს და ირგებენ სხვადასხვა გენდერულ როლს სიტუაციიდან ან საკუთარი სურვილებიდან გამომდინარე. პერსონაჟთა სქესის უმეტესობა ბუნდოვანია, რომ აღარაფერი ვთქვათ რომანის მთავარ პერსონაჟ ორლანდოზე, რომელიც ნაწარმოების შუა ნაწილში განიცდის სქესის ცვილებას. აღსანიშნავია, რომ ნაწარმოებში გენდერის ორაზროვანი ბუნება ძირითადად ვლინდება პერსონაჟების სამოსის სპეციფიკაში და მათ სხეულის ენაში.

აქვე მინდა გავიხსენო ანდაზა: “ტანსაცმელი ქმნის ადამიანს”, რაც ძალიან კარგად მიემართება ამ ნაწარმოების თითოეულ პერსო-

ნაჟს. რომანში ავტორი პერსონაჟების გენდერის გამოსახატავდა აქტუალურობის ცენტს აკეთებს მათ ჩაცმულობის სტილზე:

„ტანსაცმელი ცვლის ჩვენს შეხედულებას სამყაროზე და სა-მყაროს შეხედულებას ჩვენზე.“ (ვულფი, 2018:103).

მთავარი პერსონაჟის გენდერული იდენტობა და სქესის ცვლილება ძალიან კარგად არის ნაჩვენები მისი ტანსაცმლის არჩევანიდან გამომდინარე. როდესაც ორლანდოს სურს მისი მამრობითი გენდერის გამოვლენა, იგი იმოსება მამაკაცისთვის დამახასიათებელი ტანსაცმლით, ხოლო როდესაც მას სურს მდედრობითი გენდერის გამოვლენა, იმოსება ქალისთვის დამახასიათებელი ტანსაცმლით. თუმცა ნაწარმოებში ვხვდებით ისეთ მომენტებსაც, სადაც ორლანდო იმოსება ისეთი ტანისამოსით, რომლის ტარება შეუძლია, როგორც კაცს ასევე ქალს:

„Orlando had now washed, and dressed herself in those Turkish coats and trousers which can be worn indifferently by either sex“ (ვულფი, 2018:76).

ტანსაცმლის ეს არჩევანი ორლანდოს საშუალებას აძლევს იცხოვროს, როგორც ანდროგინული სქესის წარმომადგენელმა და არ გამოკვეთოს მისი გენდერი. თუმცა ნაწარმოებში ვხვდებით ისეთ მომენტებსაც, სადაც ორლანდო ყურადღებას ამახვილებს მის გენდერზე. ეს ყველაფერი კი განსაკუთრებით საყურადღებოა მისი სქესის ცვლილების შემდეგ. ამ მომენტიდან მოყოლებული, როდესაც ორლანდო ატარებს შარვალს, საზოგადოება მას აღიქვამს მამაკაცად. და პირიქით, როცა ორლანდო ატარებს კაბას, საზოგადოება მას აღიქვამს ქალად. თუმცა ორლანდოს გენდერული ცვლილება არ მოქმედებს მის ფიზიკურ მდგომარეობაზე, და იგი ისევ ისე გამოიყრება, როგორც იგი გამოიყურებოდა სქესის ცვლილებამდე, საზოგადოებას რჩება მხოლოდ ტანსაცმელი იმისთვის, რომ შეძლოს მისი სქესის გარჩევა. ეს კი ვულფის მხრიდან აშკარა სარკაზმის გამოვლინებაა; ავტორი ცდილობს დაგვანახოს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის ადამიანები მოერგონ მათ მიერვე დაწესებულ გენდერულ ნორმებს. სწორედ ამიტომ ვულფი ცდილობს გვაჩვენოს, რომ ორლანდოს სქესი ნაკარნახევია მისი სამოსიდან გამომდინარე და არა მისი სხეულიდან:



"Orlando had become a woman--there is no denying it. But in every other respect, Orlando remained precisely as he had been." (ვულფი, 2018:75)

ტანსაცმელი ძალიან მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ აღვიქვათ სხვა პერსონაჟების სქესიც. მაგალითად, საყურადღებოა ორლანდოს პირველი შეხვედრა მისი მე-16 საუკუნის დიდ სიყვარულთან - პრინცესა საშასთან. რომანის ამ მონაკვეთში პრინცესა საშას ჩაცმულობა ძალიან ჰგავს მამაკაცისას:

„A figure, which, whether boy's or woman's, for the loose tunic and trousers of the Russian fashion served to disguise the sex, filled him with the highest curiosity“ (ვულფი, 2018:16).

ნაწარმოებში ვხედავთ, რომ საშა და ორლანდო არიან სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები. შესაბამისად, საშას ჩაცმულობა ორლანდოში იწვევს გაურკვევლობას და იგი არ არის დარწმუნებული საშას სქესში. თუმცა, როდესაც საშა მას მიუახლოვდება, ორლანდოს შეუძლია მისი მკერდის ფორმის გარჩევა მამაკაცური ტუნიკის ქვეშ და მან იცის, რომ ის ქალია. საყურადღებოა ფაქტი, რომ ორლანდოს დიდი ინტერესი უჩნდება საშას მიმართ მაშინაც კი, როდესაც ფიქრობს რომ იგი არის მამაკაცი, ხოლო როდესაც იგი ხვდება, რომ საშა რეალურად ქალია, ორლანდოს იგი სიგივეგმდე უყვარდება. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ორლანდოს რომანტიკული და სექსუალური ინტერესი ადამიანების მიმართ არ შემოიფარგლება მათი სქესით. ეს მონაკვეთი შეგვიძლია მივიჩნიოთ მისი ანდროგინული ბუნების პირველ მაჩვენებლად.

ზემოთ ხსენებული დებულების მაგალითად ასევე შეგვიძლია მოვიყვანოთ ერცჰერცოგი ჰარი/ერცჰერცოგინია ჰარიეტიც. მისი პერსონაჟიც ხშირად ინიღბება საპირისპირო სქესის ტანსაცმლით. ერცჰერცოგს პირველად ორლანდო უყვარდება მაშინ, როცა იგი არის მამაკაცი. იმის გამო, რომ ერცჰერცოგს რომანტიკული ურთიერთობა ვერ ექნებოდა მამაკაცთან, იგი იმოსება, როგორც ქალი. ორლანდოს სქესის შეცვლის შემდეგ კი იგი ისევ წარდგება ორლანდოს წინაშე, ოღონდ ამ შემთხვევაში, როგორც მამაკაცი. ეს არის კიდევ ერთი მაგალითი, რომელიც ხაზს უსვამს იმას, რომ გენდერი არის სოციალური კონსტრუქცია, რომელიც თრგუნავს ადამიანებს, რომლებსაც არ სურთ ცხოვრება საზოგადოების მიერ დაწესებულ ნორ-



მათა ფარგლებში. ერცჰერცოგის პერსონაჟი არის ნათელი მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება შენიღბოს ადამიანმა საკუთარი სუსტი ტანისამოსით.

გარდა გენდერის ჩაცმულობით გამოხატვისა, ვირჯინია ვულფი რომანში გვთავაზობს გენდერთან ასოცირებული წარმოდგენის კიდევ ერთ ასპექტს, კერძოდ, პირის ნაცვალსახელების გამოყენებას. მაგალითად, როდესაც ორლანდო საბოლოოდ იღვიძებს ხანგრძლივი ძილის შემდეგ, ვულფი მას აღწერს შემდეგნაირად:

“He stretched himself. He rose. He stood upright in complete nakedness before us, and while the trumpets pealed Truth! Truth! Truth! we have no choice left but confess – he was a woman” (ვულფი, 2018:73).

მიუხედავად იმისა, რომ ორლანდომ განიცადა ტრანსფორმაცია და რომანის ამ მონაკვეთში იგი ქალად გვევლინება, ავტორი ჯერ კიდევ იყენებს მამრობითი სქესის გამომხატველ პირის ნაცვალსახელს “he”. მამრობითი სქესის ნაცვალსახელის გარდა ავტორი ასევე იყენებს ნაცვალსახელს “their”:

“Orlando had become a woman – there is no denying it. But in every other respect, Orlando remained precisely as he had been. The change of sex, though it altered their future, did nothing whatever to alter their identity.” (ვულფი, 2018:75).

ვთვლი, რომ ამ ნაცვალსახელის გამოყენებით ვულფს უნდოდა მკითხველისთვის დაენახვებინა ორლანდოს კავშირი ორივე სქესთან, რომ მასში არის ორივე სქესისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები. საბოლოოდ ავტორი ამბობს, რომ ნაწარმოების დარჩენილ ნაწილში იგი ორლანდოს მოიხსენიებს მდედრობითი სქესის გამომხატველი პირისნაცვალსახელით “she”:

“In future we must, for convention’s sake, say ‘her’ for ‘his,’ and ‘she’ for ‘he’” (ვულფი, 2018:75).

ჩემი აზრით, სხვადასხვა ნაცვალსახელის გამოყენებით, ვულფი ცდილობს ხაზი გაუსვას იმ ფაქტს, რომ ორლანდოს პერსონაჟი შედგება მრავალი „მეს”-გან, და რომ ყველა მათგანი ერთნაირად მნიშვნელოვანია.

როგორც აღვნიშნე, გენდერული და კულტურული გარემოებებიდან გამომდინარე, მამაკაცებს და ქალებს აქვთ განსხვავებული ინტერესები, რაც აისახება საუბრის თემატიკაში. მათ აგრეთვე აქვთ სა-



უბრის განსხვავებული სტილიც. ხშირად მამაკაცებისთვის გაუგნება-რია ქალთა საუბრის მანერა და სტრატეგიები; ამიტომ ისინი მიიჩნევენ, რომ ქალები არ არიან მათსავით ჭკვიანები. ვირჯინია ვულფი არის ერთ-ერთი პირველი ფემინისტი ავტორი, რომელიც მსგავსი ტიპის სტერეოტიპულ შეხედულებებზე ამახვილებს ყურადღებას თავის ნაწარმოებებში.

მაგალითად, რომანში საყურადღებოა მომენტი, როდესაც ორლანდო და შელმერდინი ერთმანეთს ხვდებიან. მათი შეხვედრისას ორლანდო იჯებს, რომ შელმერდინი მეზღვაურია, ის უზიარებს ორლანდოს თავის სანაოსნო თავგადასავლებს და ორლანდო ახერხებს გაიგოს ყველაფერი, რაზეც შელმერდინი საუბრობს, რაც მასში იწვევს ეჭვს არის თუ არა ორლანდო რეალურად ქალი:

„All this and a thousand other things she understood him to say, and so when she replied, Yes, negresses are seductive, aren't they? he having told her that the supply of biscuits now gave out, he was surprised and delighted to find how well she had taken his meaning. Are you positive you aren't a man?“ he would ask anxiously“ (ვულფი, 2018:144).

ის ფაქტი, რომ შელმერდინს უკვირს, რამდენად კარგად ფლობს ქალი ინფორმაციას მეზღვაურობასთან დაკავშირებით, არის მაგალითი საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპული შეხედულებისა, რომ მამაკაცებს და ქალებს აქვთ განსხვავებული ინტერესები და რომ ქალი არ შეიძლება იყოს გათვითცნობიერებული ისეთ საკითხებში, რომლებიც ძირითადად მამაკაცებთან ასოცირდება.

შემდეგი მაგალითი, რომელზეც მინდა ყურადღება გავამახვილო, არის ორლანდოს ვიზიტი ლედი რ-თან (Lady R.'s reception room). ორლანდომ იცის, რომ ამ შეხვედრებზე დაშვებული არიან მხოლოდ საზოგადოების ინტელექტუალი წევრები და რომ განხილულ საკითხებს შორის ყველაფერი ძალიან მნიშვნელოვანი და მახვილგონივრულია. თუმცა იქ მისულ ორლანდოს სრულიად საპირისპირო სიტუაცია ხვდება. საკითხები, რასაც იქ მამაკაცები განიხილავნ საერთოდ არ არის ორლანდოსთვის მახვილგონივრული. მაგალითად, მოხუცი გენერალი საუბრობს ნეკრესის ქარზე; მეორე სტუმარი შიშობს, რომ ტახტის ქვეშ კატა უნდა იყოს და ა.შ. ეს ყვე-

ლაფერი კი უკვე მდედრობითი სქესის წარმომადგენელი ორლანდი
დოსტვის საერთოდ არ არის საინტერესო:

“As for what they said – nothing more tedious and trivial could be imagined.” (ვულფი, 2018:111)

ასევე საზოგადოებაში ხშირად ვხვდებით სტერეოტიპულ შე-
ხედულებებს, რომ ხშირ შემთხვევებში ქალებს აინტერესებთ ტან-
საცმელი, ჩაცმულობა, მოდა და ისინი ნაკლებად ამახვილებენ
განათლებაზე ან ინტელექტუალურ საკითხებზე ყურადღებას.
მსგავს მაგალითს ვხვდებით „ორლანდოშიც“:

„She was apt to think of poetry when she should have been thinking of taffeta“ (ვულფი, 2018:107).

ზემოთ მოყვანილი პასაჟით ვულფი ცდილობს დაგვანახოს,
რომ საზოგადოებაში არსებული შეხედულება ქალების ინტერესების
შესახებ არ არის მართებული და სავსებით შესაძლებელია, რომ ქა-
ლები დაინტერესებულნი იყვნენ ისეთი საკითხებით, როგორიც ამ
შემთხვევაში პოეზიაა.

ამრიგად, ერთი შეხედვით იუმორისტული და ფანტაზიის
ჟანრის ნაწარმოებში ვირჯინია ვულფი მკაფიოდ გამოკვეთს თავის
შეხედულებებს გენდერულ როლებთან დაკავშირებით. ნაწარმოებში
ვულფი აკრიტიკებს საზოგადოების მიერ დაწესებულ ნორმებს გენ-
დერულ როლებთან მიმართებით; იგი ორლანდოს პერსონაჟს საშუა-
ლებას აძლევს ორივე სქესისთვის დამახასიათებელი ნიშნები ჰქონ-
დეს. ნაწარმოებში ვულფი გვთავაზობს გენდერის კონსტრუირების
მისეულ მოდელს.

ნაწარმოებში ორლანდოს პერსონაჟი გენდერული როლების
შეცვლით თითქოსდა თამაშობს დიდ თამაშს; თანადროულად იგი
ავლენს გენდერული კონვენციებისადმი ირონიულ დამოკიდებუ-
ლებას. ამით ვულფი გვიჩვენებს, რომ გენდერი არ არის აბსოლუტუ-
რი მოცემულობა. ვულფი ორლანდოს პერსონაჟს საშუალებას აძ-
ლევს განიცადოს ტრანსფორმაცია მამაკაციდან ქალამდე ისე, რომ
უცვლელი რჩება მისი პიროვნული თვისებები, იდენტობა. ამით ავ-
ტორი შლის ზღვარს გენდერულ ოპოზიციას შორის.

ඩාටලුරෝ, ජුදිත 1993 – Butler, Judith. 1993. *Bodies that Matter*. London and New York: Routledge.

ඩාටලුරෝ, ජුදිත 1999 – Butler, Judith. 1999. *Gender Trouble: Feminism and the Subversion of Identity*. London and New York: Routledge.

ඩේම, සාන්දරා 1981 – Bem, Sandra. 1981. *Gender Schema Theory: A Cognitive Account of Sex Typing*. American Psychological Association. Vol. 88, N4, 354-364.

ඩේම, සාන්දරා 1993 – Bem, Sandra. 1993. *The Lenses of Gender: Transforming the Debate on Sexual Inequality*. Yale: Yale University Press.

දේ තොවුංචි, සිමොන් 1949 – De Beauvoir, Simone. 1949. *The Second Sex*. Lowe and Brydone (PRINTERS) LTD., London.

ව්‍යුලුපි, විර්ජිනියා 1929 – Woolf, Virginia. 1929. *A Room of One's Own*. Feedbooks.

ව්‍යුලුපි, විර්ජිනියා 2018 – Woolf, Virginia. 2018. *Orlando, A Biography*. Global Grey

ලේඛාප-ස්ක්‍රීන්සි, ග්‍රැන්ට 1949 – Levi-Strauss, Claude. 1949. *The Elementary Structures of Kinship*. Beacon Press.

මිල්සි, සාරා 2001 – Mills, Sara. 2001. *Discourse*. London and New York: Routledge.

මිල්සි, සාරා 2008 – Mills, Sara. 2008. *Language and Sexism*. Cambridge: Cambridge University Press.

තානේනි, දේබෝරා 1990 – Tannen, Deborah. 1990. *You Just Don't Understand: Man and Woman in Conversation*. Ballantine Books.

ෆ්‍රෝඩෝ, ඩිගමුන්ඩ් 1924 – Freud, Sigmund. 1924. *The Disolution of the Oedipus Complex*. London: The Hogarth Press.

හූද්‍ර්ස්ට්‍රො 1980 – Hudson, R.A. 1980. *Sociolinguistics*. Cambridge: Cambridge University Press.

დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ ლექსიკონი, <https://dictionary.ge/>

Cambridge Dictionary, <https://dictionary.cambridge.org/>

TAMAR GUGUNAVA

Some Aspects of the Linguistic Realization of Feminist Tendencies in Virginia Woolf's *Orlando: A Biography*

Summary

The present paper aims to examine some verbal and non-verbal aspects of gender stereotypes and feminist tendencies as reflected in *Orlando: A Biography* by Virginia Woolf. Discourse analysis, sociolinguistics, and studies in psychology form the theoretical framework of the research. More precisely, the paper discusses the following issues:

- (a) Gender performativity (comprising gender-specific conversational styles, body language, clothing) as the representation of gender roles and stereotypes in the novel under analysis;
- (b) Peculiar use of and deliberate manipulation with personal pronouns with the purpose of blurring the lines between the femininity and masculinity in *Orlando*.
- (c) The notion of androgyny as a means of eliminating gender differences.

The realization of the enumerated aspects in the novel displays Woolf's standpoint that the dichotomous male-versus-female understanding of gender is merely a social construal and no one person is wholly one gender or the other. It should be noted that in the novel, Woolf's perspective on gender stereotypes and preconceptions is conveyed in an ironic and, at times, in a sarcastic mode.

ნიკო დარავალია

**ალუზიური გეტაფორმიზი პიგლინგის
მოთხოვბაში გეზაღება**

ენდორიუ გოუტლის თვალსაზრისით, ალუზია მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტექსტში მეტაფორების ქმნადობის პროცესში. ის საწყისი და სამიზნე ტექსტების ნებისმიერი ასპექტის შედარების საშუალებას იძლევა. აღნიშნული მოვლენის აღსანიშნად გოუტლი გვთავაზობს ტერმინს ალუზიური მეტაფორა ან მეტაფორული ალუზია (გოუტლი 1997). ალუზიური მეტაფორა, ერთი მხრივ, მიგვითოთებს გარკვეულ წყაროზე, აღძრავს რა სათანადო ფონისეული ცოდნის მქონე მკითხველში ასოციაციათა ჯაჭვს, ააქტიურებს ინდივიდში მეტალური მოდელების სახით წარმოდგენილ დაგროვილ ცოდნას. ხოლო, მეორე მხრივ, ის გვთავაზობს ალუზიური ინფორმაციის მეტაფორულ გადააზრებას სამიზნე ნარატივის კონტექსტში. შესაბამისად, ალუზიური მეტაფორა შეიძლება მივიჩნიოთ ინტერტექსტუალობის პროცესის ამოქმედების ერთ-ერთ ხერხად.

წინამდებარე ნაშრომში კიპლინგის მოთხოვბის მებაღე მაგალითზე განვიხილავ ალუზიური მეტაფორების როლს ნაწარმოების მხატვრული ქსოვილის შექმნაში. როგორც შესავალი პასაჟიდან ჩანს, კვლევის თეორიულ ჩარჩოს ქმნის კოგნიტიური ლინგვისტიკა (გოუტლი 1997; სტინი, გიბსი 2009), სტილისტიკა (გალპერინი 1977; გრეგორიუ 2009) და დისკურსის ანალიზი (კუკი 1994). სტატიის მიზანია ასევე აჩვენოს, რომ მხატვრულ ტექსტში მეტაფორული ენა (ფართო გაგებით) არა მხოლოდ კონცეპტუალური, არამედ დისკურსული ხასიათის მატარებელია (სტინი, გიბსი 2004), ანუ აბსტრაქტულის კონკრეტულის მეშვეობით წარმოჩენის, მეტაფორული კონცეპტუალიზაციის პროცესი დისკურსშია განფენილი.

გამოცემისთანავე (1926), კიპლინგის მებაღე კამათის საგნად იქცა. დაკვირვებულ მკითხველთა და, განსაკუთრებით, მკვლევართა ყურადღების ცენტრში მოექცა არა მხოლოდ ნაწარმოების ტექსტის

მდიდარი ტროპული ქსოვილი, არამედ კიპლინგისთვის უჩვეულოს მოდერნისტული ტექნიკით შესრულებული, დიალოგების იმპლიკაციებში, ჩამაღლული' სიუჟეტური ხაზის ნუანსები. როგორც კიპლინგის ჩანაწერებიდან და პირადი მიმოწერიდან ირკვევა (კიპლინგი 1983:455), მოთხოვნის შექმნა ავტორის ოჯახურ ტრაგედიას უკავშირდება. 1916 წელს, საფრანგეთში საომარი მოქმედებების დროს, უგზოუკვლოდ დაიკარგა კიპლინგის ერთადერთი ვაჟი. შვილის საფლავის ძიებაში (და ასევე, როგორც იმპერიის სამხედრო საფლავთა კომისიის წევრმა) კიპლინგმა დასავლეთ ევროპაში არსებული ყველა სამხედრო სასაფლაო მოიარა. 1925 წელს რუანის მახლობლად არსებული სასაფლაოს (11 000 საფლავი, როგორც ავტორი აღნიშნავს: „დატყვევებულ სიცოცხლეთა მკვდარი ზღვა“ [...] this Dead Sea of arrested lives [...] (კიპლინგი 1983:455) მონახულების შემდეგ კიპლინგმა მებაღის წერა დაიწყო.

ავტორის მსგავსად, ნაწარმოების მთავარი მოქმედი პირის, ჰელენ ტარელის, ერთადერთი ოჯახის წევრი, „მმისშვილი“ მაიკლი (ჰელენის გარდაცვლილი ძმის, ჯორჯის, უკანონო ვაჟი) პირველ მსოფლიო ომში იღუპება. სიუჟეტური ხაზი მოთხოვნაში ორ ნაწილად არის წარმოდგენილი: პირველი ნაწილი მოგვითხობს მაიკლის დაბადებასთან დაკავშირებული ისტორიების შესახებ და აღგვიჩერს ჰელენისა და მაიკლის ბედნიერ ცხოვრებას ომამდე. მეორე ნაწილი კი ეთმობა მგლოვიარე ჰელენის განცდებს, მაიკლის საფლავზე მის პილიგრიმობას და მის შეხვედრას სასაფლაოს მებაღესთან, რომელიც მაიკლის საფლავის მოძებნაში ეხმარება. თუმცა სიუჟეტური ხაზის ეს ვარიანტი მხოლოდ ტექსტის ზედაპირზე ძევს; თხრობის გაშლასთან ერთად, სხვადასხვა სტილისტიკური (ირონია, მხატვრული შედარება, მეტაფორა, და, რაც მთავარია, ალუზიური მეტაფორა) თუ პრაგმატიკული (სასაუბრო იმპლიკაცია) ხერხის მეშვეობით ვლინდება სიუჟეტის მრავალშრიანი ბუნება და მთლიანად მოთხოვნების მეტაფორული ხასიათი. კიპლინგი უბიძგებს მკითხველს სიუჟეტთან დაკავშირებით დასვას შეკითხვები: მაიკლი ჯორჯის უკანონო შვილია თუ თავად ჰელენის? ჰელენი ერთ-ერთი ცოდვილი ქალია/მარია მაგდალინელია?

საკვანძო, ალუზიური ასოციაციების ამამოქმედებელი სიტყვა მოთხოვნის სათაურად არის გამოტანილი: *The Gardener* (მებაღი).



ყურადღება მინდა გავამახვილო განსაზღვრულ არტიკულზე რომელიც მოცემულ კონტექსტში ნახსენები ლექსიკური ერთეულის უნიკალურობას უსვამს ხაზს, თუმცა რა სახის უნიკალურობაა ეს, მხოლოდ ეპიგრაფის წაკითხვის შემდგომ ვლინდება. კიპლინგმა ეპიგრაფად გამოიყენა ნაწყვეტი საკუთარი ლექსიდან ტვირთი (*The Burden*). ეპიგრაფი წარმოადგენს მათეს, მარკოზისა და ლუკას სახარებებში აღწერილ ქრისტეს აღდგომის ეპიზოდის პერიფრაზს, რომლის მიხედვითაც, ქრისტეს საფლავთან მისულ მარია მაგდალინელს სამარხის ქვა გადაგორებული დახვდება. ღმერთის ანგელოზი კი მას აუწყებს, რომ ქრისტე აღსდგა:

One grave to me was given,
One watch till Judgement Day;
And God looked down from heaven
And rolled the stone away.

One day in all the years,
One hour in that one day,
His Angel saw my tears,
And rolled the stone away!

ეპიგრაფის ფონზე, მოთხრობის სათაური აღიქმება როგორც იოანეს სახარებაში აღწერილი ქრისტეს აღდგომის ეპიზოდის ალუზია, ანუ სათაურში სახარებისეული მებაღე იგულისხმება. როგორც ცნობილია, იოანეს სახარებაში აღწერილ ქრისტეს აღდგომის ეპიზოდში, ქრისტეს სამარხთან მისულ მარია მაგდალინელს თავად ქრისტე გამოეცხადება, თუმცა მარია მას ვერ იცნობს, ის მებაღე ეგონება:

20.14 [...] she turned around and beheld Jesus standing there, and did not know that it was Jesus.

20.15 Jesus said to her, ‘Woman, why are you weeping? Whom are you seeking?’ Supposing Him to be the gardener, she said to him [...] (New Testament and Psalms 1990:343)

საყურადღებოა, რომ რაიდერ ჰაგარდისადმი მიწერილ წერილში, კიპლინგი აღნიშნავს, რომ რუანის სასაფლაოს მონახულებისას ის გაესაუბრა სასაფლაოს უფროს მებაღეს: ‘[...] went off at once to

Rouen Cemetery (11000 graves) and colloqued with the Head Gardener and the contractors' (კიბლინგი 1983:455). სავსებით დასამვებია, რომ ამ შეხვედრამ აღმრა კიბლინგში სახარებისეული ასოციაციები.

იოანეს სახარების მოყვანილი ეპიზოდის პერიფრაზს კიბლინგი მოთხრობის ფინალურ, სიუჟეტური ხაზის კვანძის გახსნის ეპიზოდში გვთავაზობს. მანამდე კი ჰელენ ტარელის ცხოვრების ორ განსხვავებულ ასპექტზე მოგვითხრობს.

მოთხრობის საწყისი მონაკვეთი ასახავს ჰელენ ტარელის მცდელობებს თავი საზოგადოების ღირსეულ წევრად წარმოაჩინოს და დაიცვას თავისი სოფლის სოციუმის მიერ დაწესებული ქცევის ნორმები, რაც გულსხმობს შემდგომს: არ დამალოს ‚სიმართლე‘, ვინაიდან ‘[...] scandals are only increased by hushing them up.’ (კიბლინგი 1983:335). შესაბამისად, მთელმა სოფელმა იცის მაიკლის წარმომავლობის შესახებ, თუ როგორ ღირსეულად ასრულებს ჰელენი თავის მოვალეობას ოჯახის წინაშე. ის მეგობრებთან განიხილავს მაიკლის გარეგნულ, ტარელებისთვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს; უმხელს მათ თავის და მაიკლის ‚საიდუმლოს‘: ძილის წინ (მხოლოდ ძილის წინ) მაიკლის თხოვნით, ის მას ‚დედიკოს‘ ეძახის და ა.შ. ერთი მხრივ, ამ მონაკვეთში იგრმნობა კიბლინგის ირონია იმ ფარისევლური წესების მიმართ, რომელთა დაცვაც ჰელენს უწევს. ხოლო, მეორე მხრივ, ეს რუტინა ნიღბავს ჰელენის განცდებს, მის ნამდვილ საიდუმლოს, რომელიც ტვირთად აწევს მას. თუმცა, ამ მეორე ასპექტის მთელი სისრულით გააზრებას მკითხველი ნაწარმოების ბოლომდე წაკითხვის შემდეგ ახდენს. ავტორი ასევე მიგვანიშნებს, რომ სოფელში, სავარაუდოდ, იციან, რომ მაიკლი ჰელენის შვილია და მისი საფრანგეთში სუსტი ჯანმრთელობის გამო გამგზავრება მაიკლის დაბადებასთან არის დაკავშირებული; მაგრამ მათთვის მისაღებია ასეთი ‚სიმართლე‘, რაც ნაწარმოების საწყის აბზაცში გამოყენებულ შემფასებლურ ლინგვისტურ საშუალებებში ვლინდება: ‘[...] Helen Turrell did her duty by all her world, and by none more honourably [...]’; ‘[...]she most nobly took charge [...]’ (კიბლინგი 1983:334). ჰელენის მიერ გავრცელებული ისტორიის მცდარობა უკვე მოზარდ მაიკლთან დიალოგში იკვეთება; პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე მაიკლი გაუმხელს ჰელენს, რომ მას სურს მისი წინაპრების (დედის მხრიდან მისი ბაბუის, გადამდგარი ოფიციის)



პროფესია აირჩიოს და გახდეს სამხედრო მოსამსახურე. აღნიშნული ზე ჰელენი პასუხობს: 'იმას ხომ არ გულისხმობ, რომ მთელი ამ დროის განმავლობაში გჯეროდა ამ ძველი ისტორიის?' თუმცა ამ შეკითხვას შემდგომი განმარტებები არ მოსდევს.

მიუხედავად რთული, ორმაგი ცხოვრებისა, ჰელენი უზომოდ ბედნიერია. მაიკლთან გატარებული ყოველი წუთი მისთვის ძირიფასია, რაც შემდეგ მხატვრულ შედარებაში ვლინდება: 'The terms at his public school and the wonderful Christmas, Easter and Summer holidays, followed each other, variegated and glorious as jewels on a string; and as jewels Helen treasured them.' (კიბლინგი 1983:336-337). შთამბეჭდავია მაიკლის ლაკონური, სამსიტყვიანი, ალიტერაციული ფრაზით დახსაიათება: 'In a few years Michael took his place, as accepted as Helen had always been – fearless, philosophical and fairly good-looking' (კიბლინგი 1983:335).

როგორც უკვე აღინიშნა, მოთხოვის მეორე ნაწილი ეთმობა მგლოვიარე ჰელენის ცხოვრების აღწერას, რომელიც მთლიანად სოფელში არსებული სამგლოვიარო განწყობის ფონზეა წარმოდგენილი; განსაკუთრებით აღსანიშნა ომთან დაკავშირებული მეტაფორა: ომი არის ახალგაზრდათა ჰოლოკოსტი. 'At the end of August he was on the edge of joining the first holocaust of public-school boys [...] ' (კიბლინგი 1983:337) და ზოგადად, ომი არის ჰოლოკოსტი, ეს უკანასკნელი შეიძლება მივიჩნიოთ გავრცობილ მეტაფორად; სოფლის მაცხოვრებლებიდან ბევრმა დაკარგა ომში ოჯახის წევრი: 'By this time the village was old in experience of war, and, English fashion had evolved a ritual to meet it' (კიბლინგი 1983:338). კიბლინგი მიმართავს ისტორიულ ალუზიებს, ახსენებს რა იმ ტერიტორიებს, სადაც პირველი მსოფლიო ომის დროს მძიმე ბრძოლები მიმდინარეობდა, მაგალითად, გალიპოლის და მესოპოტამიას, ადგილებს სადაც მსხვერპლი განსაკუთრებით დიდი იყო. მეტაფორას ომი ჰოლოკოსტია უკავშირდება ასევე ჯარისკაცების გაუსაძლისი პირობების აღმწერი პასაუები.

ავტორი ყურადღებას ამახვილებს მგლოვიარე ადამიანის განცდათა ცვალებადობაზე, ერთგვარ ევოლუციაზე; თავდაპირველად მაიკლი უგზოუკვლოდ დაკარგულად არის გამოცხადებული და არსებობს გარკვეული იმედი, მოლოდინი, რომ ის ერთ-ერთ ტყვეთა ბანაკშია. მაგრამ ეს იმედი თანდათანობით ქრება, ჰელენი ეგუება

აზრს, რომ მაიკლი აღარ არის და მისთვის ცხოვრება ჩერტვებაში [...Michael died and her world had stood still...]. აღნიშნული გარდა-ტეხის აღსაწერად კიპლინგი მხატვრულ შედარებას მიმართავს; გლოვის ეტაპები ტყვია-წამლის მაწარმოებელ ქარხანაში (ქარხანაში მაიკლმა წაიყვანა ჰელენი) ჭურვის წარმოების პროცესს არის შედა-რებული: [...] he had taken her over to a munition factory, where she saw the progress of a shell from blank-iron to the all but finished article. It struck her at the time that the wretched thing was never left alone for a single second; and "I'm being manufactured into a bereaved next to kin," she told herself [...] (კიპლინგი 1983:339). ეს შედარება ტექსტში გა-ვრცობილი მეტაფორის სახეს იღებს: გლოვის რიტუალის სხვადას-ხვა ეტაპი კონვეირზე განთავსებული ჭურვის წარმოების პროცედუ-რასთან არის გაიგივებული. გარკვეული დროის შემდეგ ჰელენს ატყობინებენ, რომ მაიკლის ნეშთი ნაპოვნია, იდენტიფიცირებულია და ჰაგენზილის სამხედრო სასაფლაოზე გადასვენებული. მსგავსად ზემოხსენებული ჭურვის წარმოების პროცესისა, მგლოვიარე ჰელე-ნი გლოვის რიტუალის შემდგომ ფაზაში გადადის: 'So Helen found herself moved on to another process of the manufacture – to a world full of exultant or broken relatives [...] (კიპლინგი 1983: 339). ბევრი მგლო-ვიარე თანასოფლელისგან განსხვავებით, მას .გაუმართლა', ვინაი-დან მან იცის თუ სად არის მაიკლის საფლავი. მოთხოვბაში ომში დაღუპულთა საფლავები კონცეპტუალიზებულია, როგორც საკურ-თხეველი: [...] there was an altar upon earth where they might lay their love' (კიპლინგი 1983:339). მოყვანილი ციტატა შეიცავს კონცეპტუა-ლურ მეტაფორებს: საფლავი არის საკურთხეველი, სიყვარული არის საგანი, კურძოდ, ყვავილების თაიგული.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მონაკვეთი, რომელიც ჰე-ლენის ჰაგენზილში ჩასვლაზე მოვითხოობს. აქ კიპლინგს შემო-ჰყავს ორი მოქმედი პირი, ორი ქალბატონი, რომელთაც, ჰელენის მსგავსად, მათი ცხოვრების საიდუმლო მძიმე ტვირთად აწევთ; ლან-კაშირელი ქალბატონი შვილის საფლავს ეძებს, თუმცა არ იცის, თუ რომელი სახელით ჩაეწერა ის არმიაში, ან ზუსტად სად დაიღუპა; ეს გაურკვევლობა მკითხველს მიანიშნებს აღნიშნული ქალბატონის ცხოვრებისეულ საიდუმლოზე: ტექსტობრივი იმპლიკაციის მეშვეო-ბით, მკითხველმა შეიძლება დაასკვნას, რომ ,რესპექტაბელურობის'



(‘coming of respectable folk’) გამო ლანკაშირელი ქალბატონის შეცილება დააშორეს. ამით შეიძლება აიხსნას სახელთან დაკავშირებული, გაუგებრობა’. მეორე ქალბატონი მისის სკარსუერთია. ერთი შეხედვით ენერგიული, კომუნიკაბელური, როგორც თავად ხაზგასმით აღნიშნავს, მას არავინ არ დაუკარგავს ომში; ის მხოლოდ გარდაცვლილთა ნათესავების დავალებათა შემსრულებელია და მათი თხოვნით უკვე მეცხრედ ჩადის ევროპაში სამხედრო სასაფლოების მოსანახულებლად და დამკვეთთა ოჯახის წევრთა საფლავების ფოტოების გადასაღებად. თუმცა მოგვიანებით, მისის სკარსუერთი ჩამოიხსნის ამ ნიღაბს და სასოწარკვეთილი გამოუტყდება ჰელენს, რომ ხსენებულ დავალებებს იმიტომ ასრულებს, რომ თავისი შეყვარებულის (რომელთანაც აკრძალული სიყვარული აკავშირებდა) საფლავი მოინახულოს. ინტერესს იწვევს, პილიგრიმობის ეპიზოდში ერთ-ერთი ხის კონსტრუქციის მქონე შენობის აღწერა, რომელშიც გამოიკვეთება ფრაზა ‘false front’ - ,ყალბი ფასადი’; აქ კიდლინგი, თითქოს, სამი ქალბატონის ცხოვრების ყალბ ფასადურობაზე მიუთითებს. როგორც ავტორი აღნიშნავს, ხსენებული შენობის დანახვა ამძაფრებს ჰელენის კოშმარს: ‘Tea in a crowded mauve and blue striped wooden structure, with a false front, carried her still further into the nightmare’ (კიბლინგი 1983:340).

საყურადღებოა, რომ ზემოხსენებულ ლექსში ტვირთი სახარების მარია მაგდალინელის გარდა, სხვა სამი ქალბატონის, სამი მარია მაგდალინელის, ხმაც’ ისმის. ეიერსის თანახმად (2003:17), ისინი შეიძლება მოთხოვონ სამ პილიგრიმ ქალბატონს დაუკავშიროთ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ XVIII-XX საუკუნეებში, ევროპაში, კანადაში, ავსტრალიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ჯერ პროტესტანტული ეკლესიის, ხოლო მოგვიანებით, რომის კათოლიკური ეკლესიის მფარველობის ქვეშ არსებობდა, ცოდვილ ქალთა’ თავშესაფრები სახელწოდებით, მაგდალინელთა თავშესაფარი’ (Magdalene Asylums) (მაკვართი 2010); შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ მოთხოვონ ეპიგრაფი ორ აღუზიას მოიცავს: მინიშნებას სახარებისეულ აღდგომის სცენაზე და მინიშნებას მარია მაგდალინელის განზოგადოებულ სახეზე. გთავაზობთ მონაკვეთს ლექსიდან, რომელიც, სავარაუდოდ, ჰელენ ტარელის, ხმაც’ აღიქმება:

One grief on me is laid
 Each day of every year,
 Wherein no soul can aid,
 Whereof no soul can hear:
 Whereto no end is seen
 Except to grieve again –
 Ah, Mary Magdalene,
 Where is there greater pain?

მოთხოვბის კულმინაციას სასაფლაოს სცენა წარმოადგენს. კიპლინგი ქმნის სასაფლაოს შთამბეჭდავ, დრამატიზ-მით აღსავს ხატს, რომელშიც შავი და გადახუნებული ფერები დო-მინირებს, გარდაცვლილი მეომრები ან მათი სულები კი მოცელილ ბალახთან ასოცირდება, რაც ონტოლოგიური მეტაფორა-პერსონა-ფიკაციის სახით შეიძლება წარმოვადგინოთ. საყურადღებოა, რომ ერთ-ერთი მკვლევარი (უოლისი 1973) კიპლინგის მიერ გამოვონი-ლი სასაფლაოს სახელწოდების – ჰაგენზილ სამი (*Hagenzeele Three*) ფონეტიკური ელერადობის ანალიზის საფუძველზე შემდეგნაირ ინ-ტერპრეტაციას გვთავაზობს: ჰაგენ – შემოფარგლული ადგილი, ზილ – სული, სამი კი სამების სიმბოლო.

'All she saw was a merciless sea of black crosses, bearing little strips of stamped tin at all angles across their faces. She could distinguish no order of arrangement in their mass; nothing but a waist-high wilderness as of weeds stricken dead, rushing at her' (კიპლინგი 1983:343).

სამხედრო სასაფლაოს ეს ხატი ეხმიანება გავრცობილ მეტაფო-რას ომი არის ჰოლოკოსტი. მოყვანილი შავ-თეთრი სურათის შემ-დეგ, ავტორს შემოჰყავს ნათელი ფერები: ამ ქაოტურ, შავ ჯვართა ,უმოწყალო ზღვის' მიღმა ჰელენი თვალს მოჰკრავს სითეთრეს, ნა-თელ ზოლს, ფერადოვანი ყვავილებითა და მწვანე ბალახით და სწო-რედ ამ ფონზე კიპლინგს შემოჰყავს მოთხოვბის მთავარი სიმბოლო – მებაღე (ქრისტე), უზომო თანაგრძნობის, სიყვარულისა და მიმტე-ვებლობის განსახიერება. სასაფლაოს გამწვანებული ნაწილი კი შეიძ-ლება აღვიქვათ, როგორც სამოთხის აღუზია. საყურადღებოა, რომ სათაურის გარდა ნაწარმოების ტექსტში ენობრივი ერთეული მებაღე გვხვდება მხოლოდ სამჯერ: ნაწარმოების შუა მონაკვეთში ნახსენე-



ბია სოფლის ეკლესიის რექტორის მებაღე (მიუხედავად პუნქტუალურ მონაკვეთში ლექსიკური ერთეულის პირდაპირი მნიშვნელობით გამოყენებისა, ეს მებაღეც რელიგიასთან არის კავშირში), ფინალურ სცენაში სიტყვა *gardener* ორჯერ არის ნახსენები. უნდა აღინიშნოს, რომ სახარებისეული აღდგომის სცენის ერთგვარ პერიფრაზისთვის მკითხველის შემზადება ლანკაშირელი ქალბატონის სცენაშიც ხდება: კიბლინგი გაკვრით აღნიშნავს, რომ სამ ქალბატონთა პილიგრიმობა აღდგომის კვირეულს ემთხვევა.

ფინალში კიბლინგი კვლავ მიმართავს ქრისტეს აღდგომის ეპიზოდის ალუზიას, რომელიც ამჯერად იოანეს სახარებას ეფუძნება. უფრო მეტიც, მოთხრობის ეს სცენა შეიძლება მივიჩნიოთ ერთგვარ ალუზიურ პერიფრაზად. სასაფლაოს მოვლილ ნაწილში ელენი თვალს მოჰკრავს მამაკაცს და გაიფიქრებს, რომ ის „შვარა დ მებაღა“: ‘A man knelt behind a line of headstones- evidently a gardener, for he was firming a young plant in the soft earth’ (კიბლინგი 1983:343). მამაკაცის შეკითხვაზე თუ ვის ეძებს ის, ჰელენი მაიკლს მმისშვილად მოიხსენიებს, ამის პასუხად კი მებაღე უსაზღვრო თანაგრძნობით უპასუხებს: “Come with me,” he said, “and I will show you where your son lies” (კიბლინგი 1983:344). მებაღის პასუხი ყველაფერს ნათელს ჰქონის; მკითხველისათვის აშვარა ხდება, რომ მაიკლი თავად ჰელენის ვაჟია. აქ ლექსიკური ერთეული ‘gardener’ კვლავ სიმბოლურ დატვირთვას იძენს – ის ქრისტესთან ასოცირდება, ის ქრისტეს ერთ-ერთი რეპრეზენტაციაა სახარებაში. სავარაუდოდ, ჰელენის შეხვედრა და საუბარი მებაღესთან/ქრისტესთან ათავისუფლებს მას მისი ცხოვრებისეული ტვირთისგან.

მოთხრობის დამაბოლოვებელ პასუხში კი ალუზიურ ასოციაციათა ამამოქმედებელ ლინგვისტურ ერთეულს ორი სახარებისეული ფრაზა წარმოადგენს: ‘When Helen left the Cemetery *she turned* for a last look. In the distance she saw the man bending over his young plants; and she went away, *supposing him to be the gardener*’ (კიბლინგი 1983:344).

შეიძლება ითქვას, რომ სათაური, ეპიგრაფი და ფინალური პასუხი ქმნის მოთხრობის ალუზიურ ჩარჩოს, რომლის ფარგლებშიც იშლება და მეტაფორულ დატვირთვას იძენს მთლიანი ნარატივი.



ამრიგად, კიბლინგის მოთხოვბის „მებაღე” ანალიზმა კონფიდენციალური ლინგვისტიკის, სტილისტიკისა და დისკურსის ანალიზის თვალსაზრისით გამოავლინა ალუზიური მეტაფორის როლი მოთხოვბის სტრუქტურის ჩამოყალიბებაში. ნაწარმოების სათაურში, კპიგრაფსა და ფინალურ პასაჟში წარმოდგენილი სახარებისეული ალუზია მკითხველში ასოციაციათა ჯაჭვს აღძრავს, რის შედეგადაც სამიზნე და საწყისი ტექსტების ფრეიმული სტრუქტურების შედარება და შესაბამისად, დაკავშირებაა შესაძლებელი. სახარებისეული აღდგომის ეპიზოდი გავრცობილი მეტაფორისა და ასევე, ფონის სახეს იღებს მოთხოვბაში. აღნიშნული ფონის ფარგლებში ავტორს შემოჰყავს ასევე გავრცობილი მეტაფორები ომი ჰოლოკოსტია, ვლოვის რიტუალი მექანიზებულია. ეს გავრცობილი მეტაფორები სხვადსხვა ლინგვისტური საშუალებით რეალიზდება მოთხოვბაში. უნდა აღინიშნოს მეტაფორები: საფლავი საკურთხეველია, დაღუპული მეომართა სულები გადამხმარი ბალახია, სიმწვანე/მცენარეები აღმდგარი სულებია. ამ პოლიფონიურ მეტაფორულ სივრცეში „გადაადგილდება” ნაწარმოების მთავარი მოქმედი პირი, ფიგურა, ჰელენ ტარელი, რომელიც მარია მაგდალინელთან არის გაიგივებული. მისი „გადაადგილების” საბოლოო მიზანი მებაღესთან/ქრისტესთან შეხვედრა და ცხოვრებისეული ტვირთისგან გათავისუფლებაა.

ლიტერატურა

ასალი აღთქმა და ფსალმუნები 1990 – New Testament and Psalms. USA: Slavic Gospel Press. 1990.

გალპერინი, ილია 1977 – Galperin, Ilja. Stylistics. Moscow: Higher School. 1977.

გოუტლი, ენდრიუ 1997 – Goatly, Andrew. The Language of Metaphors. London: Routledge. 1997.

გრეგორიუ, ქრისტიანა 2009 – Gregoriou, Christiana. English Literary Stylistics. New York: Palgrave Macmillan. 2009.

დოლინინი, ალექსანდრე 1983 – Долинин, Александр. Загадки Редьярда Киплинга. Kipling, Rudyard. Poems. Short Stories. Moscow: Raduga Publishers, 9-32. 1983.

გიერს, როჯერ 2003 – Ayers, Roger. The Gardener. The Kipling Journal. Vol.77, # 308. London: The Kipling Society, 9-20. 2003.

კიპლინგი, რადიარდ 1983 – Kipling, Rudyard. Poems. Short Stories. Moscow: Raduga Publishers. 1983.

კიპლინგი, რადიარდ 2024 – Kipling, Rudyard. The Burden. allpoetry.com>The Burden. (03.03.2024).

კუკი, გაი 1994 – Cook, Guy. Discourse and Literature. Oxford: Oxford University Press. 1994.

მაკართი, რებეკა, ლეა 2010 – McCarthy, Rebecca, Lea. Origins of the Magdalene Laundries. An Analytical History. McFarland & Company, Inc. Publishers. 2010.

https://books.google.ge/books/about/origins_of_the_Magdalene_Laundries (10.03.2024).

სტინი, გერარდ, გიბსი, რეიმონდ 2004 – Steen, Gerard & Raymond, Gibbs. Questions about metaphor in literature. European Journal of English Studies. 2004. Vol.8, No 3, Routledge: Taylor and Francis Group, 337-354.

უოლისი, ბრუს 1973 – Wallis, Bruce, E. The Resurrection Motif in Kipling's 'The Gardener'. Studies in Short Fiction. Vol.10, Issue 1(Winter 1973:99).

NINO DARASELIA

Allusive Metaphors in Kipling's *The Gardener*

Summary

The paper discusses the function, distribution and effect of allusive metaphors (Andrew Goatly's term) in Kipling's short story *The Gardener*. The study has been carried out within the framework of cognitive linguistics, stylistics and discourse analysis. The research has revealed the validity of Andrew Goatly's viewpoint on the metaphoric nature of allusion. Namely, in *The Gardener*, the allusion to the Resurrection

episode of the Gospels: (a) makes the comparison of different aspects of the source and target texts available; (b) triggers a conceptual metaphorical comparison of two distinct mental spaces; (c) as a result, creates extended metaphors linked to the Resurrection and Mary Magdalene motifs. Alongside these allusive metaphors the following extended metaphors have been attested in the story: *War is the Holocaust of the Young, War is Holocaust, Mourning Ritual is a Conveyer-belt-like Process*. This polyphony of metaphors forms the ground for the figure of the narrative – Helen Turrell, whose pilgrimage to her illegitimate son's grave (conceptualized as an alter where she can lay her love) culminates in her encounter with the Gardener i.e. Christ, the symbol of infinite compassion, forgiveness and kindness.

The paper also deals with some stylistic devices (alliteration, simile, irony) and pragmatic means (conversational implicature). Irony and conversational implicatures serve as tools to point to the false front of Helen Turrell's lifestyle.

ზოგიერთი მასში ბევრი მატერიალი და მეცნიერებები მოიხსენიერება ა კოდიტ (d) კატეგორია ეძღვა საქართველოს ენაზე, ან (e) კოდიტის უკავშირით მატერიალი მოიხსენიერება ენაზე, ან ის მიზნი კატეგორია ხასიათი და მატერიალი მატერიალი არის ან კოდიტის უკავშირით მატერიალი და მატერიალი არის ენაზე. მაგრამ ამ მასში არ მოიხსენიერება მატერიალი და მატერიალი არის ენაზე.

კონცეპტ „სინათლის“ მეტაფორული გაგრცობა არ არის მატერიალი და მატერიალი არის სინათლასგან ენასა და კულტურაში ირიც დამატებული იქნება. მაგრამ ამ მასში არ მოიხსენიერება მატერიალი და მატერიალი არის ენაზე.

ცნობილია, რომ ესა თუ ის სიტყვა დროთა განმავლობაში იცვლის თავის პირველად მნიშვნელობას. მნიშვნელობის ცვლილების, კერძოდ კი გაფართოების, მიზეზი უმეტესწილად არის მეტაფორული გავრცობა.

ლეიკოვისა და ჯონსონის აზრით, მეტაფორა თან სდევს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებას და გამოვლინდება არა მარტო ენაში, არა-მედ აზროვნებასა და ქმედებაშიც. ცნებითი სისტემა, რომლის საშუალებითაც ჩვენ ვაზროვნებთ და ვმოქმედებთ, მეტაფორულია მთელი თავისი არსით (ლეიკოვი და ჯონსონი 2003, 387).

ამა თუ იმ ენობრივი კოლექტივისთვის საერთო პირობითი ხატი უაღრესად მნიშვნელოვან როლს თამაშობს ენაში და ხშირად წარმოადგენს კონცეპტუალურ მეტაფორას. კონცეპტუალური მეტაფორა ემყარება ისეთ ურთიერთობიმართებას ორ სხვადასხვა ცნებას შორის, როდესაც ერთი ცნების თვისებები მეორეს მიეწერება. აზროვნების პროცესი უმეტესწილად მეტაფორულია. ამიტომაც, ადამიანის კონცეპტუალური სისტემა მეტაფორულადაა სტრუქტურირებული და ჩამოყალიბებული (ლეიკოვი და ჯონსონი, 2003:6).

ზოლტან კოვეჩესის აზრით, კონცეპტუალური მეტაფორის მიზანს წარმოადგენს აბსტრაქტული ცნებები, ხოლო წყაროს - უფრო კონკრეტული (კოვეჩესი 2002, 6).

თ. ნიუარაცის თანახმად, მეტაფორიზაციის პროცესში „წყარო არ ეს უმეტესად წარმოადგენს ლექსემები, რომლებიც დაკავშირებულია ფერთან, სი ათლესთან, ტემპერატურასთან, ზედაპირთან“ (ნიუარაც 2005, 115).

მოცემული ნაშრომის მიზანია კონკრეტული ცნების – სინათლის, მეტაფორიზაციის შესწავლა სხვადასხვა ენასა და კულტურაში.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით¹, სინათლე არის მზის სხივებით ან ხელოვნურად წარმოქმნილი ნათება, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია საგნების დანახვა, გამოსახულების მკაფიოდ გარჩევა¹.

სინათლესთან დაკავშირებული ძირითადი ლექსემები ქართულში არის ზედსართავი სახელი ნათელი და მისგან მიღებული არსებითი სახელი სინათლე, ხოლო ინგლისურ ენაში ძირითადი ლექსემაა არსებითი სახელი light, რომელიც პროტოგერმანიკული ძირიდან მომდინარეობს, (ძველ ინგლისურში *leoh*, *līht* (ზედსართავი სახელი და არსებითი სახელი), და ზმნა *līhtan*, და უკავშირდება ბერძნულ სიტყვას *leukos* 'თეთრი' და ლათინურ ლექსემას *Iux* 'შუქი'.

საყურადღებოა, რომ სინათლის ცნება მსოფლიოს მრავალ ენასა და კულტურაში უკავშირდება ცოდნას, თვით ქართული სიტყვა განათლებაც ამას მოწმობს. შდრ. ასევე რუსული просвещение, და ინგლისური enlightenment (განმანათლებლობა, როგორც ფილოსოფიური, საზოგადოებრივი და ლიტერატურული მიმდინარეობა XVIII საუკუნის ევროპაში). საინტერესოა ასევე ის ფაქტი, რომ ინდურ კულტურაში გავრცელებული სიტყვა გუरუ (სულიერი მოძღვარი, მასწავლებელი) სინათლეს უკავშირდება და ორი ძირისგან შდგება, კერძოდ, სანსკრ. गृ - सिद्धेन्त, रु - सिनातले. ინდოელი პროფესორი პუरნანანდა გუპტასარამა სინათლის შემდეგ განმარტებას იძლევა: „სინათლე არის მეტაფორა, რომლის მეშვეობითაც ჩვენ შეგვიძლია იმის დანახვა, შემეცნება და გაგება, თუ ვინ ვართ, ვინ არიან სხვები და რას ვაკეთებთ ამ ქვეყანაზე“.²

ცოდნას, გაგებას, აღქმას უკავშირდება ასევე ქართული ფრაზა „ნათელია“ (მაგ. ჩემთვის ყველაფერი ნათელია, ანუ გასაგებია). იგივე მნიშვნელობა გამოიხატება ინგლისური სიტყვით clear (ნათელი, აშკარა). შემეცნების, გაგების მნიშვნელობა ჩანს ასევე ქართულ ფრაზე ოლოგიურ ერთეულში „გონება გამინათდა“ და ინგლისურ იდიო-

¹<https://www.ganmartebe.ge/word/%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%97%E1%83%A1%E1%83%94> (ნახვა: 28.01.2024)

² Purnananda Guptasarma 2021. Light as a metaphor (for love and understanding). <https://www.linkedin.com/pulse/light-metaphor-love-understanding-purnananda-guptasarma> (ნახვა: 28.01.2024)



მატურ გამონათქვამში “*a bright idea came to my mind*” (კრიტიკული მომივიდა).

ცოდნისა და სინათლის ცნებები გადაიკვეთება არაერთ ინგლისურ იდიომში, მაგალითად: *A ray of light, A spark of light, A flash of light*. ყველა ეს იდიომი ქართული „გონების განათების“ ეკვივალენტია. ასევე საყურადღებოა იდიომები *shed light, throw light, cast light*, რომლებიც ნიშნავს „შუქის მოფენას“, ანუ რაიმე საკითხში სიცხადის შეტანას.

სინათლის, როგორც ცოდნის მეტაფორაა ასევე გამოყენებული ცნობილ გამონათქვამში ცოდნა სინათლეა, უცოდინარობა – სიბნელეო. ცნობილია, რომ ილიაც იყენებს სინათლეს, როგორც ცოდნის მეტაფორას, და ცოდნას სინათლის წყაროს – სანთელს ადარებს (მაგ. ერთხელ ანთებული ცოდნა კი არასოდეს არ გაქრება)!

გარდა სანთლისა, ცოდნასთან დაკავშირებული მეტაფორები, ბუნებრივია, უკავშირდება მზეს. „მზე არის სიმბოლური ცენტრი, კოსმოსის გული, ყოფიერების ცენტრი; ის არის აგრეთვე სიმბოლო ინტუიციური ცოდნისა, გონისა, გასხივოსნებისა, დიდებისა და დიდებულების, მეუფების... მზე სამყაროს „თვალია“, ღვთაებრივის ხილული ხატი, სინათლის ტრანსცენდენტული არქეტიპი; მზე „სამყაროს კარია“ – ცოდნასა და უკვდავებაში შესასვლელი“ (ბარბაქაძე 2014).²

რ. ცანავას თანახმად, არქეტიპულ სიმბოლოებს შორის ყველაზე გავრცელებულია „შუქი“. „უამრავმა სიტყვამ და მენტალური სფეროდან გადმოსულმა გამოთქმამ, რომლებიც „შუქის“ მეტაფორებს ქმნიდნენ, („შუქი მოჰყინა“, „ნათელი გახდა“) დაკარგა ექსპრესიულობა და ჩვეულებრივ, ყოველდღიურ მეტყველებაში გადავიდა... შუქი არის იდეების კონფიგურაციის ნიშანი, ანუ გონების (გონიერების) ნიშანი... „შუქის“ სახე ძალიან კარგად ესადაგება გონების მთავარი იმაგინაციური სიმბოლოს როლს: შუქი არის სემანტიკური გარსი, გონება – ნამდვილი შინაარსი“ (ცანავა 2009, 11).

¹ ილია ჭავჭავაძე. სიტყვა წარმოთქმული სკოლის გახსნაზე სოფელ წინამძღვრიანთვარში

² ბარბაქაძე, ც. „მზის“ მეტაფორები. 2014. ინტერნეტ გაზეთი *mastsavlebeli. Ge* <https://mastsavlebeli.ge/?p=3943> (ნახვა: 26.01.2024)



სინათლის, როგორც „გონების განათების“ მეტაფორული მნიშვნელობით ვნელობა ასევე კარგად ჩანს ლათინურიდან ინგლისურში შემოსულ სიტყვებში, როგორიცაა Illumination (პირდაპირი მნიშვნელობით „განათება“, გადატანითი მნიშვნელობით – „გასხივოსნება“). საკუთრივ გერმანიკული ძირის სიტყვაც enlightenment გასხივოსნებას, ანუ გონების განათებას ნიშნავს. იმავეს აღნიშნავს სინათლესთან დაკავშირებული რუსული ლექსიკური ერთეულიც просветление. თვალი, როგორც სინათლის აღქმის ორგანო, ხმირად მეტაფორულად განივრცობა და შემეცნების მნიშვნელობას იღებს, როგორც „გონების თვალით“ დანახული სინათლე. მაგ. დილის ლოცვებში მოხსენიებულია შემდეგი: „აწცა განმინათლენ თუალნი გონებისა ჩემისანი!“.

აღსანიშნავია, რომ თვალი, როგორც სინათლის აღქმის ორგანო, სინათლის ცნებას უკავშირდება ასევე ქართულ სიტყვაში „უსინათლო“, ანუ ზრმა ადამიანი, რომელიც სინათლეს ვერ ხედავს. თვალისა და სინათლის მნიშვნელობაა გამოხატული ასევე ქართულ საალერსო მიმართვის ფორმებში: მაგ. „ჩემო თვალის სინათლევ“, „ორთავ თვალის სინათლევ“. ასეთი საალერსო მიმარათვის ფორმით ესაუბრება იღლია სამშობლოს: „ორთავ თვალის სინათლევ, რაზედ მოვიწყენა?!“

სინათლის, როგორც ცოდნის შეძენისა და გასხივოსნების მეტაფორა მკაფიოდ არის გამოხატული ინდურ დღესასწაულში „დივალი“, რომლის სახელწოდებაც სანსკრიტიდან ითარგმნება, როგორც „სინათლის მწკრივი“. ამ დღესასწაულის დროს ინდოეთში ინთება მრავალი სადღესასწაულო ლამპარი. დივალი მიიჩნევა „სინათლის გამარჯვებად სიბნელეზე, სიკეთის ბოროტებაზე და ცოდნის უმეცრებაზე“.

აღსანიშნავია, რომ სინათლე მეტაფორულად უკავშირდება ღმერთს. ღმერთის, როგორც სინათლის მეტაფორა მსოფლიოს ყველა წამყვან რელიგიაში ფიგურირებს.

ქრისტიანობაში ერთ-ერთ მთავარ ადგილს იკავებს ღმერთის, როგორც სინათლის ცნება. მაგ. ღმრთაებრივმა ნათელმა მოიცვა ტაძარი.

ძველ აღთქმაში, „დაბადებაში“ მოიხსენიება ღმერთი, როგორც სინათლის შემქმნელი და თქუა ღმერთმან: „იქმენინ ნათელი“, და იქმნა ნათელი.

ღმერთთან დაკავშირებული სინათლის მეტაფორები რაგენ-თხელ მოიხსენიება სახარებაშიც, მაგ. „ნათელი, რომელ გამობრწყინ-და დასაბამსა, განაძი ბნელი იგი, რომელი დგა ზედა უფსკრულთა და უფალი ჩუენი გამობრწყინდა აღსასრულსა სოფლისასა და აქოცა ბნელი იგი უფსკრულისად“¹

„ნათელ სახელ-ედების ზოგად მრწყინვალებასა მას ერთ-ღმრთებისასა. და კუალად მე ნათელ არს მამისა, და ეგრეთვე სული ნათელ გამომავლინებელისა მის ნათელთავსა“²

ღმერთთან დაკავშირებული სინათლის მეტაფორები წარმო-დგენილია ასევე ინდუიზმში, მაგალითად, ინდუიზმის მიხედვით, სინთლე არის ღმერთისა და ჭეშმარიტების სიმბოლო. ბჰაგავად გიტას ინგლისურ ვერსიაში ღმერთი მიხსენიებულია როგორც *Light of all lights* (ბჰაგავად გიტა (13:17)). გარდა ამისა, არსებობს ცნობილი მანტრა, რომელიც ღმერთს გაჭირვებისგან დახსნის თხოვნით მი-მართავს:

Om Prabhu Deep Niranjan Saba Dukha Bhanjan (სანსკრიტიდან ითარგმნება, როგორც „სამყაროს ნათელო, უმწიველოო, გამათავი-სუფლე ყველანაირი გასაჭირისგან“).

ღმერთი, როგორც სინათლე მოიხსენიება ასევე ყურანშიც:

„ალლაპი ცათა და მიწის ნათელია. მისი ნათელი ნიშის და-რია, რომელშიც ლამპარია. ლამპარი მინაშია, რომელიც მარგალი-ტის მსგავს ვარსკვლავს ჰგავს. იგი ალდება დალოცვილი ზეთისხი-ლის ხისგან, რომელსაც არ ანათებს მზე მხოლოდ აღმოსავლეთიდან ან მხოლოდ დასავლეთიდან. მისი ზეთი მზადაა ანათოს ცეცხლის მიუკარებლადაც. იგია სინათლე სინათლეზე! დაადგენს ალლაპი თავის სინათლეზე, ინებებს ვისაც!“ (სურა ან-ნური, 24/35).

ამრიგად, როგორც ზემომყვანილი მაგალითები გვიჩვენებს, მსოფლიოს ყველა წამყვანი რელიგიური მიმდინარეობა უხვად იყე-ნებს ღმერთის, როგორც სინათლის მეტაფორებს.

¹ სინური მრავალთავი 864 წლისა, სასტამბოდ მოამზადეს მველი ქართული ენის კათედრის წევრებმა აკაკი შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლე-ვით, თბ., 1959.

² მც. ქართული ენის კათედრის შრ. 11, შესავალი ფსალმუნთა თარგმანებისა, გამსც. მოამზადა მზ. შანიძემ. თბ., 1968.



ასევე უნდა აღინიშნოს, რომ, განსხვავებით რუსული, ინგლისური სური და სხვა ევროპული ენებისგან, მხოლოდ ქართულში უკავშირდება სინათლეს ნათლობის/ნათლიის/ნათლისღების ცნებები (შდრ. რუსული *крестить/крестный*, რომელიც უკავშირდება ჯვარს, და ინგლისური *Christen* (მომდინარეობს ქრისტესგან, და *Baptize* (მომდინარეობს ბერძნულიდან და „წყალში ჩაყოფას“ ნიშნავს).

საინტერესო ასევე, რომ მრავალ ინგლისურ იდიომში სინათლე უკავშირდება იმედს. მაგალითად: *light at the end of the tunnel*, *light in the darkness*, *light in the ashes* ქართული იდიომი – ნათელი მომავალი ასევე იმედს უკავშირდება, ისევე როგორც ინგლისური *A light on the horizon*.

გარდა ამისა, ქართულ კულტურაში სინათლე უკავშირდება გარდაცვლილთა სულების დალოცვას, მაგ. „ღმერთმა გაანათლოს მისი სული“, „ღმერთმა ნათელში ამყოფოს“, „აქც კარგი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგესა“ (არსენას ლექსი). მსგავსი ლოცვები არ არის ინგლისურ და რუსულ ენებში (შდრ. ინგლისური *rest in peace* – მშვიდობით განისვენოს, და რუსული *царствие небесное* (ღმერთმა დაუმკიდროს ცათა სასუფეველი) და *пусты земля будет пухом* (მსუბუქი იყოს მისთვის მიწა).

გარდაცვლილებთან დაკავშირებით, ასევე უნდა აღინიშნოს სინათლის კონცეპტის შემცველი ქართული კომპოზიტი სულმათი, ანუ დიდებული სულის მქონე, ნეტარხსენებული.

სინათლე ასევე მეტაფორულად უკავშირდება სილამაზეს. გავიხსენოთ თუნდაც ვეფხისტყაოსნის ცნობილი მაგალითი: „სოფლისა მნათი მნათობი, მზისაცა დასთა დასული“. ამ კუთხით, საინტერესო ასევე ქართული შედეგენილი სიტყვა „პირნათელი“, რომლის მნიშვნელობები შემდეგია: 1. ნათელი სახის მქონე, მაგ. პირნათელი ქალიშვილი. 2. პირობის შემსრულებელი, შეურცხვენელი. მაგ.

მის წინაშე პირნათელია.

როგორც ამ მნიშვნელობებიდან ჩანს, სინათლე მეტაფორულად უკავშირდება როგორც ფიზიკურ, ასევე სულიერ სილამაზეს.

სინათლის დადებითი კონტაციის დასტურია ისიც, რომ ეს ცნება უხვადაა წარმოდგენილი ანთროპონიმებში. მაგალითად, ქართული სახელები ნათელა, ლაშა, რუსული – Светлана (Света), ესპანუ-

რი - ლუსია, იტალიური - ლუჩანო, ასევე არაბული სახელი ნური (სინათლე), ინდური არჯუნა და მრავალი სხვა. სინათლის მეტაფორიზაციის მაგალითი ასევე აღმოჩნდა ინდურ ტოპონიმში, კერძოდ, ინდოეთის ინდური სახელი „ბჰარატა“ მომდინარეობს ძირიდან „ბჰა“ – სინათლე. ასევე უნდა ითქვას, რომ რუსულ ენაში სინათლის ცნება უკავშირდება არა ერთ კონკრეტულ ქვეყანას, არამედ მთელ სამყაროს, მაგ. *Одна у меня Верочка на всем белом свете (Д. Донцова. "Сияющие Игрушки"), Он самый умный человек на свете* და სხვა.

სინათლის მეტაფორული გავრცობის კიდევ უამარავი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ ამჯერად შემოვიფარგლები ერთი შემაჯამებელი ციტატით: „Metaphors for light offer us a rich tapestry of imagery to convey complex emotions, experiences, and ideas. From guiding beacons to flickers of hope, these metaphors illuminate our language and allow us to express the beauty and complexity of the world around us.“¹

ამრიგად, როგორც კვლევამ აჩვენა, სინათლის მეტაფორიზაცია, შეიძლება ითქვას, უნივერსალური მოვლენაა. სინათლესთან დაკავშირებული მეტაფორები მსოფლიოს მრავალ ენაში, რელიგიასა და კულტურაში უკავშირდება ღმერთს, მზეს, თვალს, სილამაზეს, იმედს, განათლებას და გასხივოსნებას. რამდენადაც სინათლის გარეშე არ არსებობს სიცოცხლე, ეს კონცეპტი მეტაფორულად ასახულია უამრავ შედგენილ სიტყვაში, ფრაზეოლოგიურ ერთეულსა და საკუთარ სახელში.

ლიტერატურა

ბარბაქაძე 2014 – ბარბაქაძე ც., „მზის“ მეტაფორები. ინტერნეტ გაზეთი *mastsavlebeli*. Ge <https://mastsavlebeli.ge/?p=3943>. 2014.

დრიუ 2022 – Drew, K. 25 Metaphors for Light. <https://phrasedictionary.org/metaphors-for-light/>. 2014.

¹ 25 Metaphors for Light By Chris Drew / December 26, 2022, <https://phrasedictionary.org/metaphors-for-light/> (ნახვა 29.01.2024)



კოვეჩესი 2002 – Kovacs, Z. (2002). *Metaphor. A Practical Introduction*. Oxford University Press. 2002.

ლეიკოვი, ჯონსონი 2003 – Lakoff G., Johnson M. *Metaphors We Live By*. London: The University of Chicago Press. 2003.

ნიუარაძე 2005 – ნიუარაძე თ., მეტაფორა მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის გერმანულენოვან მხატვრულ პროზაში. სადოქტორო დისერტაცია. თბ., 2005.

რუხაძე 2013 – რუხაძე გ., საღმრთისმეტყველო ლექსიკონიცნობარი. რედ. გვანცა კოპლატაძე. – მე-2 გამოცემა. – თბ. : საქ. საპატრიარქოს გამ-ბა, 2013 (გამ-ბა "მერიდიანის" სტ.).

ცანავა 2009 – ცანავა რ., მეტაფორა. თბ., 2009.

IRINE DEMETRADZE

Metaphorical Extension of the Concept “Light” in Different Languages and Cultures

Summary

It is widely known that, with time, words change their meanings. In the majority of cases, the change of meaning is based on metaphorical extension. The paper focuses on the metaphorization of the primary meaning of the word “light” in different languages and cultures. The analysis of the empirical material obtained from the internet resources, everyday speech, literary and religious texts, has proved that metaphors related to light represent a universal phenomenon. In numerous languages, religions and cultures, the metaphors of light are related to God, the universe, the sun and the candle as sources of light, the eye as the organ of perception of light. Other concepts related to the metaphor of light are beauty, hope, education, knowledge and enlightenment. Since life is impossible without light, the metaphorical extension of this concept is also found in numerous proper names, compound words and phraseological units.

ପାତ୍ରାତିକାଳୀନ ପାତ୍ରମାତ୍ରାଙ୍କ ଓ ଏହା ଉଚ୍ଚମାତ୍ରାଙ୍କ ପାତ୍ରମାତ୍ରାଙ୍କ

ଓଡ଼ିଆ ପ୍ରକାଶନ କମନ୍ସ ଏଣ୍ଟ୍ରିପ୍ରୋଫିଲ୍ ଟେଡ ଟାଳ୍କ-୦୧ ମହିନେରେଇବାରୁ

სტატია მიმოიხილავს გოფმანის სისტემური შეზღუდვებიდან ერთ-ერთს, კერძოდ აკუსტიკურად ადეკვატურ და ინტერპრეტირებად შეტყობინებებს TED Talk-ის მოხსენებებში.

ემპირიულ მასალად გამოყენებულია TED Talk-ის 10 გამოსვლა, სადაც თავად მეცნიერები თუ მკლევრები გამოდიან და სხვა-დასხვა თემაზე აკეთებენ მოხსენებებს. თითოეული გამოსვლის ხან-გრძლივობა საშუალოდ 12-18 წუთი, მოხსენების ენა – ინგლისური. მასალა მოპოვებულია TED-ის ოფიციალურ გვერდზე: www.ted.com.

ნაშრომის თეორიულ საფუძველს ქმნის ერვინ გოფმანის მოძღვრება სისტემური და რიტუალური შეზღუდვების შესახებ (გოფმანი, 1976; ჰერბი, 1992).

წინამდებარე სტატიის მიზანია ნახოს, თუ როგორ მიიღწევა TED Talk-ის მომხსენებლის აკუსტიკური ადეკვატურობა და ინტერპრეტირებულობა, რა სტრატეგიებია ამისათვის გამოყენებული.

გასულ ათწლეულებში, ინტერნეტის გამოჩენასთან ერთად, გაჩნდა კომუნიკაციის ახალი ფორმები, შეიქმნა ინფორმაციის გავრცელებისათვის ახალი არხები და ამას, ზუნებრივია, მოჰყვა ახალი ჟანრის გაჩენა. ინფორმაციის ინტერნეტით გავრცელების ერთ-ერთი ასეთი ახალი საშუალებაა TED-ი. მას სათავე 1984 წელს ჩაეყარა, როგორც კონფერენციას, რომელზეც იკრიბებოდნენ ექსპერტები ძირითადად სამი სფეროდან: ტექნოლოგია, გართობა და დიზაინი. შემდგომ TED-ის პრეექტი მნიშვნელოვნად გაფართოვდა. 2007 წელს შეიქმნა TED-ის ვებგვერდი, რამაც TED-ის ფორმატი გახდა ცნობა-დი მთელს მსოფლიოში. გაჩნდა ახალი ჟანრი, რომლითაც თანდა-თან დაინტერესდნენ დისკურსის ანალიზით დაკავებული მკვლევ-რები (კალიუნდო 2014; კომპანიონუ 2014; სკოტონ დი კარლო 2014). კა-



ლიენდოს (2014) აზრით TED Talk-ის მოხსენებები რამდენიმე უნიკალური ცენტრული აუდიო-ვიზუალური გადაცემები, აქ ერთმანეთს ერწყმის სხვადასხვა სემიოტიკური ფორმა: სასაუბრო, წერილობითი, ვიდეო და აუდიო.

TED Talk-ი არის პრეზენტაცია, რომლის ვიდეო ჩანაწერიც ხელმისაწვდომია ოფიციალურ ვებგვერდზე. მოხსენებები დაჯგუფებულია თემის მიხედვით: მეცნიერება, განათლება, ხელოვნება და დიზაინი, ბიზნესი, კომუნიკაცია, კლიმატური ცვლილებები, პოლიტიკა და ა.შ. ვიდეო ჩანაწერებთან ერთად, ასევე ხელმისაწვდომია ტრანსკრიპტები და სუბტიტრები სხვადასხვა ენაზე.

მოხსენებები გამიზნულია ორი ტიპის აუდიოტორიისათვის: ა) აუდიოტორია, რომელიც ესწრება გამოსვლას სტუდიაში და ბ) აუდიოტორია, რომელიც უყურებს ვიდეოჩანაწერს, ვებგვერდისა და youtube-ის საშუალებით. შესაბამისად, TED Talk-ის მოხსენებები გამიზნულია ფართო აუდიოტორიისათვის. აქედან გამომდინარე, მომხსენებელი უნდა შეეცადოს მისი ნათქვამი იყოს გასაგები ფართო აუდიოტორიისთვის, მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება კომუნიკაცია წარმატებული. მან უნდა ისაუბროს შესაბამისი ტემბრით, ხმის სიმაღლით, ტემპით და ლექსიკით. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ TED Talk-ის გამოსვლას ესწრება ასობით ადამიანი, სიტყვით გამომსვლელმა უნდა მოახერხოს მათი დაინტერესება, გაკონტროლება და არ მისცეს მათ ზედმეტი ხმაურის საშუალება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მოუბარი პირის აკუსტიკური ადეკვატურობის დარღვევა.

კომუნიკაციის წარმატებული ფუნქციონირებისათვის საჭიროა შეტყობინებები იყოს ინტერპრეტირებადი, სმენით ადვილად აღსაქმელი და გასაგები. სწორედ ეს არის გოფმანის ერთ-ერთი სისტემური შეზღუდვა. შეტყობინების გაგებას შეიძლება ხელი შეუშალოს, ერთი მხრივ, იმ გარემოში არსებულმა ხმაურმა ან, მეორე მხრივ, გამოთქმული აზრის არასწორ ლინგვისტურ ფორმაში ჩამოყალიბებამ. იმ შემთხვევაში, თუ მოხდა შეტყობინების არასწორად ფორმულირება, უნდა მოხდეს მისი ჩასწორება, წინააღმდეგ შემთხვევაში კომუნიკაცია ვერ შედგება (ჰეთჩი, 1992).

TED Talk-ის ჟანრში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წარმო-

თქმული გამონათქვამები იყოს აკუსტიკურად ადეკვატური: დაშინული ტერპრეტირებადი ყველასათვის. უნდა აღინიშნოს, რომ TED Talk-ში ყურადღება გამახვილებულია სამეცნიერო კვლევებზე და მომხსენებლები ცდილობენ გადასცენ სამეცნიერო ცოდნა ფართო აუდიტორიას (სკოტო დი კარლო, 2014). TED-ის მომხსენებლები ხშირად არიან მეცნიერები ან ცნობილი ხალხი, რომლებმაც თავად ჩატარეს კონკრეტული კვლევა, რასაც წარადგენენ (მირანდა, 2018). ისინი ცდილობენ თავიანთი გამოსვლა მოარგონ და გასაგები გახადონ აუდიტორიისათვის. სიტყვით გამომსვლელმა უნდა ითიქროს იმ ხალხზე, რომელიც მას უყურებს. ისინი შეიძლება იყვნენ სხვადასხვა ასაკის, სოციალური სტატუსისა თუ განათლების მქონე ინდივიდები, რომლებსაც ხშირ შემთხვევაში არ აქვთ ცოდნა იმ საკითხზე, რასაც უსმენენ. შესაბამისად, მათი მეტყველება უნდა ერგებოდეს და გასაგები იყოს მეტნაკლებად ფართო აუდიტორიისათვის.

მომხსენებლის აკუსტიკურ ადეკვატურობაში უპირველეს ყოვლისა იგულისხმება საუბრისას ხმის სიძლიერე (ფლოიდი, 2018). იმისათვის, რომ წარმოთქმული იყოს საკარისად ძლიერი, შესაბამისად აკუსტიკურად ადეკვატური და ინტერპრეტირებადი TED Talk-ის ჟანრში ამის ერთ-ერთი გარანტია მიკროფონია.

ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ გვაჩვენა, რომ TED Talk-ის მომხსენებლებს აქვთ მიმაგრებული სპეციალური ხმის გამაძლიერებელი მოწყობილობები, რომლებიც არეგულირებენ ხმის სიმაღლეს, მეტყველებას ქმნის აკუსტიკურად ადეკვატურს და ამისათვის თავად მოუბარს არ უწევს ხმის სიმაღლის აწევა. სიტყვით გამოსვლის დაწყებამდე წინასწარ მუშაობს ხმის ოპერატორთა ჯგუფი, რომლებიც არეგულირებენ ხმის სიმაღლეს, რაც გარკვეულწილად აკუსტიკური ადეკვატურობის გარანტია.

საუბრის აკუსტიკურ ადეკვატურობას შეიძლება საფრთხე შეუქმნას აუდიტორიის ხმაურმა, გადაჭარბებულმა ოვაციებმა თუ ტაშმა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ განხილულ ემპირულ მასალებში მსგავსი პრობლემა არ აღინიშნა. სავარაუდოდ ეს განპირობებულია TED Talk-ის ფორმატით, სადაც სტუდიაში დამსწრე აუდიტორიას წინასწარ ეძლევა მითითება, თუ როგორ უნდა მოიქცეს, როდის დაუკრას ტაში და გამოხატოს ოვაციები.

საუბრის აკუსტიკურ ადეკვატურობას ასევე განსაზღვრავს მო-

უბარი პირის მეტყველების ტემპი, არტიკულაცია და თავისუფალი, გამართული მეტყველება (ფლოიდი, 2018). უნდა აღინიშნოს, რომ TED Talk-ის მომხსენებლები წინასწარ ემზადებიან, გეგმავენ გამოსვლას, დაისწავლიან ტექსტს, მუშაობენ საკუთარ თავზე, რომ გამოსვლის დროს ისაუბრონ მისაღები ტემპით, გააკეთონ პაუზები სწორ დროს, მოახდინონ სიტყვების სწორად არტიკულირება და არ გამოიყენონ პაუზის შემავსებლები. შესწავლილ ემპირიულ მასალაში, როგორც მოსალოდნელი იყო, არ ვეხვდება ამ კუთხით აკუსტიკური ადეკვატურობისათვის საფრთხის შექმნა, რადგან აღნიშნული მოხსენებები წინასწარაა მომზადებული.

მომხსენებლების საუბარი გარდა აკუსტიკურად ადეკვატურისა, ასევე უნდა იყო ინტერპრეტირებადი, ანუ მათ უნდა გამოიყენონ ისეთი ლექსიკა და წინადადების წყობა, რომელიც მისაღები და გასაგები იქნება ყველასათვის. აქედან გამომიდინარე, ერთი მხრივ, მომხსენებლები ცდილობენ საუბრისას გამოიყენონ ნეიტრალური სიტყვები, მარტივი, სასაუბრო ლექსიკა და წინადადების კონსტრუქციები, ხოლო, მეორე მხრივ, სამეცნიერო ტერმინოლოგია, რადგან მათი მიზანია აუდიტორიამ მიიღოს გარკვეული ახალი ინფორმაცია აღნიშნულ თემაზე. ამასთანავე, მათ უნდა მოახდინონ შთაბეჭდილება აუდიტორიაზე, როგორც საკითხის მცოდნებმა, და ამის მიღწევის ერთ-ერთი საშუალება სწორედ სამეცნიერო ენისა და ტერმინების გარკვეული რაოდენობით გამოყენებაა.

იქიდან გამომდინარე, რომ მოხსენებები სამეცნიერო თემებზეა, მომხსენებლები ვერ აუვლიან გვერდს ტერმინების გამოყენებას. თუმცა, ისინი ცდილობენ ასეთი მონაკვეთებიც გასაგები გახადონ ფართო აუდიტორიისათვის. ამისათვის იყენებენ სხვადასხვა სტრატეგიებს. ემპირიული მასალის ანალიზმა აჩვენა, რომ ერთ-ერთი ასეთი სტრატეგიაა ა) ვიზუალური დამხმარე საშუალებები – სლაიდების გამოყენება და ვერბალური ახსნა.

(1) The Giant Magellan Telescope (სლაიდზე აჩვენებს აღნიშნულ ტელესკოპს) will have 10 times the resolution of the Hubble Space Telescope. It will be 20 million times more sensitive than the human eye. And it may, for the first time ever, be capable of finding life on planets outside of our solar system. It's going to allow us to look back at the first light in the universe – literally, the dawn of the cosmos (ფრიდმანი, 2014).

მოცემულ მაგალითში მომხსენებელი, ასტრონომი ისაუბრობს ტელესკოპის კონკრეტულ მოდელზე და იმისათვის, რომ აუდიტორიამ მოახდინოს ინფორმაციის აღქმა და ინტერპრეტირება, სლაიდზე აჩვენებს აღნიშნულ ტელესკოპს, რის შემდეგაც ხსნის თუ როგორ მუშაობს აღნიშნული ტელესკოპი. უნდა აღინიშნოს, რომ ახსნისას მომხსენებელი ცდილობს გამოიყენოს მარტივი წინადადებები, ნეიტრალური (eye, back, light) და სასაუბრო შემოკლებული ფორმები (it's).

ბ) ვიზუალური დამხმარე საშუალებების – სლაიდების გამოყენება და ვერბალური აღწერა.

(2) Now, what is a phage? The image that you see here was taken by an electronic microscope. And that means what we see on the screen is in reality extremely tiny. The grainy thing in the middle with the head, the long body and a number of feet – this is the image of a prototypical phage. It's kind of cute (ბელკრედი, 2018).

მომხსენებელი საუბრობს ფაგებზე, იმისათის რომ აუდიტორიამ მოახდინოს აღნიშნული ტერმინის სწორი ინტერპრეტაცია, სთავაზობს სლაიდზე ფაგის სურათს და ასევე აღწერს, თუ როგორ გამოიყერება ფაგი. ამ შემთხვევაშიც, აღწერისას მომხსენებელი იყენებს მარტივ წინადადებებს, ნეიტრალურ (thing, middle, head, long body, number of feet) და სასაუბრო (cute) ლექსიკას და შემოკლებულ ფორმებს (it's).

გ) ვიზუალური დამხმარე საშუალებების – სლაიდების გამოყენება და ვერბალურად ტერმინის განმარტება.

(3) He called the agent he had found an „invisible microbe“ and gave it the name „bacteriophage“, which, literally translated, means „bacteria eater“ (ბელკრედი, 2018).

მეტყველების აკუსტიკური ადეკვატურობა და ინტერპრეტირებულობა მჭიდრო კავშირშია უკუკავშირთან. უკუკავშირის სიგნალი ან მსმენელის შესაბამისი რეაგირება სიგნალს აძლევს მოუბარ პირს, რომ მის მიერ ნათქვამი იქნა გაგებული და ის ნათელია. თუ არ იქნება მოსალოდნელი რეაქცია, მაშინ ხდება ნათქვამის ჩასწორება, სანამ არ გვექნება სასურველი შედეგი.

დარბაზში მსხდომი აუდიტორიის უკუკავშირი სიგნალს აძლევს მომხსენებელს, რომ ნათქვამი სწორად იქნა ინტერპრეტირებული.

ლი. ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ ჩვენა, რომ სიცილი და გამოიყენება, როგორც უკუკავშირის სინალი, როთაც მომხსენებელი აფასებს, რამდენად სწორად გაიგო მის მიერ ნათქვამი წინადადება თუ მონაკვეთი აუდიტორიამ.

(4) So, we've learned in the last century that there are exotic objects in the universe – black holes. We've even learned that there's dark matter and dark energy that we can't see. So you're looking now at an actual image of dark matter (აუდიტორის სიცილი). You got it. Not all audiences get that (დოკუმენტი, 2019).

მოცემულ მაგალითში, აუდიტორის სიცილი იყო მანიშნებელი მომხსენებლისათვის, რომ აუდიტორიამ მოახდინა სწორი ინტერპრეტირება, რაზეც თავად მომხსენებელმაც გააკეთა კომენტარი. მომხსენებელი შიშობდა, რომ შეიძლება მისი ნათქვამი სწორად ვერ გაეგო აუდიტორიას, რადგან ყველას არ ესმოდა ეს.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ განხილულ ემპირიულ მასალა-ში აუდიტორის უკუკავშირი, როგორც მიმანიშნებელი იმაზე, რომ რაღაც იქნა გაგებული, არ გამოვლინდა. აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ მომხსენებლებს თავად უწევთ წინასწარ იმაზე ფიქრი, თუ რა შეიძლება აღმოჩნდეს აუდიტორისათვის გაუგებარი და რთულად ინტერპრეტირებადი და შესაბამისად მოახდინონ სა-თქმელის გადმოცემა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ:

1. TED Talk-ის სპეციფიკიდან გამომდინარე საუბრის აკუსტიკური ადეკვატურობა, ხმის სიძლიერე მიიღწევა ხმის გამაძლიერებელი მოწყობილობით;
2. მომხსენებლის გამოსვლა არის ყოველთვის აკუსტიკურად ადეკვატური, რაც გამოიხატება საუბრის ტემპში, გამართლობასა და არტიკულაციაში, რადგან აღნიშნული მოხსენებები წინასწარ ვარგად მომზადებული და დაგეგმილია;
3. დამსწრე აუდიტორის მხრიდან მომხსენებლის აკუსტიკურ ადეკვატურობას საფრთხე არ შექმნია, რაც განპირობებულია სავარუდოთ TED Talk-ის ფორმატით;
4. მომხსენებები იყენებენ ისეთ ლექსიკასა და წინადადების

წყობას, რომელიც გასაგები იქნება ფართო აუდიტორისა-თვის;

5. იმ შემთხვევაში, როდესაც გამოიყენება რთული, სპეციფიკური ლექსიკა, მომხსენებელი მათ ვერბალური და ვიზუალური საშუალებებით განმარტავს;
6. ემპირიულ მასალაში სიცილი და ტაში გამოიყენებოდა, როგორც ნათქვამს ადეკვატურ და სწორ ინტერპრეტაციაზე მიმანიშნებელი უკუკავშირის სიგნალები.

ლიტერატურა

გოფმანი 1981 – Goffman, Erving. „Forms of Talk“. University of Pennsylvania Press, Philadelphia, 1981.

კალიენდო 2014 – The Popularization of Science in Web-Based Genres. In Bongo, Giancarmine/Caliendo, Giuditta (eds.), The Language of Popularization: Theoretical and Descriptive Models/Die Sprache der Popularisierung: Theoretische und Deskriptive Modelle. Bern: Peter Lang, 2014, 101-132.

კომპანონე 2014 – Compagnone, Antonio. Knowledge Dissemination and Environmentalism: Exploring the Language of TED Talks. In Chiavetta, Eleonora/Sciarrino, Silvana/Williams, Christopher (eds.), Popularization and the Media. 2014.

მირანდა 2018 – Miranda, J. A. S. TED Talks: a genre analysis. Dissertação (mestrado) – Universidade Federal de Santa Catarina, Centro de Comunicação e Expressão, Programa de PósGraduação em Inglês: Estudos Linguísticos e Literários, Florianópolis, 2018.

სკოტი დი კარლო 2014 – Scotto Di Carlo, G. New trends in knowledge dissemination: TED Talks. Acta Scientiarum. Language and Culture, 36 (2), 121-130, 2014.

ფლოიდი 2018 – Floyd, K. Communication Matters. McGraw Hill: New York, 2018.

ჰეთჩი 2001 – Hatch, Evelyn. „Discourse and Language Education“. Cambridge University Press, 2001

TED Talk-ის მოხსენებები

ბელკრედი – Belcredi, A. (2018, ოქტომბერი). How a long-forgotten virus could help us solve the antibiotics crisis. (ვიდეო). TED Conferences.

https://www.ted.com/talks/alexander_belcredi_how_a_long_forgotten_virus_could_help_us_solve_the_antibiotics_crisis

დოელემანი – Doeeman, Sh. (2019, აპრილი). Inside the black hole image that made history. (ვიდეო). TED Conferences.

https://www.ted.com/talks/sheperd_doeeman_inside_the_black_hole_image_that_made_history

ლოგანი – Logan, J. (2019, მაისი). How we'reusing dogs to sniff out malaria. (ვიდეო). TED Conferences.

https://www.ted.com/talks/james_logan_how_we_re_using_dogs_to_sniff_out_malaria

მიდლბრუქსი – Middlebrooks, M. (2022, ოქტომბერი). The fantastically weird world of photosynthetic sea slugs.(ვიდეო). TED Conferences.

https://www.ted.com/talks/michael_middlebrooks_the_fantastically_weird_world_of_photosynthetic_sea_slugs

ტულევსკი – Tulevski, G. (2016, ნოემბერი). The next step in nanotechnology. (ვიდეო). TED Conferences.

https://www.ted.com/talks/george_tulevski_the_next_step_in_nano_technology/transcript

უილკოქსი – Wilcox, J. (2018, აპრილი).A new way to remove CO₂ from the atmosphere. (ვიდეო). TED Conferences.

https://www.ted.com/talks/jennifer_wilcox_a_new_way_to_remove_co2_from_the_atmosphere

ფრიდმანი – Freedman, W. (2014, ოქტომბერი). This telescope might show us the beginning of the universe. (ვიდეო). TED Conferences.

https://www.ted.com/talks/wendy_freedman_this_telescope_might_show_us_the_beginning_of_the_universe

ჯოული – Cowley, S. (2009, ოქტომბერი). Fusion is energy's future. (ვიდეო). TED Conferences.

https://www.ted.com/talks/steven_cowley_fusion_is_energy_s_future/transcript

შარმა – Sharma, A. (2018, ოქტომბერი). Ink made of air pollution (ვიდეო). TED Conferences.

https://www.ted.com/talks/anirudh_sharma_ink_made_of_air_pollution/transcript

MARIAM NEBIERIDZE

Acoustically Adequate and Interpretable Messages in TED Talk Presentations

Summary

This paper examines one of E. Goffman's system constraints, acoustically adequate and interpretable messages, in TED Talk presentations. The empirical data consists of 10 TED Talk presentations that have been obtained from the official website: www.ted.com.

As is known, in order that messages be acoustically adequate and interpretable, it is necessary to speak in appropriate volume, rate, be fluent, articulate words correctly and use relevant sentence structure and vocabulary. After a thorough study of the linguistic and empirical data, it has been revealed that TED Talk speakers maintain acoustic adequacy by means of microphones. Furthermore, the study has shown that the audience do not hinder the speaker's acoustic adequacy as their role is predetermined due to the nature of the TED Talk. The analysis of the data also proved that TED speakers sounded acoustically adequate by speaking at an appropriate rate, being fluent and articulating words properly.

In addition, the research placed emphasis on visual (slides) and verbal strategies (explanation, description and definition) used by the speakers to make the messages interpretable for the wider audience.

განაც რუსეთის
მარკოზი

უზუალური გეტაფორის სემანტიკურ-პრაგმატიკული

გოდელი და პონცეპტუალური

გეტაფორის ტიპოლოგია

კოგნიტურ ლინგვისტიკაში კარგად ცნობილმა ფუნდამენტურმა კონცეპტუალური მეტაფორის თეორიამ (ლეიკოფი და ჯონ-სონი 1980) ბიძგი მისცა მეტაფორის, როგორც ადამიანის მიერ სამყაროს შემეცნებისა და მისი დიფერენციაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ხერხის გააზრებას.

სამყაროს აღქმის მეტაფორიზაცია გულისხმობს მეტაფორის საწყისი (ადვილად აღქმადი) სფეროდან მის სამიზნე (ძნელად ხელ-შესავლებ) სფეროზე კონტექსტისათვის რელევანტური ასოციაციების (ან დამახასიათებელი თვისებების) გადატანასა და მისადაგებას. ეს პროცესი თვალსაჩინოს ხდის როგორც მეტაფორის სამიზნე სფეროს, ასევე მისი ორივე სფეროს დამაკავშირებელ თვისებებს. ცნობილია, რომ მეტაფორა კულტურული ფერმომენია. კოვესკესი (2005) მიიჩნევს, რომ სამყაროს კონცეპტუალური მეტაფორიზაცია გარკვეულ კულტურულ კონტექსტს უკავშირდება და უნივერსალურ და ვარიანტულ მოდელებს წარმოშობს. იგულისხმება, რომ მეტაფორის უნივერსალური მოდელი სხვადასხვა კულტურაში გავრცელების მაღალი ხარისხით ხასიათდება, ხოლო ვარიანტული მოდელი შეიძლება დაუკავშირდეს გარკვეული კულტურულ-სპეციფიკური, სოციალური თუ ისტორიული მოვლენის კონცეპტუალიზაციას.

სტატიის მიზანია, ემოციის გამომხატველი კონცეპტუალური მეტაფორების მასალაზე დაყრდნობით, დააზუსტოს ავტორის მიერ შემოთავაზებული (რუსიეშვილი 2005, 2023) გაცვეთილი, უზუალური მეტაფორის სემანტიკურ-პრაგმატიკული მოდელისა და მეტაფორის დეკოდირების სპეციფიკა და მასთან დაკავშირებული კონცეპტუალური მეტაფორის ტიპოლოგია.



ამ მოდელის მიხედვით, უზუალური მეტაფორა საქონელოდა ერთდაკავშირებული შრისგან შედგება. პირველ, ზედაპირულ შრეზე განთავსებულია მეტაფორის ვერბალური სტრუქტურა, რომელიც აფორმებს მის გადატანით მნიშვნელობას. მეორე შრეზე ცხადდება მეტაფორის სემანტიკურ-პრაგმატიკული (კონტექსტური) პარამეტრები, ხოლო მესამე შრეზე ფიქსირდება მეტაფორის მიერ ასახული სამყაროს ენობრივ-კონცეპტუალური მოდელი, რომელიც ეყრდნობა საზოგადოების სოციალურ, კულტურულ თუ ისტორიულ გამოცდილებას. საინტერესოა, რომ მესამე შრეზევე ფიქსირდება მეტაფორის სფეროებს შორის ბმის ხასიათი და ტიპი. უზუალური მეტაფორის სემანტიკურ-პრაგმატიკული მოდელის სამივე შრე მნიშვნელოვანია, სამივე მათგანი მონაწილეობს მნიშვნელობის შექმნაში და მხოლოდ მათი სინთეზი ქმნის მეტაფორას. მაგალითად, წინადადებაში, (1) I'm home from that work trip and happy as a pig in mud. I can't wait to sleep in my own bed tonight (სახლში დავბრუნდი მივლინების შემდეგ და მიხარია, ტალახში გაგორებული გოჭივით. ერთი სული მაქვს, სანამ საკუთარ ლოგინში დავიძინებ), მეტაფორის პირველ დონეზე ფიქსირდება მეტაფორული ფორმა (ამ შემთხვევაში, მთელი წინადადება), მისი მნიშვნელობა და პრაგმატიკული და კონტექსტური პარამეტრები ამოტივტივდება მის შეორე შრეზე (მოსაუბრე ბედნიერია, რადგან საკუთარ ლოგინში დაიძინებს). კულტურული თვალსაზრისით, მეტაფორის ინტერპრეტაციისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძნეს ფონური ცოდნის დონე, რომელზეც, როგორც აღვნიშნეთ, ამოტივტივდება სამყაროს ის მონაკვეთი, რომელსაც ავლენს მეტაფორის საწყისი სფერო და რომელსაც, ადამიანისა და საზოგადოების ანტროპოცენტრულ თუ კულტურულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ემსგავსება მეტაფორის სამიზნე სფერო. ამ მეტაფორული შედარების ხატის მიხედვით, ეს არის ინგლისელის მიერ შენიშნული გოჭების/ღორების დამახასიათებელი თვისება.

განსხვავებული მიდგომები არსებობს კონცეპტუალური მეტაფორის საწყისი სფეროდან სამიზნე სფეროზე ასოციაციებისა და დამახასიათებელი თვისებების გადატანისა და მისადაგების ტიპის თაობაზე. ვ. აპრესიანი (1997) მართებულად აღნიშნავს, რომ ემოციის გამომხატველი მეტაფორების ანალიზის დროს, ლეიკოფი და ჯონ-

სონი არ აკონკრეტებენ ამ მეტაფორის ტიპებს (თუმცა ისინი უფლავგა ზობენ კონცეპტუალური მეტაფორის ზოგად კლასიფიკაციას). ამის მაგალითად აპრესიანს მოჰყავს შემდეგი მაგალითები: ANGER IS HEAT (ბრაზი არის მხურვალება) და ANGER IS BURDEN (ბრაზი არის ტვირთი). მკვლევრის აზრით, განსხვავებულია ამ ორი მეტაფორული მოდელის საწყისი სფერო და, შესაბამისად, მათი მეტაფორიზაციის მექანიზმიც. კერძოდ, პირველი მათგანი ეყრდნობა ბრაზისა და მხურვალების მსგავს შეგრძნებებს, ხოლო მეორე – ბრაზისა და ტვირთის კონკიტურ მსგავსებას. ამის გარდა, აპრესიანის მტკიცებით, განსხვავებული ტიპის მეტაფორიზაცია განსხვავებულ მეტაფორას ქმნის. ემოციის გამომხატველი მეტაფორა, როგორც წესი, ასახავს ადამიანის გარკვეულ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას (რაც არის მეტაფორის სამიზნე სფერო), რაიმე კონკრეტული ან ადვილად აღსაქმელი ფენომენის (ამ შემთხვევაში, სიმბურვალის) მეშვეობით. ამგვარი მეტაფორა საინტერესოა რამდენიმე თვალსაზრისით. უპირველეს ყოვლისა, საწყისი სფეროს მახასიათებლებით, ასოციაციებისა და თვისებების მეტაფორული გადატანისა და სამიზნე სფეროსთვის მისადაგების (კონცეპტუალური მეტაფორის თეორიაში გავრცელებული ტერმინით, mapping) ტიპით.

მეტაფორის საწყისი სფეროს რაგვარობაზე დაყრდნობით, აპრესიანი საუბრობს სამი ტიპის მეტაფორაზე. ესენია ფიზიოლოგიური, კონკიტური და კულტურული მეტაფორები.

ფიზიოლოგიური მეტაფორა, ავტორის თეორიაში, მხოლოდ ასახელებს დენოტატს და არ აფასებს მას. ასევე, მეტაფორის საწყისი სფეროდან სამიზნეზე რელევანტური ასოციაციების გადატანის პროცესი ფიზიოლოგიურად არის შეპირობებული. მაგალითად, სიცივე და შიში ემოციურად მსგავსი შეგრძნებებია და, შესაბამისად, როგორც შიშის, ისე სიცივის მიმართ ადამიანი მსგავს შეგრძნებებს ავლენს (ფერი ეკარგება, ფითრდება, კანკალმა შეიძლება აიტანოს და ა. შ.).

აპრესიანის სამწევრა ტიპოლოგიის შემდეგი წევრი არის კულტურული მეტაფორა, რომლის საწყისი სფეროდან სამიზნეზე გადატანის პროცესი ეფუძნება კულტურულად მნიშვნელოვან კონტაციას. ამ ტიპის მეტაფორის მაგალითად ავტორს მოჰყავს მეტაფორე-

ბი JOY IS LIGHT (სიხარული არის სინათლე) და ANGER IS DARKNESS (ბრაზი არის სიბნელე) და აზუსტებს, რომ ამ ტიპის ერთეულები „ენაში სამყაროს გულუბრყვილო სურათს ასახავს“ (აპრე-სიანი, 1995:349-352). შემდეგ ავტორი დასძენს, რომ ამ ტიპის მეტაფორის საწყისი სფერო არ არის ჰომოგენური (რაც ლოგიკურია, კულტურული გამოცდილების ნაირფეროვნებიდან გამომდინარე, მ.რ) და შეიძლება მოიცავდეს მრავალ განსხვავებულ სფეროს.

მეტაფორის მესამე ტიპის, კოგნიტური მეტაფორის, როგორც საწყის, ისე სამიზნე სფეროში მსგავსი სემანტიკური კომპონენტ(ები) ვლინდება. მაგალითად, მეტაფორაში GRIEF IS BURDEN (დარღვევა/დარღვევა არის ტვირთი), ორივე სფერო მოიცავს კოგნიტურ მსგავსებაზე დაფუძნებულ საერთო სემებს (სევდა/დარღვე აღიქმება ტვირთის პრიზმაში, რომელთა ასოციაციური კომპონენტებია სიმძიმე, აუტანლობა, დაღლა ა.შ). კოგნიტური მეტაფორის საწყისი სფერო ეფუძნება გარკვეულ ფიზიოლოგიურ შეგრძნებას. ფიზიოლოგიური მეტაფორის მსგავსად, ეს მეტაფორაც შეგრძნებაზეა დაფუძნებული, თუმცა მისგან განსხვავებით, სადაც ასეთი კავშირი მეტაფორის სფეროების აუცილებელი მოცემულობაა, კოგნიტურ მეტაფორაში კი იგი მხოლოდ პირობითია.

თავად აპრესიანიც აღნიშნავს მის მიერ გამოყოფილი ტიპოლოგიის გარკვეულწილად არამყარ საფუძველს და აღნიშნავს, რომ მეტაფორის ტიპებს შორის გარკვეული მსგავსება არსებობს. მაგალითად, კოგნიტური და კულტურული მეტაფორები ემყარება არა რეალურ მსგავსებას მეტაფორის სფეროებს შორის, არამედ სფეროების დადებით ან უარყოფით შეფასებას. ამით, როგორც ავტორი მიიჩნევს, კოგნიტური მეტაფორა ეხმაურება კულტურულ მეტაფორას, თუმცა კოგნიტური მეტაფორის შემთხვევაში, შეფასების საფუძველი ფსიქოლოგიური ფაქტორით არის შეპირობებული, ხოლო კულტურულ მეტაფორაში – კულტურული ფაქტორებით. ასევე, კოგნიტური მეტაფორა, შეგრძნების ობიექტურობის თვალსაზრისით, უახლოვდება ფიზიოლოგიურ მეტაფორას. მაგალითად, მოდელში GRIEF IS BURDEN (დარღვე არის ტვირთი) დარღვე და ტვირთი მსგავსად გამოვლინდება და მსგავს ეფექტს ახდენს ადამიანებზე.



მეორე მხრივ, ფიზიოლოგიური და კოგნიტური მეტაფორის სფეროებს შორის ბმის ტიპში არის მსგავსებაც. აპრესიანი მიიჩნევს, რომ კოგნიტურ და კულტურულ მეტაფორაში ერთი ემოციის (საწყისი სფეროს) ასოციაციებისა და თვისებების გადატანა მეტაფორის სამიზნე სფეროზე რამდენიმე გზით შეიძლება მოხდეს, ხოლო ფიზიოლოგიურ მეტაფორაში ასეთი კავშირი ობიექტური და ცალსახაა.

აპრესიანის კლასიფიკაცია, მიუხედავად მისი გარკვეული მომხიბლელობისა, გარკვეულ კითხვებს აჩენს კლასიფიკაციის კრიტერიუმების თვალსაზრისით. მაგალითად, დამაბნეველია ავტორის მსჯელობა მეტაფორის ტიპების მსგავსებასა და განსხვავებაზე. გარდა ამისა, აპრესიანი არ მსჯელობს ძალიან ცნობილ უზუალურ კონცეპტუალურ მეტაფორაზეც, რომელიც ადამიანის სხეულთან არის დაკავშირებული (ჩვენი კლასიფიკაციით, ანტროპოცენტრული მეტაფორა). ემოციის მეტაფორული კონცეპტუალიზაციის მახასიათებლების შესწავლაც და ლიტერატურაც გვარწმუნებს, რომ ტიპის მეტაფორები საკმაოდ ხშირად გვხვდება და მათ განარჩევს, ასე-ვე, კოვესკესიც (2015).

ჩვენი აზრით, შესაძლებელია სამი ტიპის კონცეპტუალურ მეტაფორაზე მსჯელობა მეტაფორის საწყისი სფეროს ტიპისა და საწყისი სფეროდან სამიზნე სფეროზე რელევანტური ასოციაციების მახასიათებლების რაგვარობის კრიტერიუმზე დაყრნობით. ესენია ანტროპომორფული მეტაფორა, კულტურულ გამოცდილებაზე დაფუძნებული მეტაფორა და კომბინირებული მეტაფორა.

ანტროპომორფული მეტაფორის დროს მეტაფორიზაციის საწყისი სფერო და მისი საფუძველი არის ადამიანის სხეული ან მისი ფიზიოლოგიური ან ფსიქოლოგიური მდგომარეობა თუ ფუნქცია. აქ ვაერთიანებთ აპრესიანის მიერ გამოყოფილ ფიზიოლოგიურ და კოგნიტურ მეტაფორებს, თუმცა, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ აპრესიანი ადამიანის სხეულზე დაფუძნებულ მეტაფორას არ მიიჩნევს დამოუკიდებელ ერთეულად. ანტროპოცენტრული მეტაფორის მაგალითებია, (2) სიხარულით გული ევსებოდა; (3) ზიზღისგან შეაურეოლა; (3) ბედნიერებით თვალები უბრწყინავდა.

ანტროპოცენტრული მეტაფორის საწყისი სფერო შეიძლება აისახოს ადამიანის გარკვეული ფიზიოლოგიურ ორგანოსთან დაკავ-



შირებული ასოციაციებით (მაგალითად, გული, სული, თვალითურებული, ა.შ) ან ფსიქოლოგიური მდგომარეობის ასახვით. ჩვენ მიერ მოყვანილ (2) და (3) მაგალითებში, რომლებიც შეიძლება მივაკუთვნოთ მოდელებს (1) გული არის სიხარულის ჭურჭელი, (2) ზიზღი არის სიცივე, ტეტაფორული გადატანის საწყისი სფერო არის ადამიანის სხეული, ხოლო მეორეში-მისი ემოციურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობა. ორივე მათგანი აღწერს ემოციას, მხოლოდ განსხვავებული ფოკუსით.

მეტაფორის მეორე ჯგუფი დაფუძნებულია საზოგადოების გამოცდილებით შექმნილ კულტურულ მოდელზე და ემსახურება გარკვეული ემოციის, კულტურული თვალსაზრისით, სპეციფიკურ გამოხატვას. ასეთი მეტაფორის საწყისი სფერო ხმირად ეფუძნება სოციუმში გავრცელებულ გარკვეულ წარმოდგენას ან კულტურული თვალსაზრისით მნიშვნელოვან გამოცდილებას. მაგალითად, უკვე განხილულ მაგალითში *He was as happy as a pig in mud* (ტალახში მოკოტრიალუ გოჭივით/ღორივით ბედნიერი იყო).

მესამე ტიპის (კომბინირებული) მეტაფორის სემანტიკური სტრუქტურა მოიცავს ორივე ზემოთაღწერილი ტიპის ერთეულს. მაგალითად, (4) მაგალითში აქტუალიზდება ბედნიერების მეტაფორული კონცეპტუალიზაციის ორი მოდელი: ა. თვალი არის ბედნიერების ჭურჭელი და ბ. ბედნიერება არის სინათლე. ამის გამო, (4) შეიცავს როგორც ანტროპოცენტრულ, ისე კულტურულ მეტაფორას. მაგალითში (5) ხოფლის გულში სიძულვილი მწერივით ფუთფუთებდა, გვაქვს ასევე ორი მოდელი: ა. გული არის სიძულვილის ჭურჭელი (ანტროპოცენტრული მეტაფორა) და ბ. სიძულვილი მწერივით ფუთფუთებდა (კულტურული მეტაფორა).

როგორც აღვნიშნეთ, კონცეპტუალური მეტაფორის ტიპი და მის სფეროებს შორის კავშირის ტიპი ჩვენ მიერ შემოთავაზებული მოდელის მესამე (ფონური ცოდნის) შრეზე აქტუალიზდება. სწორედ ეს შრე გამოავლენს მეტაფორის სფეროების კავშირის ტიპს. გარდა ამისა, ჩვენი მოდელი საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ უნივერსალური და ვარიანტული ერთეულები. უნივერსალური ერთეულებს მოდელის სამივე შრე საერთო აქტ, ხოლო ვარიანტულ ერთეულებს – მხოლოდ შინაარსის შრე. ისინი განსხვავდებიან მოდელის

ზედაპირისა და ფონური ცოდნის შრეებით. მაგალითები (6) *Hatred like poison ran through his every thought* (სიძულვილი, როგორ საწამლავი, მიჰყვებოდა მის ყველა ფიქრს) და (7) წამლავენ საზოგადოებას სიძულვილით, რომელიც გვიბრუნდება ყველას, შეიძლება მივიჩნიოთ ენათაშორის უნივერსალურ ერთეულებად, რადგანაც ისინი უზუალური მეტაფორის სემანტიკურ-პრაგმატიკული მოდელის სამივე შრეზე ემთხვევიან და, ასევე, მიეკუთვნებიან საერთო კონცეპტუალურ მოდელს ზიზღი არის საწამლავი. შემდეგ მაგალითებში აქტუალიზებული მეტაფორები (8) ნუ ჩაიდებ გულში, ამოიგდე უგ ბოღმა და სიძულვილი, თორემ გაგიჭირდება და (9) *she was filled with hatred at the thought of lost anticipations* (სიძულვილით ივებოდა, როდესაც ფიქრობდა გაცრუებულ მოლოდინებზე (სიტყვა-სიტყვით: დაკარგულ მოლოდინებზე), მიუხედავად იმისა, რომ ისინი ვკეთვნიან ერთ კონცეპტუალურ მოდელს (სიძულვილი არის ჭურჭელი), ჩაითვლება ვარიანტულ (და არა უნივერსალურ) ერთეულებად, რადგანაც განსხვავდებიან მეტაფორის საწყისი სფეროთი, რომელიც ჩვენი მოდელის პირველ და მესამე დონეებს აერთებს. უფრო კონკრეტულად, (8) სიძულვილს გულში ათავსებს, ხოლო (9) მაგალითში სიძულვილის ჭურჭელი მთელი სხეულია. ანუ, სხვა სიტყვებით, შესაძლებელია, რომ მეტაფორები ერთ კონცეპტუალურ მოდელს კუთვნოდნენ, მაგრამ სრულ ერთეულებად მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება განვიხილოთ, თუ უზუალური მეტაფორის სემანტიკურ-პრაგმატიკული მოდელის ყველა შრეზე მსგავს სურათს გვაძლევენ. ვარიანტული მეტაფორები მსგავსი სემანტიკით ხასიათდებიან და, შესაბამისად, საერთო აქტ მოდელის შუა, ანუ მეტაფორის პირდაპირი მნიშვნელობის დონე.

მეორე მხრივ, (8) მაგალითში აქტულიაზებული მეტაფორა და (10) *She died soon afterwards, keeping her hatred of me alive in her heart* (ის მაღვე გარდაიცვალა, ჩემდამი სიძულვილს ცოცხლად ინახავდა გულში), შეიძლება უნივერსალურად მივიჩნიოთ, რადგანაც ისინი ჩვენი მოდელის სამივე შრეზე ემთხვევა.

მიგვაჩნია, რომ ჩვენ მიერ ამ ნაშრომში დაზუსტებული მეტაფორის უზუალური სემანტიკურ-პრაგმატიკული მოდელისა და მე-



ტაფორის ტიპოლოგიის საკითხები ხელს შეუწყობს კონცეპტუალური მეტაფორული მოდელების სიღრმისეულ კვლევას.

ლიტერატურა

აპრესიანი 1997 – Apresjan V., “Emotion Metaphors and Cross-Linguistic Conceptualization of Emotions,” Cuadernos de Filología Inglesa. 612. 1997, pp. 179-195, 1997.

ლეკოფი და ჯონსონი 1980 – Lakoff G., & Johnson M., (1980) Metaphors we live by. Chicago & London: The University of Chicago Press, 1980.

კოვეცესი 2005 – Kövecses Z., Metaphor in culture. Universality and variation. Cambridge and New York: Cambridge University Press, 2005.

რუსიეშვილი 2023 – Rusieshvili M., The Semantic Model of the Metaphor Revisited. Scripta Manent, N1 (55), 2023.

რუსიეშვილი 2005 – რუსიეშვილი მ., ანდაზა, „ლეგა“ 2005.

MANANA RUSIESHVILI

The Semantic-Pragmatic Model of a Dead Metaphor and a Typology of the Conceptual Metaphor

Summary

The paper describes and specifies the semantic-pragmatic model of the trite metaphor proposed by the author (Rusieshvili 2005, 2023) and the typology of the conceptual metaphor.

According to the semantic-pragmatic model of conventionalised, trite metaphor suggested by Rusieshvili (2005, 2023), a metaphor has a three-layered structure. On the surface layer, the verbal



form of the metaphor is fixed, which reveals its metaphoric meaning. On the middle layer, the contextual parameters of the metaphor are clarified and irrelevant metaphorical associations are filtered out. The third, upper layer contains the linguistic-conceptual model of the world depicted by the metaphor based on the social, cultural or historical experience of a person or society. The background knowledge layer becomes especially important when decoding a cultural conceptual metaphor. The semantic-pragmatic model of the metaphor allows the singling out of universal metaphors which coincide on all of the layers of the structure and variant models, which coincide only on the middle layer and thus share the middle, meaning layer.

In addition, the article describes a tripartite typology of conceptual metaphor-anthropocentric, cultural and combined metaphors.

Метафорическая модель языка – это сложная система, состоящая из трех взаимосвязанных и взаимообусловленных слоев: языкового (языковой), социокультурного (культурной) и философского (философской). Каждый из слоев имеет свою специфику, но они тесно связаны между собой. Языковой слой – это система языковых единиц, таких как слова, фразы, предложения. Культурный слой – это система социальных норм, ценностей, традиций, языковых норм и правил. Философский слой – это система философских концепций, идеалов, мировоззрений. Метафора – это способ передачи информации, который основан на сопоставлении двух несхожих объектов. Для того чтобы метафора была эффективной, необходимо, чтобы ее компоненты были взаимосвязаны и взаимообусловлены. Важно отметить, что метафора – это не просто описание языка, а способ его понимания и трактовки. Метафора – это способ передачи информации, который основан на сопоставлении двух несхожих объектов. Для того чтобы метафора была эффективной, необходимо, чтобы ее компоненты были взаимосвязаны и взаимообусловлены. Важно отметить, что метафора – это не просто описание языка, а способ его понимания и трактовки.

9436340
8082000135

ინსტრუქციათა შანრის ისტორიისა და
ტიპოლოგიებისათვის

წინამდებარე სტატიის მიზანია წარმოადგინოს ინსტრუქციის, როგორც ჟანრის ჩამოყალიბების ისტორია და განიხილოს ინსტრუქციათა ტიპოლოგიის საკითხი.

ნაშრომის თეორიულ საფუძველს ქმნის დისკურსის ანალიზი (ბრაუნი, იული 1983, ჰაიმსი 1964) და ჟანრთა თეორია (ზათია 1993, 2004; ლაგო, ლიონეტი 2012; ლასენი 2003; სვეილისი 1990, 2004). ემპირიული მასალა მოიცავს წერილობით (ზეჭდურ, ციფრულ), გრაფიკულ თუ მულტიმდიალურ ინსტრუქციათა ნიმუშებს.

ინსტრუქციათა ჟანრი ისტორიულ ჭრილში

ინსტრუქციათა ჟანრის ისტორია ადრეული პერიოდიდან იღებს სათავეს. ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 4000 წლით დათარიღებულ შუმერულ ფირფიტებზე გვხვდება ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ინსტრუქციის შემცველი ტექსტები (ისანი 2019).

სამეცნიერო ლიტერატურაში ვკითხულობთ: "The history of English writing is, to a considerable extent, the history of instructional writing in English" (პეიკოლა et al.2009). მექქვე საუკუნეში ანგლო-საქსურ სამყაროში ქრისტიანობის გავრცელებასთან ერთად, ლათინური ტექსტების გვერდით, ჩნდება საჭიროება ინგლისურ ენაზე იმ-გვარი ტექსტების შექმნისა, რომელთა მიზანიც ფართო აუდიტორი-ის ინსტრუქტორება იქნებოდა. ამ პერიოდში ინგლისურ ენაზე შექ-მნილ ტექსტებს მეტნაკლებად გამოხატული ინსტრუქციული ფუნ-ქცია გააჩნდა. ეს არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ რელიგიური ტექ-სტებით. მათ შორის იყო სამედიცინო, იურიდიული თემატიკის ტექსტები და რეცეპტები. შუა საუკუნეების შემდეგ კიდევ უფრო გა-იზარდა ინსტრუქციათა რაოდენობა. იქმნებოდა პრაქტიკული ინ-

სტრუქციული სახელმძღვანელოები, რომლებიც მოიცავდა მრავალ ფეროვან სფეროსა და თემატიკას (პეიკოლა et al 2009).

როჯერ ბრიჯმენი ინსტრუქციებზე საუბრისას აღნიშნავს: “Instructions are there to compensate for the inabilities of machines by employing the abilities of users, and therefore tell you something about the state of both at the time they were produced” (შუმახერი 2018). მე-18 საუკუნეში ცნობილმა ინჟინერმა ჯეიმს უოტმა შექმნა ასლის მანქანა, რომელსაც თან მოჰყვებოდა ინსტრუქცია. სწორედ ეს იყო ის ერთ-ერთი ადრეული ინსტრუქცია, რომელიც ბრიჯმენმა მოიპოვა და რომელსაც თანამედროვე ინსტრუქციისთვის დამახასიათებელი ნიშნები გააჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ უოტის ინსტრუქცია საკმარის საბაზისო იყო, ის აკმაყოფილებდა წარმატებული ინსტრუქციის ფუნდამენტურ პრინციპს - ინფორმაციის გადაცემის სიმარტივეს. ეს კი გულისხმობს, როგორც თავად ინსტრუქციის ტექსტის სწორ ადგილზე განთავსებას, ასევე ინფორმაციის სწორ განლაგებას ტექსტში. მეორე მნიშვნელოვანი პრინციპი აზრის სიცხადეა. ორმოცდაათზე მეტი წლის წინ კომპანია - Haynes ქმნიდა ინსტრუქციებს, რომლის საშუალებითაც მომხარებელს აწვდიდა ტექნიკურ რჩევებს გასაგები და პრაქტიკული გზით. დეტალურ ინსტრუქციებთან ერთად ის მოიცავდა სქემებს და ვიზუალურ საშუალებებს, რომელიც კიდევ უფრო მეტ სიცხადეს ანიჭებდა წერილობით ინსტრუქციებს. კიდევ ერთი ადრეული ინსტრუქცია ეკუთვნის კოდაკის კომპანიას. ის გვაწვდის ინფორმაციას კამერის გამოყენების შესახებ. გარდა ამისა, ტექსტი მომხმარებელს აძლევს დამატებით რჩევებს როგორ გადაიღოს კარგი ხარისხის ფოტო. ამ მიდგომით კომპანია მომხმარებელთან უფრო ახლო კავშირს ამყარებს და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივას ზრდის.

აღსანიშნავია ინსტრუქციათა ის სახეობაც, რომელიც არ შეიცავს ვერბალურ ელემენტებს. ამგვარი ინსტრუქცია ეკუთვნის შვედური წარმოშობის კომპანიას “IKEA”, რომლის ინსტრუქციები შედგება შავ-თეთრი, ორგანზომილებიანი ილუსტრაციებისგან. გარდა იმისა, რომ გასაგებად მარტივი და ეფექტურიანია, ამგავრი ინსტრუქციები არ საჭიროებს ტექსტის სხვადასხვა ენაზე თარგმნას. დროსთან ერთად იცვლება ინსტრუქციების ფორმატი. დღეს ეს ინფორმაცია



მომხარებელმა “Youtube” ვიდეოდან, ან ვებ-გვერდიდან [შეიძლება](#) მიიღოს. არსებობს პლატფორმაც – [ifixit.com](#), რომლის საშუალებითაც მომხმარებლები თავად ქმნიან ინსტრუქციებს კონკრეტული მოწყობილობის შესაკეთებლად და უზიარებენ ერთმანეთს რჩევებს. მარტივი საძიებო სისტემა საშუალებას გაძლევს მიიღო მარტივი, ნაბიჯ-ნაბიჯ გაწერილი ინსტრუქციები, რომლებიც კიდევ უფრო გამარტივებულია იმით, რომ მათ თან ახლავს ვიზუალური მასალა. ამგვარად, პროდუქტის განვითარებასთან ერთად ვითარდება და უფრო მრავალფეროვანი ხდება ინსტრუქციები. მათ ეფექტიანობას და ხელმისაწვდომობას ახალი ტექნოლოგიები (ხელოვნური ინტელექტი, ვირტუალური რეალობა) უზრუნველყოფს (შუმახერი 2018).

თუკი საწყის ეტაპზე ბეჭდურ ინსტრუქციათა ტექსტები დომინირებდა, მოგვიანებით გაჩნდა საჭიროება **ინტერაქციული, ელექტრონული ტექნიკური სახელმძღვანელოების** შექმნისა (Interactive Electronic Technical Manual -IETM), რომლებიც თავდაპირველად მხოლოდ ტრადიციული ინსტრუქციების ფუნქციურ ეკვივალენტად აღიქმებოდა, შემდგომ ეტაპზე კი მათ მნიშვნელოვანი უპირატესობა გამოავლინეს. ეს ყოველივე კი დაკავშირებულია შემდეგ ფაქტორებთან: ინფორმაციის ხელმისაწვდომობა; მულტიმედიური ტექნოლოგიების გამოყენებით ინფორმაციის წარმოდგენის ფორმატის ეფექტიანობა. მოგვიანებით, 1999 წელს, სამეცნიერო ლიტერატურაში ჩნდება ე.წ. „**ჭიკვიან ინსტრუქციათა სახელმძღვანელოს**“ (Intelligent Product Manual – IPM) ცნება, რომელიც მუტლიმედიური ტექნოლოგიების გამოყენებით მომხმარებლისთვის დროულ და საჭირო მხარდაჭერას უზრუნველყოფს და შემდეგ პრინციპებს აკმაყოფილებს: სიზუსტე, შესაფერისობა, მიმზიდველობა, სისრულე, თანმიმდევრულობა, ორგანიზება, განახლების შესაძლებლობა, სიცხადე. მაშინ, როცა აღნიშნული პრინციპები მსგავსია ტრადიციულ ინსტრუქციათა ტექსტების შემთხვევაშიც, ის, რაც მათ განარჩევთ არის ის, რომ „**ჭიკვიანი ინსტრუქციები**“ მეტად მორგებულია მომხმარებლის კონკრეტულ საჭიროებებზე და არ წარმოადგენს ზოგად აღწერას. ასეთი ინსტრუქცია ერგება მომხმარებელთა განსხვავებულ კატეგორიას და უზრუნველყოფს აქტიურ მხარდაჭერას. მულტიმოდალურ ინსტრუქციებს უფრო დეტალურად ჭიკვით მიმოვიზილავ.

ინსტრუქციათა ტიპოლოგიის საკითხი

ინსტრუქციათა ჟანრი ტექნიკურ დისკურსს მიეკუთვნება და ერთიანდება ტერმინის - ინგლისური პროფესიული მიზნებისთვის (English for occupational Purposes) ქოლგის ქვეშ.


სამეცნიერო ლიტერატურაში ინსტრუქციათა ტექსტები პრო-ცედურული დისკურსის ფარგლებში განიხილება. პროცედურული დისკურსი წარმოადგენს წერილობით თუ ზეპირ დისკურსს, რომელიც მკითხველს კონკრეტული დავალების შესრულებაში ეხმარება. აღნიშნულ დისკურსში მოიაზრება კომპიუტერული პროგრამის სახელმძღვანელო, ელექტრონული მოწყობილობის შეკეთების ინსტრუქცია, ბუკლეტი, რომელიც პროდუქტის მონტაჟის წესებს აღწერს, ინსტრუქციის ონლაინ სისტემა, რეცეპტი, ზეპირი ინსტრუქცია, და ა.შ. ინსტრუქციათა ტექსტებს შეგვიძლია მივაკუთვნოთ ასევე იმგვარი სახის ტექსტები, რომლებიც ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია: წამლის ინსტრუქცია, რომელიც მოიცავს ინფორმაციას მისი გამოყენების წესების შესახებ; ბანკომატის ინსტრუქცია, რომელიც მომხმარებელს სხვადასხვა ტრანზაქციის შესრულებას უადვილებს; კონკრეტულ დაწესებულებაში (მაგ, საცურაო აუზში, ლაბორატორიაში) განთავსებული ქცევის წესები, რომელიც, როგორც წესი, პოსტერის ფორმითაა მოცემული; საგზაო ნიშნები, რომლებიც შესაძლოა წარმოდგენილი იყოს სიმბოლოს, წერილობითი ტექსტის სახით, ან ორივე მათგანის კომბინაციით; გაფრთხილება ალკოჰოლური სასმელის ბოთლზე, რომელიც მოსალოდნელი საფრთხის შესახებ აუწყებს მკითხველს და სხვ.

ინსტრუქციათა ერთი ნაწილი ფართო მასებისთვისაა განკუთვნილი, ხოლო მეორე პროფესიული ჯგუფებისთვის იქმნება და ვიწრო სამიზნე აუდიტორია ჰყავს. მიუხედავად იმისა, რომ პროცედურული ტექსტების ფორმატი და სინტაქსი შესაძლოა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს, მათ მსგავსი ლოგიკური სტრუქტურა აქვთ, რაც გამოიხატება იმით, რომ თითოეული მათგანი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: **მიზანი** ("goals"), **მიზნის მიღწევისთვის აუცილებელი პირობა** ("prerequisite states"), ქვემიზნები (ეტაპები, რომელსაც საბოლოო მიზნისკენ მიმავალ გზაზე გავდივართ – "interim states"), **არასასურველი მდგომარეობა** (გაფრთხილება, პრობ-



ლემის გადაჭრის გზები - "Unwanted states"), **მოქმედება** ("actions") და გარეგანი ფაქტორები ("external events") (ფარვას 1999). თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პროცედურული დისკურსი აღნიშნული მოქმედებებისა და მდგომარეობის უბრალოდ აღწერას არ წარმოადგენს: ვინაიდან პროცედურა სოციალურ კონტექსტში ოპერირებს, ის ბუნებით რიტორიკულია. ის უნდა მოერგოს მომხარებლის წინარე გამოცდილებასა და საჭიროებას და ამასთანავე დასაბუთოს მისი საიმედოობა, რათა მომხარებელმა აღიქვას ის, როგორც ინფორმაციის სანდო წყარო. პროცედურული ტექსტების შემდეგი სახეობები გამოიყოფა: "streamlined step procedures" - დამახასიათებელია ლაკონურობა და მარტივი ფორმატი; "rich-step" model" - განსხვავებით წინა მოდელისგან უფრო დეტალურ ინფორმაციას შეიცვას და სინტაქსურად უფრო მრავალფეროვანია; "playscript procedures" - დამახასიათებელია სცენარის ტიპის პროცედურები, რომელშიც თითოეული პირის როლი ცალ-ცალკეა მითითებული; "Flowchart procedures" - ინფორმაციის კომპლექსურობიდან გამომდინარე პროცედურები წარმოდგენილია სქემის სახით; და ა.შ. (ფარვასი 1999).

სპეციალური ლიტერატურის შესწავლამ და ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ პროცედურული ტექსტები ქვეყანების მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ყოველივე ეს ტერმინოგიურ მრავალფეროვნებას იწვევს. ინგლისურ ენაში ინსტრუქციის ტექსტებს შეძლება ტერმინებითაც მოიხსენიებენ: user manuals (მომხმარებლის სახელმძღვანელო), user handbooks (მომხმარებლის სახელმძღვანელო/ცნობარი), user guides (მომხმარებლის მეგზური/სახელმძღვანელო), owner's manuals (მფლობელის სახელმძღვანელო), service manuals (გამოყენების ინსტრუქცია), directions for use (ხმარების წესი, ინსტრუქცია), instructions for use (პროდუქტის გამოყენების ინსტრუქცია), operating instructions (ექსპლუატაციის ინსტრუქცია) და ა.შ. (ისანი 2009). მათი მრავალფეროვანი ბუნებიდან გამომდინარე, ინსტრუქციის ტექსტების კლასიფიკაცია სხვადასხვა ასპექტის საფუძველზე ხდება. ლასენი (2003) ტექნიკური დოკუმენტების შემდეგ კლასიფიკაციას გვაწვდის:



სქემა 1: ინსტრუქციათა კლასიფიკაცია ლასენის მიხედვით (ლაგო, ლიონეტი 2012: 25, 57).

წარმოდგენილი კლასიფიკაციის მიხედვით, ტექნიკური სახელმძღვანელოები უფრო ფართო კატეგორიაში – ინსტრუქციულ ჟანრში ერთიანდება და თავის მხრივ სამ ქვეჯანრს აერთიანებს. ეს ქვეჯანრებია: instructions manuals (ინსტრუქციის სახელმძღვანელო, რომელიც, როგორც წესი, განკუთვნილია მომხმარებლისთვის და შეიცავს ინფორმაციას პროდუქტის გამოყენების შესახებ), training manuals (ტრენინგის სახელმძღვანელო, რომელიც განკუთვნილია ტრენერებისა და ინსტრუქტორებისთვის და შეიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შევასწავლოთ მომხმარებელს პროდუქტის გამოყენების წესები), brochure manuals (ბროშურა/ცნობარი).

კიდევ ერთი კლასიფიკაცია წარმოდგენილია ჯ.მ. ადამის მიერ, რომელიც პროცედურულ ტექსტებს მათი ძირითადი დანიშნულებისა და სტილის მიხედვით აჯგუფებს და შვიდ კატეგორიას გამოყოფს (აულადომარი, სენ-დიზიე, 2005). ეს კატეგორიებია:

- 1) მარეგულირებელი ტექსტები (Regulatory texts)
- 2) პროცედურული ტექსტები (Procedural texts)
- 3) პროგრამული ტექსტები ('programmatory' texts)
- 4) ინსტრუქციულ-პრესკრიპტიული ტექსტები (instructional-prescriptive texts)
- 5) გაფრთხილების ტექსტები (injunctive texts)
- 6) რჩევები (advice texts)
- 7) რეცეპტები (recipe texts)

ზემოთ წარმოდგენილი ტექსტების განსხვავებული მიზნის მიუხედავად, მათ მსგავსი სტრუქტურა და სტილური მახასიათებლები აქვთ.

ემპირიული მასალის ანალიზის საფუძველზე გამოყოფ ინსტრუქციათა ჟანრის შემდეგ ოთხ ჯგუფს. თითოეული ჯგუფი განსხვავდება რეპრეზენტაციის ტიპისა და მოდალობის მიხედვით. ეს ჯგუფებია:

1. წერილობითი ინსტრუქცია (ბეჭდური/ციფრული)
2. წერილობით-გრაფიკული ინსტრუქცია;
3. გრაფიკული ინსტრუქცია;
4. მულტიმოდალური ინსტრუქცია;

პირველი მათგანი – წერილობითი ინსტრუქცია – შესაძლოა იყოს ბეჭდური ან ციფრული ფორმით წარმოდგენილი; მალიან იშვიათად თუ შევხვდებით წერილობითი ინსტრუქციის მთლიან, უწყვეტ ტექსტს. ტექსტი, როგორც წესი, დანაწევრებულია აბზაცებად. ვიზუალური სეგმენტაცია ხელს უწყობს წარმოდგენილი ინფორმაციის სტრუქტურირებას. ვიზუალურ რესურსს მნიშვნელობის წარმოქმნის პოტენციალი გააჩნია. ყველა მონაკვეთს თუ აბზაცს, ჩვეულებრივ, ახლავს ქვესათაური, რომელიც კონკრეტულ რიტორიკულ სვლას (მაგ: მონტაჟი/ინსტალაცია, ტექნიკური უზრუნველყოფა და სხვ.) წარმოადგენს, რის საშუალებითაც მკითხველს შეუძლია სწრაფად მოიძიოს ტექსტის ის ნაწილი, რომელიც კონკრეტულ სიტუაციაში სჭირდება. გარდა ტექსტის სეგმენტაციისა, ხშირია ასევე დანომრილი სიის ან სქემის სახით წარმოდგენილი ინფორმაციაც, რომლის საშუალებითაც ავტორი ინსტრუქციების მიმდევრობას აღწერს ისე, რომ არ უწევს ვერბალური მარკერების (“first...”, “second...”) გამოყენება. მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია პუნქტუაციის ნიშნებსაც (მძიმე, წერტილი, წერტილ-მძიმე, ორწერტილი), რომლებიც ტექსტში პაუზის ხანგრძლივობაზე მიუთითებს და ერთეულების სეგმენტაციას განაპირობებს. მაგალითად, ძახილის ნიშანი დამატებით აქცენტს უზრუნველყოფს და ხშირად ანაცვლებს ე.წ. გამაძლიერებელ მარკერებს (“booster markers”) (ჰერიმენტი 2022).

რაც შეეხება წერილობით-გრაფიკულ ინსტრუქციას, ვერბალურ ნაწილთან ერთად ინსტრუქციის ტექსტი მოიცავს გრაფიკულ/ვიზუალურ ელემენტებს, რომლებიც ერთგვარად ავსებს ზემოთ განხილულ ლინგვისტურ მეტადისკურსს. ტექსტის ავტორი, გარდა ტექსტისა, ყურადღებას ამახვილებს ისეთ ასპექტებზე, როგორიცაა: ტიპოგრაფიული რესურსი (შრიფტის ზომა, სტილი, კურსივი შრიფტი, მთავრული/დიდი ასოს გამოყენება) ფერები, გვერდის დიზაინი, ტექსტისა და ილუსტრაციის კომბინაცია, ილუსტრაციის სახეობა (ფოტო, ნახატი, სქემა, სიმბოლო) და ა.შ. აღნიშნული ასპექტები ხშირად ერთი და იმავე ჟანრის ტექსტებშიც კი სრულიად განსხვავებული ფორმითაა წარმოდგენილი. ვერბალური და გრაფიკული ელემენტების სწორი სტრუქტურირება ხელს უწყობს ინფორმაციის სწორად მიწოდებას და მომხმარებლის შესაბამისად ინფორმირებას. ამგვარად, საჭიროა განისაზღვროს კონკრეტული პროდუქ-

ტისთვის რომელი ვერბალური თუ გრაფიკული კონცეფციაზე შექმნადა
ეფექტიანი (უესტენდორფი 1994).

სამეცნიერო ლიტერატურაში ვხვდებით კვლევებს იმის თაო-
ბაზეც, რომ გრაფიკული სახით მოწოდებული ინსტრუქცია ზოგჯერ
უფრო მარტივად გასაგები და ნათელია. შესაძლოა ინსტრუქცია კომ-
პლექსური იყოს, თუმცა, მისი წარმოდგენის ფორმატიდან გამომდი-
ნარე, გასააზრებლად მარტივი. ინფორმაციის გააზრებაზე საუბრი-
სას მნიშვნელოვანია მიმოვინილოთ კოგნიტიური დატვირთვის მო-
დელი ("Cognitive Load Theory"). კოგნიტიური დატვირთვა
("Cognintive Load") წარმოადგენს ერთგვარ ენერგიას, რომელიც საჭი-
როა ინფორმაციის გადასამუშავებლად. აღნიშნული მოდელი ერ-
თმანეთისგან განარჩევს ორი ტიპის ინფორმაციას: **შიდა კოგნიტიურ**
დატვირთვას და გარე კოგნიტიურ დატვირთვას. პირველი მათგანი
პირდაპირ უკავშირდება ინსტრუქციის შინაარსობრივ კომპლექსუ-
რობას, ხოლო უკანასკნელი კი ინსტრუქციის წარმოდგენის უშუალო
ფორმას (ფეინბერგი 2003). ინფორმაციის ზრდასთან ერთად იზრდე-
ბა კოგნიტიური დატვირთვა, რაც მენტალური რესურსის გადა-
ტვირთვას იწვევს. ამ ყველაფრის თავიდან არიდება შესაძლებელია
ინსტრუქციის დანაწევრებულად (სქემის ან დიაგრამის სახით)
წარმოდგენით. ინფორმაციის კომპლექსურობა არ გულისხმობს ინ-
ფორმაციის დიდ ოდენობას, არამედ იმგვარ ინფორმაციას, რომე-
ლიც მარტივ ნაწილებად ვერ დაიშლება და საჭიროებს ერთდროულ
გადამუშავებას. იმ შემთხვევაში კი თუ კოგნიტიური დატვირთვა შე-
დარებით მცირეა და ინფორმაცია შეიძლება დანაწევრდეს შემადგე-
ნელ ნაწილებად, დიაგრამის უპირატესობა ტექსტთან შედარებით
მცირდება (მარკუსი et al 1996).

ამგვარად, გრაფიკული თუ ვერბალური ინსტრუქციის შერჩე-
ვის დროს ტექსტის ავტორმა უნდა გაითვალისწინოს ინფორმაციის
კომპლექსურობა და გარე კოგნიტიური დატვირთვის შემცირების
საჭიროება. თუ ამგვარი საჭიროება არ არსებობს, ინსტრუქციის ერ-
თდროულად ორივე ფორმატით (გრაფიკული და ვერბალური)
წარმოდგენამ შესაძლოა მკითხველს ყურადღება გაუფანტოს (გამო-
იწვიოს გახლეჩილი ყურადღების ეფექტი - "Split-attention effect") და
შეაფერხოს აღქმის პროცესი. ისეც ხდება, რომ ზოგჯერ გრაფიკული
ინსტრუქცია სრულიად საკმარისია და ვერბალური ნაწილის დამა-



ტება კოგნიუტური სისტემის უფრო მეტად გადატვირთვას მოწვევს და სწორედ ამგვარი ინსტრუქციები მიეკუთვნება ჩვენ მიერ გამოყოფილ მესამე ჯგუფს – **გრაფიკული ინსტრუქციები**, რომელთა მაგალითს წარმოადგენს ზემოთ განხილული შედებური წარმოშობის კომპანიას “IKEA”-ას ინსტრუქციები, რომლებიც არ შეიცავს ვერბალურ ელემენტებს;

გარდა გრაფიკული საშუალებებისა, ვებგვერდზე განთავსებული ციფრული ინსტრუქცია შეიძლება შეიცავდეს **აუდიო/აუსტიკურ** ინფორმაციასაც. ელექტრონული ინსტრუქციის ფორმატი მრავალფეროვანი მულტიმედიური ეფექტების გამოყენების საშუალებას იძლევა. სამეცნიერო ლიტერატურაში ვხვდებით კვლევებს იმის თაობაზე, რომ **მულტიმედიური ინსტრუქციები** ბეჭდურთან შედარებით მეტად ეფექტიანია. მისი საშუალებით მომხმარებელი უშვებს ნაკლებ შეცდომას და ამასთანავე, ინფორმაციის გააზრებას მათი მხრიდან უფრო ნაკლები დრო სჭირდება. მანქანის სისტემების გამოყენების გაადვილების მიზნით BMW ჯგუფთან მჭიდრო თანამშრომლობით შეიმუშავეს მულტიმედიური ინსტრუქციის მოდელი. კვლევის ფარგლებში ერთმანეთს შეადარეს ავტომანქანის, ერთი მხრივ, მულტიმედიური და, მეორე მხრივ, ტრადიციული (წერილობითი) ინსტრუქციები. კვლევის შედეგად შემდეგი ჰიპოთეზები გამოიყო:

- მომხმარებლის მხრიდან მულტიმედიური ინსტრუქციის მიმღებლობა უფრო მაღალია, ვიდრე წერილობითი ვერსიისა;
- ნავიგაციის მენიუს სტრუქტურა ამცირებს შეცდომებს სისტემის ოპერირების დროს;
- ინფორმაციის აღსაქმელად საჭირო დრო მნიშვნელოვნად მცირეა მულტიმედიური ინსტრუქციის შემთხვევაში; (მარენბახი et al 2001)

თუმცა, მაშინ, როცა ორმაგი მოდალობის ფორმატში (აუდიო და ვიზუალური) წარმოდგენილი ინსტრუქცია ხშირად ზრდის მოკლევადიანი მეხსიერების პოტენციალს და აუმჯობესებს გააზრების პროცესს, ზოგ შემთხვევაში შეიძლება მან ზემოთ განხილული ყურადღების გაფანტვის ეფექტი და ინფორმაციის სიჭარე გამოიწვი-



ოს. ამგავარად, ფრთხილად და საჭიროებიდან გამომდინარე უნდა შეირჩეს აუდიო თუ ვიზუალური მასალა (ფეინბერგი et al 2003).

ამგვარად, ცხადი ხდება, რომ თუ სხვადასხვა მოდალობის ფორმატში წარმოდგენილი ინსტრუქცია, ერთი მხრივ, აადვილებს გაგების პროცესს, მეორე მხრივ, შესაძლოა კოგნიტიური გადატვირთვა გამოიწვიოს. სამეცნიერო ლიტერატურაში ვხვდებით ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ამ პრობლემიდან გამოსავალს **აუგმენტური რეალობის ტექნოლოგია** წარმოადგენს, რომელიც გულისხმობს ნაკლებ ტექსტს, მეტ გრაფიკას/სიმბოლოს და ინტერაქციულ ელემენტებს. აღნიშნული ტექნოლოგიის ინსტრუქციების სფეროში გამოყენების იდეა არ არის ახალი, თუმცა არსებობს მთელი რიგი ტექნიკური შეზღუდვა. ამასთან, ტექნიკოსებს არ გააჩნიათ ვირტუალური ინსტრუქციების შექმნისთვის საჭირო კომპიუტერული გრაფიკა, ანიმაცია, პროგრამირება). თუმცა ბოლო დროს მიმდინარეობს მუშაობა იმგვარ მეთოდოლოგიაზე, რომელიც სფეროში ნაკლებად დახელოვნებულ ტექნიკოსებს დაეხმარება ვირტუალური რეალობის შინაარსობრივი პლანის შექმნაში. ამ მეთოდოლოგიის გამოყენებით ტრადიციული ფორმატით წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია აუგმენტურ რეალობაზე დაფუძნებული ფორმატით იცვლება. აღნიშნული მეთოდი ტექნიკურ ინსტრუქციებს ორ ჯგუფად წარმოადგენს: ინსტრუქციები, რომლებიც შესაძლოა წარმოდგენილი იყოს გრაფიკული სიმბოლოებით და ვიზუალური ელემენტებით და ინსტრუქციები, რომლებიც საჭიროებს ვერბალურ ნაწილს (ტექსტს). ამგვარად, თავდაპირველად იქმნება ვიზუალური ნაწილი (ფოტო, ვიდეო) და ემატება მცირე მოცულობის ტექსტი საჭიროების შემთხვევაში. ტექსტის მოცულობის შემცირება კი ხდება მარტივი ტექნიკური ენის გამოყენებით. გამარტივებული ენა თავის მხრივ გულისხმობს შეზღუდვებს როგორც ლექსიკურ და სინტაქსურ, ასევე სემანტიკურ დონეზე. აღნიშნული მეთოდოლოგია შემდეგ ეტაპებს მოიცავს:

- ინსტრუქციების წაკითხვა და ანალიზი;
- ინსტრუქციათა დანაწევრება;
- მათი კატეგორიზაცია (აღწერითი/პროცედურული/ფაქტობრივი ინფორმაცია);

ი ფორმატის ცვლილებისთვის საჭირო ქმედებების სისტემაზე ზღვრა. (აღნიშნული ქმედებები განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რა კატეგორიასა მოცემული ინსტრუქცია. მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ტექსტი აღწერითია, რთულია მისი სრულად ვიზუალური ელემენტით ჩანაცვლება. ამ შემთხვევაში გამოიყენება ტექსტის ოპტიმიზაციის სტრატეგია. ვიზუალური ელემენტით ჩანაცვლება კი მარტივია პროცედურული ინფორმაციის შემთხვევაში. რაც შეეხება ფაქტობრივ ინფორმაციას, ის შესაძლოა ორგანიზებული იქნეს ცხრილების/სქემების საშუალებით);

ი ინფორმაციის ორგანიზება.

რაც შეეხება ვიზუალურ ელემენტებს, ის შემდეგ ხუთ კატეგორიას მოიცავს: 1) მარტივი, ორგანზომილებიანი გრაფიკული ელემენტები (წრეები, ხაზები), რომელთაც არ გააჩნია მნიშვნელობა, თუმცა უზრუნველყოფენ მინიშნებას; 2) ნიშანი, სიმბოლო, რომელიც გარკვეული შეტყობინების მატარებელია. მაგალითად, ყვითელი სამკუთხედი ძაბილის ნიშნით აღნიშნავს გაფრთხილებას; 3) მულტიმედიური ელემენტები, როგორიცაა ფოტო ან ვიდეო, რომელსაც შესაძლოა დაემატოს აუდიო ან გრაფიკული ელემენტები; 4) ორგანზომილებიანი ტექნიკური ესკიზი და ილუსტრაცია, რომელიც ძირითადად კომპიუტერული დიზაინის სისტემების დახმარებით იქმნება; 5) სამგანზომილებიანი მართვადი მოდელები, რომლებიც საშუალებას აძლევს მომხმარებელს საჭიროებიდან გამომდინარე განახორციელოს შემდეგი ქმედებები; გამოსახულების როტაცია, მოახლოება, მოძრაობა.

ამგვარი მეთოდოლოგიით შექმნილი ვიზუალური ინსტრუქცია საჭიროებს ნაკლებ დროსა და ძალისხმევას, მარტივია მისი თარგმნა სხვა ენაზე და უფრო მეტიც, მკითხველს უმარტივდება მისი გააზრება. ამ ყველაფერს კომპანიის ხარჯების შემცირებასთან მიზყართ. თუმცა, მიუხედავად ამისა, კომპანიათა უმრავლესობა სიფრთხილით ეკიდება ინსტრუქციათა ფორმატის ცვლილებას და კვლავ ბეჭდურ ვარიანტს ამჯობინებს. სავარაუდოდ, ამის მიზეზი არის ის ფაქტი, რომ ამ ეტაპზე არ არსებობს აუგმენტური რეალობის ინსტრუქციების შექმნისთვის საჭირო ფართოდ დამკვიდრებული პროგრამა, ან პროცედურა. ამასთანავე, საზოგადოებაც უნდა იყოს



მზად ამგვარი ინსტრუქციის მიღებისა და გამოყენებისთვის (გატულოვანი ლო et al 2017; 2019).

ამრიგად, სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვამ და ემპირიული მასალის კვლევამ აჩვენა, რომ ინსტრუქციათა უანრი ისტორიული თვალსაზრისით მრავალფეროვანი და საინტერესოა. უანრი ადრეული პერიოდიდან იღებს სათავეს და დროთა განმავლობაში მრავალ ფორმასა თუ მახასიათებელს იძენს, დაწყებული შუმერულ ფირფიტებზე დატანილი ინსტრუქციის შემცველი ტექსტებით, მულტიმედიური ტექნოლოგიების გამოყენებით შექმნილი ე.წ. „ჰკვიანი ინსტრუქციებით“ დამთავრებული. გასაკვირი არაა, რომ მისი მრავალფეროვანი განვითარების ისტორიიდან გამომდინარე, მრავალფეროვანი და კომპლექსურია წარმოდგენილი უანრის ტიპოლოგიის საკითხიც. ინსტრუქციათა უანრის კლასიფიკაცია სხვადასხვა ნიშნის საფუძველზეა წარმოდგენილი. ეს ნიშნებია: სამიზნე აუდიტორია, დანიშნულება, სტილი, წარმოდგენის ფორმა და მოდალობა.

ლიტერატურა

აულადომარი, ფარიდა & პატრიკ სენ-დიზიე 2005 – Aouladomar, Farida & Patrick Saint-dizier. “Towards generating procedural texts: An exploration of their rhetorical and argumentative structure”. Proceedings of the Tenth European Workshop on Natural Language Generation, June 2005, Ann Arbor. <http://acl.idc.upenn.edu/W/W05> Consulted 15/10/2018

ბათია, ვ.კ. 1993 – Bhatia, V. K. Analysing Genre: Language Use in Professional Settings. Harlow: Pearson Education.

ბათია, ვ.კ. 2004 – Bhatia, V. K. Worlds of Written Discourse: A Genre-Based View. London and New York: Continuum International Publishing Group

ბრაუნი, გ. & იული, გ. 1983 – Brown, G & Yule, G. Discourse Analysis. Cambridge: Cambridge University Press.

გატულოვანი ლო et al 2017 – Gattullo M., A. E. Uva, M. Fiorentino, G. W. Scurati, F. Ferrise. From paper manual to AR manual: do we still need



text, Procedia 27th International Conference on Flexible Automation and Intelligent Manufacturing, FAIM2017, 27-30 June 2017, Modena, Italy Manufacturing 11 (2017) 1303 – 1310.

გატულო, მ. et al. 2019 – Gattullo M., G. W. Scurati, M. Fiorentino, A. E. Uva, F. Ferrise, M. Bordegoni,. Towards augmented reality manuals for industry 4.0: A methodology Robotics and Computer Integrated Manufacturing 56 (2019) 276–286. <https://doi.org/10.1016/j.rcim.2018.10.001>.

ისანი, შ. 2019 – Isani, Sh. Of technical writing, instructions for use as a specialised genre and discourse communities, ASp, 75: 3-23.

ლაგო და ლორეტი, 2012 – Lago, A.F., Lloret, D. F. New Applications of Genre Analysis to Technical Manuals: The Perspective of Bhatian and Lassen Model. Ibérica, 28, 225-256.

ლასენი, ი. 2003 – Lassen, I. Accessibility and Acceptability in Technical Manuals. A survey of style and grammatical metaphor. Johj Benjamins Publishing Company. Amsterdam/Philadelphia.

მარენბახი, ჯ. et al. 2001 – Marrenbach J., K.-F. Kraiss, L. Libuda, K. Bengler. Development and Multimodal Operation of a Multimedia Car Instruction Manual IFAC Proceedings Volumes, Vol. 34, Issue 16, September 2001, Pages 41-45. [https://doi.org/10.1016/S1474-6670\(17\)41499-6](https://doi.org/10.1016/S1474-6670(17)41499-6).

მარკუსი, ნ., კუპერი, მ., სუელერი, ჯ. 1996 – Marcus, N., Cooper, M., & Sweller, J. Understanding instructions. Journal of Educational Psychology, 88(1), 49–63. <https://doi.org/10.1037/0022-0663.88.1.49>

პეიკოლა, მ. et al.2009 – Peikola, M., Skaffari, J. & Tanskanen, S-K. Approaching instructional writing in English. In Matti Peikola, Janne Skaffari & Sanna-Kaisa Tanskanen (eds.), Instructional Writing in English. Studies in honour of Risto Hiltunen, 1-11. Amsterdam/Philadelphia: John Benjamins Publishing Company.

სველისი, ჯ. გ. 1990 – Swales, J. M. Genre Analysis. Cambridge: Cambridge University Press.

სველისი, ჯ. გ. 2004 – Swales, J. M. Research Genres. Exploration and Applications. Cambridge: Cambridge University Press.

უესტენდორფი, გ. 1994 – Westendorp, P. Design Cocepts of User Manuals. In Michael Steehouder, Carel Jansen, Pieter van der Poort & Ron



ფარკასი, დ.კ. 1990 – Farkas, D. K. The logical and rhetorical construction of procedural discourse. *Technical Communication*, 46 (1): 42-54.

ფეინბერგი, ს., მერფი, მ., დუდა, ჯ. 2003 – Feinberg, S., Murphy, M., and Duda, J. Applying learning theory to the design of Web-based instruction. In M. J. Albers and B. Mazur (eds.) *Content and Complexity: Information Design in Technical Communication*. 103-128. New Jersey: Lawrence Erlbaum Associates, Publishers.

შუმახერ, ჰ. 2018 – Schumacher, Helene. “Inside the world of instruction manuals”. <http://www.bbc.com/future/story/20180403-inside-the-world-of-instruction-manuals> Consulted 21/09/2022.

ჰაიმსი, დ. 1964 – Hymes, D. Introduction: toward ethnographies of communication. In Gumperz and Hymes 1964:1-34.

ჰერიმენი, ჟ. 2022 – Herriman, J. Metadiscourse in English Instruction Manuals. In *English for Specific Purposes*, 65: 120-132.

ELENE SADRADZE

On the History and Typology of Instructional Genre

Summary

This paper discusses the history and classification of instructions. The study has been carried out within the framework of discourse analysis and genre theory. The empirical data comprises samples of textual (printed, digital), graphic, and multimodal instructional texts. As is known, instructions have a long history, dating back to ancient times. One of the earliest known examples comes from a Sumerian cuneiform tablet (around 4,000 BC), which provided guidance on making and applying poultices. This was later followed by numerous instructional texts, which covered not only religious but also a variety of practical topics. One of the



earliest instructional manuals Bridgman discovered was affixed to an office copier created by the renowned engineer James Watt. Over time, companies began integrating visual elements to enhance the appeal of their manuals and make them more comprehensible and practical. Moreover, there appeared instructions with non-verbal representation only. Today, instruction manuals can take the form of YouTube videos. QR codes are also integrated to facilitate quick access to instructions. Emerging technologies like artificial intelligence (AI) and augmented reality (AR) are increasingly being integrated into the creation of instruction manuals.

The paper also deals with the typology of instructional genre, which is a part of a broader event known as procedural discourse. Procedural texts, primarily composed in written form, are instructional texts that clarify how to achieve a particular objective through actions that are presented in a temporal sequence. Instructional texts can be classified on the basis of a number of principles, such as the main objective, style, format etc. In this paper the representation type and modality of an instruction have been used for grouping; as a result, the following instruction types have been singled out: written instructions (printed, digital), written-graphic instructions; graphic instructions and multimodal instructions.

ის ი დამტკიცებული გამოვიყენებთ ამოსავალი სახელის სინონიმად (დღეს ოფიციალური, იგივე „საპასპორტო“ სახელი, შეიძლება იყოს „სანდროც“, მაგრამ შის ამოსავალი ფორმა „ალექსანდრეა“).

ნანა ზოგიავილი

პარალელური ანთროპონიმების ფორმობრივი ანალიზი

საკუთარი სახელი მრავალფეროვანია. ანთროპონიმებში გამოყოფენ შემდეგ ჯგუფებს: а) ოფიციალურ, ე.წ. „საპასპორტო“ სახელს, ბ) ნათლობის სახელს, გ) პარალელურ სახელს, ძირითადად კნინობით-ალერსობითი სუფიქსით ნაწარმოებს და დ) დამატებით სახელს, მეტსახელს.

ჩვენი შესწავლის ობიექტს პარალელური სახელები წარმოადგენენ. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ერთი ფუძის შემცველი ანთროპონიმები პარალელური სახელის ფორმებად განიხილება (გოდერმიშვილი, 2012: 90). მაგალითად „თამარის“ ვარიანტული ფორმებია: თამ-უნა, თამ-უსია, თამრ-იკო, თამთა... პარალელურ ონიმებს ზურაბ ჭუმბურიძე საალერსო, შინაურულ-მოფერებით, შემოკლებულ და კნინობით ფორმებს უწოდებს (ჭუმბურიძე, 2003: 10-67). ოფიციალური ონიმის პარალელური ფორმები მიიღება საპასპორტო სახელის შეკვეცა-გამარტივებით (ნიკოლოზი > ნიკო) ან გავრცობით (გივი > გივიკუნა). პარალელური ანთროპონიმი შეიძლება გაფორმდეს სხვადასხვა აფიქსის დართვით (მაგ.: ანა + უკა > ანუკა), ეს აფიქსები შეიძლება იყოს როგორც ქართული, ისე უცხოენოვანი; ერთ ონიმში ორივე ელემენტი შეიძლება შეგვხვდეს (ან-უშკა, ვან-უშ-კ-ელ-ა).

ოფიციალური¹ სახელის იმ ნაწილს, რომელიც მონაწილეობს პარალელური ფორმების წარმოქმნაში, ვუწოდებთ საყრდენ სეგმენტს. საყრდენი სეგმენტი შეიძლება იყოს ოფიციალური სახელის:

1) მხოლოდ თანხმოვნითი ნაწილი— მაგალითად ონიმში ნინო საყრდენ სეგმენტს მხოლოდ „ნ“ ფონემა წარმოადგენს (ნ-უც-ა, ნ-უც-

¹ ოფიციალურ სახელს გამოვიყენებთ ამოსავალი სახელის სინონიმად (დღეს ოფიციალური, იგივე „საპასპორტო“ სახელი, შეიძლება იყოს „სანდროც“, მაგრამ შის ამოსავალი ფორმა „ალექსანდრეა“).



იკ-ო), რადგანაც მისი ყველა პარალელური ანთროპონიმენტული საერთო მხოლოდ ეს კონსონანტური ნაწილია.

2) მხოლოდ ერთი მარცვალი – მაგალითად ეთერის ვარიანტული ნაირსახეობებისათვის: ეთერ-ა, ეთ-უნა, ეთ-უკა, ეთ-უნი, ეთ-იკო და ა.შ. საერთოა „ეთ“ ბგერათკომპლექსი.

3) ორი მარცვალი – ონიმ ლუარსაბში საყრდენი სეგმენტია ორმარცვლიანი „ლუა“, რადგანაც ყველა პარალელურ ფორმაში მეორდება (ლუა, ლუარსაბ-იკ-ო, ლუარსაბ-ა).

საყრდენი სეგმენტის მარცვალში შეიძლება გაუჩინარდეს: მხოლოდ ხმოვანი – აკაკი > კაკი; მხოლოდ თანხმოვანი – თევდორე > თედორე, უმთავრესად კი სონორ ბგერას ახასიათებს ჩავარდნა – არჩილი > აჩი; ხმოვნისა და თანხმოვნის კომბინაცია – რევაზი > რეზი; რამდენიმე ერთეული – კონსტანტინე > კოტე.

ამოსავალი სახელის საყრდენი სეგმენტის რაობა დამოკიდებულია ონიმის სტრუქტურაზე, ამიტომაც ანთროპონიმები შეიძლება წარმოვადგინოთ:

ა) ერთი საყრდენი სეგმენტის მქონე ონიმებად (გვანცა > გვანცუცა, გვანც-უნია – საყრდენია „გვანც“; ვაჟა > ვაჟ-იკო, ვაჟ-იკა, ვაჟ-უნა – საყრდენია „ვაჟ“...) **იბ. სქემა A;**

ბ) ორი საყრდენი სეგმენტის მქონე ონიმებად (ავთანდილი > ავთ-უნა, ავთ-იკო // თანდილა – საყრდენია „ავთ“ და „თანდილ“; ნიკოლოზი > ნიკო, ნიკ-უშა // კოლ-ა, კოლ-ია – საყრდენია „ნიკ“ და „კოლ“) **იბ. სქემა B.**

ერთსეგმენტიანი სახელები დავყავით ერთ- და ორმარცვლიანი საყრდენი სეგმენტის მქონე ონიმებად, მაგალითად „ანა“-ში საყრდენი სეგმენტი არის „ან“ (ერთმარცვლიანი) და მასზე დაყრდნობით ვიღებთ პარალელურ ფორმებს, როგორებიცაა: ანუსია, ანუშკი და ა.შ. რაც შეეხება ანთროპონიმ „იოანეს“, აქ საყრდენი სეგმენტი, ანუ საყრდენი ერთეული, მართალია ერთია – „იო“, მაგრამ აღნიშნული ფორმა ორმარცვლიანია. ამიტომაც ვამჯობინეთ, ერთმანეთისაგან გაგვემიჯნა ონიმთა ეს ორი ფორმა (იხილეთ სქემა A).

ერთი საყრდენი სეგმენტის მქონე ერთმარცვლიან ონიმებში, გამოიყო შემდეგი სტრუქტურები: VC (ანა), CVC (ბეჭა), CV (თამარი), CCV (ზვიადი), CVCC (სერგო), C (იოსები), CCVCC (გვანცა), VCCC (ანდრია) და VCCV (ანზორი). უკანასკნელი სამი სტრუქტურა მხო-



ლოდ თითო ონიმითაა წარმოდგენილი (აღნიშნული სტრუქტურული გამოვყავით ჩვენ მიერ მოხმობილი ანთროპონიმების საფუძველზე).

სქემა A-ს CV სტრუქტურაში მოვათავსეთ ანთროპონიმი გრი-გოლი. მიუხედავად იმისა, რომ ყველა მის პარალელურ სახელში ჩანდა „გიგ“ ფონემათა მიმდევრობა (გიგა, გიგი, გიგო...), ერთადერთი მაგალითის საფუძველზე (გია) გადავწყვიტეთ, რომ იგი არა CVC, არამედ CV სტრუქტურაში გაგვენაწილებინა. ონიმ „გია“-ში მეორე გარ ჩანს, ამიტომაც ყველა მაგალითისათვის საერთო საყრდენი სეგმენტი „გი“ ბგერათკომპლექსი გახდა. ანალოგიური პრინციპით ვიხელმძღვანელეთ სხვა ონიმების შემთხვევაშიც.

რაც შეეხება ორი საყრდენი სეგმენტის მქონე ანთროპონიმებს, აյ გამოვყავით კომპოზიტები და მარტივი, ერთფუძიანი სახელები (იხილეთ სქემა B). მათ რიგში მოხვდნენ ონიმები: ალექსანდრე, კახა-ბერი, ავთანდილი, ელგუჯა და ა.შ. თუმცა B სქემაში ვერ გადანაწილდნენ შემდეგი ანთროპონიმები: დოდო და თინათინი. მიუხედავად იმისა, რომ ეს სახელები ფუძეგაორკეცებულები არიან, მათ მხოლოდ ერთი საყრდენი ძირი აქვთ და ადგილს A სქემაში დაიკავებენ.

აღნიშნული საკითხის განხილვისას დავინტერესდით:

1) რა შემთხვევაში გვაქვს ორი საყრდენი სეგმენტი და განსაზღვრავს თუ არა ანთროპონიმის სიგრძე რამდენიმე საყრდენი მარცვლის ქონას?

ორი საყრდენი სეგმენტი დაფიქსირდა როგორც კომპოზიტებში (ელეონორა – ელე და ნორა), ისე მარტივ, ერთფუძიან ონიმებში (ნიკოლოზი – ნიკ და კოლ). კომპოზიტს რომ ერთზე მეტი საყრდენი სეგმენტი ექნებოდა, ეს ფაქტი თავიდანვე მოსალოდნელი იყო. მათ რიგში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვერ მოხვდა რედუქტიული კაციით მიღებული სახელი. თავდაპირველად სწორედ ფუძეგაორკეცებით შექმნილი ონიმი სხვა მარცვალს ვერ გამოიყენებს სახელდებისას (დო + დო > დოდო).

ორი საყრდენი სეგმენტის მქონე ონიმები, ჩვენი მასალის მიხედვით, არის სამ- (გულთამზე), ოთხ- (ალექსანდრე) და ხუთმარცვლიანი (ანასტასია). თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა ოთხმარცვლიანი ანთროპონიმი ორი საყრდენი სეგმენტის მქონე იქნება, მაგალითად მელანიას მხოლოდ ერთი საყრდენი სეგმენტი აქვს

– „მეღ“. ორმარცვლიანი ონიმები მხოლოდ ერთი საყრდენი სეგმენტის მქონე ანთროპონიმებში დადასტურდა.

ირკვევა, რომ ორი საყრდენი სეგმენტის ქონა არ არის დამოკიდებული მხოლოდ ონიმის სიგრძეზე, მის მარცვალთა რაოდენობაზე. ერთი საყრდენი სეგმენტის მქონე ონიმებშიც გვხვდება ისეთივე იდენტური მარცვლის მქონე სახელები, როგორებიც იყო ორი საყრდენი მარცვლის მქონე ონიმების შემთხვევაში. აღნიშნული კვლევა საჭიროებს გაგრძელებას, რათა უფრო ზუსტად დადგინდეს, ხომ არ არსებობს რაიმე ისეთი კანონზომიერება, რომელიც განსაზღვრავს ანთროპონიმში ერთზე მეტი საყრდენი მარცვლის არსებობას.

2) ომდენმარცვლიანი შეიძლება იყოს საყრდენი სეგმენტი?

ერთსეგმენტიანი ონიმების საყრდენი ძირი შეიძლება იყოს უმარცვლო (მაგალითად იოსების პარალელური ონიმებისათვის: სოსო, სოსიკო, სესე... საერთოა მხოლოდ კონსონანტური ნაწილი „ს“), ერთ- (ოთ-არი, ნაზ-ი, ზა-ალი...) ან ორმარცვლიანი (იო-ანე, ლუა-რსაბი, ხათუ-ნა...). ორსეგმენტიანი ონიმების შემთხვევაში გვაქვს ერთმარცვლიანი საყრდენი ძირები (გულ-ნაზი, ჰვი-ანდილი...) და ორმარცვლიანი - (ელი-საბედ-ი, კახა-ბერი...).

3) აქვს თუ არა ვარიაციები ამოსავალი სახელის საყრდენი სეგმენტის ხმოვანს ან თანხმოვანს?

ქვემოთ ჩამოთვლილი ანთროპონიმების გაანალიზების შედეგად დადგინდა, რომ საყრდენი სეგმენტის ხმოვნით ნაწილს არ ახასიათებს ცვლილება. მიუხედავად ამისა, მაინც შეგვხვდა რამდენიმე ფორმა, რომლებშიც შეცვლილი იყო ვოკალი.


ა) ო > უ – სოლომონი > სულო, სულიკო¹ (ერთი ლაბიალური ფონემა შეცვალა მეორემ). რაც შეეხება ამ ცვლილებას, რუსუდანი > რუსო, უ >ო, მოცემულ ონიმში საყრდენი სეგმენტის ხმოვნის ვარიაციასთან არ გვაქვს საქმე, რადგანაც „რუსუდანის“ საყრდენი სეგმენტი არის „რუს“ და არა „რუსუ“.

ბ) ე > ი: ერეკლე>ირაკლი, დემეტრე > დიმიტრი (საერთო მხოლოდ კონსონანტური ნაწილია (რ-კ-ლ; დ-მ-ტ-რ), ე-ს ი-ში გადასვლა კი ქართული ენის ნიადაგზე განხორციელებული ფონეტიკური

¹ სულიკო შეიძლება დამოუკიდებელ სახელად იქნეს გაგებული (სული – სულიკო; შდრ. გული – გულიკო).

ცვლილება არაა. ამ ფორმებზე ქვემოთ ვისაუბრებთ). „დიშტრიბუს“ პარალელურ ვარიანტებად განვიხილავთ „დუტუ“ და „დუტა“ ფორმებს. როგორც ვხედავთ, „ი“ ხმოვანი შეცვლილია „უ“ ხმოვნით, შესაბამისად, გვაქვს საყრდენი ხმოვნის ცვლილება.

შეიძლება თუ არა ონიმები – გაგა, გაგი, გაგუნა, გაგუშა ან გეგა, გეგე – მივიჩნიოთ გიორგის მოფერებით ვარიანტებად. ე. ი. განხორციელდა თუ არა საყრდენი სეგმენტის ხმოვნის ცვლილება „გიორგიში“, ი/ო > ა/ე. „გიო“ ბგერათმიმდევრობა ორ საყრდენ სეგმენტს გვაძლევს: „გი“-სა და „გო“-ს. თუ ზემოთ დასახელებული ონიმები გიორგის პარალელურ ვარიანტებად ჩაითვლება, მაშინ შეიძლება ოდენთანხმოვნიანი სეგმენტიც გამოიყოს:



თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ ანთროპონიმებში (გაგა, გაგი, გაგუნა, გაგუშა, გაგა, გეგე) გიორგის საყრდენი სეგმენტის მხოლოდ კონსონანტი მეორდება, მათ ვერ მივიჩნევთ ამ ონიმის პარალელურ ვარიანტებად. „ა“ ხმოვანი არ წარმოადგენს საყრდენი მარცვლის ვარიანტულ სახეს, მაგრამ სანამ საბოლოო დასკვნას გამოვიტანთ, განვიხილავთ მომდევნო მაგალითებსაც.

„იოსების“ პარალელური ვარიანტებია: სოსო, სოსოია, სოსიკო, სესე და ა. შ. აქ საყრდენი სეგმენტი ოდენ თანხმოვანია – „ს“ და ეჭვს არ იწვევს, რომ ეს ფორმები ნამდვილად „იოსების“ ვარიანტული ნაირსახეობებია. ამას ხელს ალბათ „ო“ ვოკალიც უწყობს. ამოსავალ ანთროპონიმში „ო“ წინ უსწრებს ს-ს, ხოლო ვარიანტულ ფორმებში – მოსდევს. შეიძლება აღნიშნული მოვლენა მეტათეზისის მაგალითადაც მივიჩნიოთ (იოსები > სოსო). აგრეთვე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ანთროპონიმი ნინოს საყრდენი სეგმენტი მხოლოდ „ნ“ ფონემაა (ნ-უც-ა, ნ-უც-იკ-ო), რადგანაც მისი ყველა პარალელური ანთროპონიმისათვის საერთო მხოლოდ ეს კონსონანტური ნაწილია. საყურადღებოა ონიმი კიტაც. რომელი ანთროპონიმის შემოვლებულ ვარიანტად შეიძლება მივიჩნიოთ იგი. ზურაბ ჭუმბურიძე აღნიშნავს, რომ მისი ეტიმოლოგია გაურკვევლია (ჭუმბურიძე, 2003: 176). კონ-



სტანტინე მეგრელიძეს, XX საუკუნის ფილოსოფოსს, კიტან დაბახ-დნენ. თუ ჩავთვლით, რომ კიტა კონსტანტინეს პარალელური სახელია, მაშინ კონსტანტინეს ყველა პარალელური ონიმისათვის საყრდენი სეგმენტი მხოლოდ ერთი თანხმოვანი „კ“ გამოვა (ცოსტა, კოწია, კოტე, კოსე, კოკო, კიტა...). აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, რომ გაგა, გაგი, გაგუნა, გაგუშა, გეგა და გეგი გიორგის მოფერებით ფორმებად მივიჩნიოთ. სახელმდებმა შეიძლება რომელიმე გიორგის გაგა ან გეგე დაუძახოს, ასეთ შემთხვევაში კი ნამდვილად პარალელურ ანთროპონიმებად ჩაითვლება.

რაც შეეხება ამოსავალი სახელის საყრდენი სეგმენტის თანხმოვნით ნაწილს, ის ცვლილებას არ განიცდის. შეგვხვდა მხოლოდ ორიოდე მაგალითი ამ ცვლილების გამოვლინებისა:

ა) C > V – ვ > ო // უ: გივი > გიუნა; პავლე > პაოლო; ლევანი > ლეონი, ლეო, ლოლო.

არის შემთხვევები, რომლის დროსაც ერთი ფონემა მეორეს მექანიკურად ენაცვლება და ამ პროცესს ფონეტიკური ახსნა არ ეძებნება. ზოგჯერ ანალოგიის პრინციპით მიმდინარეობს ახალი ონიმის ჩამოყალიბება, მაგალითად „სოსოს“ ანალოგით შეიძლება ლევანს „ლოლო“ დაუძახონ. ინფორმატორის თქმით ტყუპ ძმებს, იოსებსა და ლევანს, მოფერებით სოსოსა და ლოლოს ეძახდნენ. თუ ანალოგიის პრინციპს არ გავითვალისწინებთ, ამ ონიმის მიღების სხვა გზაც შეიძლება ვივარაუდოთ, კერძოდ, ვ-ს დავიწროებით გაჩნდა ო, ლ-სა და ო-ს შორის არსებული ე ხმოვანი დაიკარგა და მომდევნო ეტაპზე ლო-ს რედუქციაცია განხორციელდა: ლევანი > ლეონი > ლოლო.

ბ) C > C¹ – მიხეილი > მიშა (ორივე ნაპარალოვანი ბგერაა);

დიმიტრი > ძიტო (რუსული ენის გავლენა შეიმჩნევა).

4) რა გზით შეიძლება მივიღოთ ამოსავალი ანთროპონიმის პარალელური ფორმა?

ა) აუსლაუტში ბგერის ან ბგერათა მოკვეცით (აპოკოპე);

ბ) ანლაუტში ბგერის ან მარცვლის დაკარგვით (აფერეზისი);

გ) ფუძეში ბგერის ან ბგერათა დაკარგვით (სინკოპე).

¹ არ განვიხილავთ დევექტური მეტყველების დროს წარმოთქმულ ონიმებს, მაგალითად – გიორგი > დიორდი.



ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ შედგენილ ენციკლოპედიაში („ქართული ენა“) ვკითხულობთ, აპოვაპე არის ფონეტიკური პროცესი და ნიშნავს სიტყვის აუსლაუტში ბგერის ან ბგერათა მოკვეცას, ფონეტიკურად ან ხელოვნურად (კვარაცხელია, 2008: 44). ამის მაგალითებია: ალექსანდრე > ალექსი // ალე; გიორგი > გიო; კახაბერი > კახა; მარიამი > მარი; ნიკოლოზი > ნიკო; რობიზონი > რობი; ქეთევანი > ქეთი; აკაკი > კაკა, ვაჟა > ვაჟიკო, დაჩი > დაჩუნა და ა.შ. როგორც ვხედავთ, შენარჩუნებულია საწყისი ფონემები, ხოლო აბსოლუტურ ბოლოში წარმოდგენილი ფონემები დაიკარგა.

აფერეზისი – ქართული ენის ენციკლოპედიაში აღნიშნული ტერმინი ასეა განმარტებულია: ეს არის ფონეტიკური პროცესი, რომელიც აღნიშნავს სიტყვის თავში, ანლაუტში, ბგერის, ერთი ან რამდენიმე მარცვლის დაკარგვას (კვარაცხელია, 2008: 62). მაგ: ალექსანდრე > ლექსო // სანდრო; აბესალომი > სალო; ელგუჯა > გუჯა; თინათინი > თინი¹; ავთანდილი > თანდილა; აკაკი > კაკი; ეკატერინე > კატერინა; ელენე > ლენა; ნიკოლოზი > კოლია; ევგენი > გენო; ელისაბედი > საბედო; თეომურაზი > მურაზი; ივანე > ვანო; ქაიხოსრო > ხოსივა და ა.შ. წარმოდგენილ მაგალითებში გაუჩინარებულია როგორც ერთი ბგერა (აკაკი > კაკი), ისე ერთი და ორი მარცვალიც (ელგუჯა > გუჯა, ელისაბედი > საბედო). ქეთევან გოდერძიშვილი შენიშნავს: „აფერეზისი ნაკლებ პროდუქტიული პროცესია ქართულში“ (გოდერძიშვილი, 2012: 99), მაგრამ მაგალითებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ პარალელური ფორმების მიღება ამ გზით არც თუ ისე იშვიათია.

სინკოპე გულისხმობს ბგერის, მარცვლის ან ასოს ამოვარდნას სიტყვის შიგნით, ფუძეში (კვარაცხელია, 2008: 427). მაგალითად: არჩილი > აჩი; დიმიტრი > დიტო; ერეკლე > ეკე; ირაკლი > იკა; თორნიკე > თოკო; ანასტასია > ნასტია; გაბრიელი > გაბელ; დავითი > დათო; კონსტანტინე > კოტე; თევდორე > თედო...

ქვემოთ მოცემულია პირველადი ანთროპონიმები თავიანთი პარალელური ფორმებით. რა თქმა უნდა, სრულად ვერ ავსახავთ თითოეულ ვარიანტს, რადგანაც ადამიანის წარმოსახვის უნარი მრა-

¹ თინათინი ფუძეგაორკეცხით მიღებული ონიმია. ანლაუტში იკარგება „თინა“, მაგრამ რჩება მეორე კომპონენტი – „თინი“.



ვალფეროვანია და კონკრეტულმა ინდივიდმა მეორე პირს შეიძლება
ისე „შეულამაზოს“ სახელი, რომ სრულიად ახლებური ფორმა შექ-
მნას. პირველად ანთროპონიმს შეიძლება ჰქონდეს უფრო მოკლე ვა-
რიანტი, რათა მისი წარმოთქმა გამარტივდეს (ზურაბი >ზურა), მაგ-
რამ, აგრეთვე, დასტურდება შედარებით ვრცელი ვარიანტიც (ვახო >
ვახუნხულა, ნანა > ნანუკა). ეს ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ პარა-
ლელურ სახელთა წარმოქმნა კვონომით გამოწვეული პროცესი არ
არის და პარალელური ონიმი პირველად ანთროპონიმზე უფრო
ვრცელი ან უფრო მოკლე შეიძლება აღმოჩნდეს.

პირველ ადგილას დავაყენეთ ამოსავალი ფორმა, შემდეგ – ვა-
რიანტული ნაირსახეობანი. ზოგი საკუთარი სახელის პარალელურ
ფორმათა რაოდენობა ორ ათეულსაც კი აჭარბებს, მაგალითად ანას
15 ვარიანტული ფორმა დაიძებნა, გიორგის – 23, დავითის – 13, თა-
მარის – 18 და ა.შ.

ზოგჯერ პარალელური სახელი თავად იქცევა ოფიციალურ
სახელად (გიგა, ქეთი, ნიკა, კოტე...). ყოველთვის არ არის შესაძლებე-
ლი იმის განსაზღვრა, თუ რომელია პირველადი და რომელი – მეო-
რეული ონიმი, მაგალითად: გაგა თუ გაგი, ირაკლი თუ ერეკლე, დი-
მიტრი თუ დემეტრე და ა.შ. დღეს „დიმიტრიც“ და „დემეტრეც“
ორივე ოფიციალური ანთროპონიმია, მაგრამ ისტორიულ ჭრილში
თუ განვიხილავთ, პირველობა დემეტრე (Δημήτριος) ფორმას მიენი-
ჭება. როგორც ცნობილია, ბიზანტიური პერიოდის ბერძნულში
გრძელი ე (η) გამოითქმოდა როგორც ი. ამ მოვლენას აღნიშნავენ
ტერმინით იტაციზმი (ურუშაძე, 1987: 6). ბიზანტიური პერიოდის
ბერძნულ ენაში ასახულმა ფონეტიკურმა ცვლილებამ თავი ქართულ
ენაშიც იჩინა და რადგანაც ბერძნულში დამკვიდრდა ახლებური წა-
კითხვა დიმიტრი, ეს ფორმა ჩვენთანაც გავრცელდა. დღეს უკვე
ორივე ონიმი თანაბარუფლებიანია და თითოეული მათგანი ოფიცი-
ალურ, იმავე საპასპორტო ონიმებს წარმოადგენს. მსგავს შემთხვე-
ვასთან გვაქვს საქმე ერეკლე / ირაკლის მაგალითშიც (შანიძე, 1967:
139-140). აქედან გამომდინარე, გადავწყვიტეთ ასეთი ონიმების ცალ-
ცალკე გამოტანა თავიანთ პარალელურ ვარიანტებთან ერთად (იხ.
ონიმები №26, 28, 35, 53).

ზოგჯერ ადამიანს მოიხსენიებენ არა საპასპორტო სახელითა
და მისი პარალელური ფორმებით, არამედ სრულიად განსხვავებუ-



ლი ანთროპონიმით. ეს ონიმი არაა შექმნილი ოფიციალურზე სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუძის შენარჩუნებითა და კნინობით-ალერსობითი სუფიქსის დართვით. მაგალითად ნიკოლოზ ბარათაშვილის თიკუნი იყო ტატო. ონიმი „ტატო“ არაა „ნიკოლოზის“ პარალელური ფორმა, ის მეტსახელია. შესაბამისად, ამგვარ მაგალითებს აქ არ განვიხილავთ.

რამდენიმე ანთროპონიმს შეიძლება ერთი და იგივე პარალელური ფორმა ჰქონდეს, ამიტომ პარალელური ფორმების მიხედვით ყოველთვის ვერ მოხერხდება ამოსავალი ონიმის დადგენა. მათ პირობითად საზიარო პარალელურ ფორმებს უუწოდებთ, მაგალითად:

- „გიუნა“ არის როგორც გივის, ისე გიორგის მოფერებითი ფორმა;
- „გია“, „გიგა“, „გიგი“, „გიგია“, „გიგუცა“, „გიგო“, „გიგილო“, „გიგლა“ და „გიგოლი“ გიორგისა და გრიგოლის პარალელურ ნაირსახეობებად განიხილება სამეცნიერო ლიტერატურაში (ჭუმბურიძე, 2003: 141). მას შემდეგ, რაც „გრიგოლში“ სონორი „რ“ გაუჩინარდა, ბგერა-თა მიმდევრობა „გი“ და მთხვე „გიორგის“ საწყის მარცვალს. ამიტომაც გაიაზრება ზემოთ მოხმობილი მაგალითები ორივეს პარალელურ ვარიანტად; გ) ელენესა და ელისაბედის საზიარო პარალელური ფორმებია „ელიკო“ და „ელო“; დ) ონიმი „მაიკო“ კი სამი ანთროპონიმის საალერსო ფორმად მიიჩნევა: მაიას, მარიამისა და მაკრინეს;
- ე) გულვარდის, გულნაზისა და გულთამზეს საზიარო პარალელური ფორმებია: „გულო“ და „გულა“; ვ) ანთროპონიმებში – მზევინარი, მზექალა, მზეხათუნა, პირიმზე და გულთამზე – „მზე“ ან პირველ, ან მეორე კომპონენტად გველინება. მიუხედავად სხვადასხვა ადგილისა, ამ ონიმების პარალელური ფორმები: „მზე“, „მზეო“ და „მზია“ – მაინც საერთოა; თ) სამი სხვადასხვა ამოსავალი სახელის პარალელური ფორმა ემთხვევა ერთმანეთს: იაკობის, იასონისა და იამზეს. მათი შემოკლებული ვარიანტია „ია“. აღვნიშნავთ, რომ „ია“ ჰქვია როგორც კაცს, ისე ქალს, მაგალითად კომპოზიტორი ია კარგარეთელი კაცი იყო, ხოლო მსახიობი ია სუხიტაშვილი ქალია. როგორც ვხედავთ, ონიმებში დამთხვევას იწვევს მარცვალთა ერთნაირი მიმდევრობა.

ქვემოთ წარმოდგენილი ჩამონათვალი ძირითადად ემყარება ზურაბ ჭუმბურიძის ნაშრომს „რა გქვია შენ?“, აგრეთვე რეალურ ყოფაში ჩვენ მიერ მოძიებულ და დადასტურებულ მაგალითებს. როგორც საზოგადო, ისე საკუთარ სახელებში გამოვყავით: **მარტივი**

(გივი), წარმოქმნილი (ლევანუკა) და კომპოზიტური (მზეხათუნა) ანთროპონიმები. სახელები დალაგებულია ანბანთრიგზე სახელობითი ბრუნვის ფორმით. ჩამონათვალში შეგვხვდება ეთერო ტიპის ფორმები: ერთი შეხედვით, ეს ფორმები წოდებითი ბრუნვის ნიშნითაა გაფორმებული, სამეცნიერო ლიტერატურაში კი აღნიშნულია, რომ ანთროპონიმი ვოკატივში ფუძის სახით უნდა იყოს წარმოდგენილი, ე.ი. არ უნდა დაირთავდეს ბრუნვის ნიშანს. მიუხედავად ამისა, ხშირად, მიმართვის დროს, მაინც გვხვდება -ო დაბოლოება. „ეთერო“ ტიპის ონიმებში „ო“ ფონემა უკვე ფუძის კუთვნილებად გაიაზრება და ხელახლა მიმდინარეობს მათი ბრუნება (აჩო-მ, აჩო-ს; ეთერო-მ, ეთერო-ს; ილო-მ, ილო-ს...). წოდებითისეული „ო“ რომ გავმიჯნოთ უკვე ფუძის კუთვნილებად დაცეული „ო“-საგან, საკონტროლო საშუალებად გამოვადგება წინადადებებში მათი გამოყენების შემთხვევები.

შევარჩიეთ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული ანთროპონიმები როგორც ქალის, ისე მამაკაცის:

1. აბესალომი: აბე, სალო;
2. ავთანდილი: ავთო, ავთუნა, ავთიკო, ავთული, ათული, თანდილა;
3. აკაკი: აკა, აკი, აკო, კაკო, კაკული, კაკუნა, კაკი, კაკუჩა;
4. ანა: ანი, ანო, ანე, ანუკა, ანიკო, ანანო, ანუნა, ანუშკა, ანკა, ანჩო, ანუსი, ანუსია, ანანიკო, ანანუშკი, ანეტა¹;
5. ანდრია: ანდრი, ანდრიკო, ანდრუნა, ანდრო, ანდრე, ანდრეა, ანდრეი;
6. ანზორი: ანზორა, ანზორიკო, ანზო, ანზ! (Voc²);
7. არჩილი: არჩილა, აჩიკო, აჩი, აჩო;
8. ბადრი: ბადუნა, ბადუნია, ბადრუნა, ბადი, ბადუკა;
9. ბაბბარე: ბარბალე, ბაბალე, ბაბი, ბაბიკო, ბაბე, ბაბული, ბაბულია, ბაბუცი, ბაბუცა, ბაბო;
10. ბაქარი: ბაქარა, ბაქრო, ბაქრუნა;

¹ „მიღებული ჩანს ანა-ს ფრანგული კნინობითი ფორმისაგან“ (ჭუმბურიძე, 2003: 224).

² უკანასკნელ ონიმად ზოგიერთ შემთხვევაში წარმოვადგენთ ამოსავალი სახელის წოდებითი ბრუნვის ფორმასაც; რათა უკეთ გამოვკვეთოთ საყრდენი სეგმენტის როლი სახელში.



11. ბაჩანა: ბაჩა, ბაჩია, ბაჩუა, ბაჩო, ბაჩიტა, ბაჩილა¹ ბაჩალა;
12. ბესარიონი: ბესო, ბესიკი, ბესიკო, ბესუნა;
13. ბექა: ბექუნა, ბექუნია, ბექნუ, ბექაქო;
14. გაბრიელი: გაბა, გაბე, გაბელ, გაბილა, გაბრია, გაბრო, გაბო, გაბიტა, გაბრი;
15. გაგი // გაგა¹: გაგუშა, გაგუნა, ვაგანა, გაგნა;
16. გეგა: გეგე, გეგუნა;
17. გვანცა: გვანცი, გვანცუცა, გვანცუცი, გვანცუნია;
18. გივი: გივიკო, გივიკუნა, გიუნა;
19. გიორგი: გიო, გიორგუნა, გიორგა, გიუნა², გოგი, გოგიტა, გოგია, გოგლა, გოგლია, გოგა, გიუშა, (გია, გიგა, გიგი, გიგა, გიგუცა, გიგო, გიგილო, გიგლა, გიგოლი)³;
20. გოჩა: გოჩია, გოჩიტა, გოჩელა, გოჩუნია, გოჩუნა;
21. გრიგოლი: გიგა, გიგი, გიგო, გიგლა, გიგოლი, გიგოლა, გია, გიგია, გიგუცა, გიგილო;
22. გუგა: გუგუ, გუგუა, გუგუნა, გუგუტა;
23. დავითი: დავითა, დათო, დათუნა, დათიკო, დათუკა, დათვა, დათიმი, დათოთი, დათიკა, დათიკელა, დათა, დათია, დათუა;
24. დარეჯანი: დარეჯანა, დარია, დარო, დარიკო, დაჯი, დაჯო;
25. დაჩი: დაჩუნა, დაჩუკა, დაჩიკო;
26. დემეტრე: დემე, დემნა;

¹ ოთულია განისაზღვროს, რომელია პირველადი ონიმი: გაგა თუ გაგი. ორივე მათგანს ვხვდებით მხატვრულ ლიტერატურაში, მაგალითად: ალექსანდრე ფაზბეგის „პერსონაჟს „ელგუჯაში“ გაგი-ჰევია, რევაზ მიშველაძის „პერსონაჟს „ცხენოსანში“ – გაგა. ზურაბ ჭუმბურიძეც ერთმანეთის გვერდიგვერდ ასახელებს ამ ორ ონიმს და დასმენს, რომ ძველ ქართულ დოკუმენტებში ორივე გვხვდებოდა (ჭუმბურიძე, 2003: 139). შესაძლოა გიორგის პარალელური ვარიანტებიც კი იყოს.

² გივის მოფერებით ფორმად განიხილავს ზურაბ ჭუმბურიძე „გიუნას“ (ჭუმბურიძე, 2003: 142). ჩვენ წარმოვადგენთ ანთროპონიმ გიორგისთანაც, რადგან რეალურ ყოფაში ამ სახელის მქონე პირსაც მოიხსენიებენ გიუნათი.

³ ფრჩხილებში წარმოდგენილი ანთროპონიმები მიიჩნევა როგორც გიორგის, ისე გრიგოლის შემოკლებულ ფორმებად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისინი საზიარო პარალელური ფორმებია (ჭუმბურიძე, 2003: 141).

27. დიანა: დიკო, დიკუნა, დინო;
28. დიმიტრი: დიტო, დიმა, ძიმა¹, ძიტო, მიტო, მიტუა, დუ-ტუ, დუტა;
29. ევგენი: ევგენა, გენო;
30. ეთერი: ეთუნა, ეთუნი, ეთუკა, ეთერა, ეთიკო, ეთო, ეთე-რო², ეთერ! (Voc);
31. ეკატერინე: ეკა, ეკაკო, ეკუ, ეკუშა, ეკუნა, კატო, კატუშა, კა-ტუკა, კატერინა;
32. ელგუჯა: ელგუ, გუჯა, გუჯო;
33. ელენე: ელე, (ელიკო, ელო³), ელა, ლენა, ლელიკო, ნელი, ნელიკო;
34. ელისაბედი: ელიზაბედი, ელიზაბეტი, ლიზა, ლიზი, ლი-ზო, ლიზიკო, ელი, ელო, ელისო, ელზა, ელსა, ელიკო, სა-ბედო;
35. ერეკლე: ეკე;
36. ვაჟა: ვაჟიკო, ვაჟიკა, ვაჟუნა, ვაჟია;
37. ვახტანგი: ვახო, ვახტანგულა, ვახტანა, ვახტუშტი;
38. ვლადიმერი: ლადო, ლადუნა, ლადიკო, ლადუშკა;
39. ზაალი: ზალიკა, ზალიკო, ზაზა⁴, ზაზიკა, ზაზ! (Voc);
40. ზაქარია: ზაქრო, ზაქრუა, ზაქრუნა, ზაქრიკო;
41. ზვიადი: ზვიადა, ზვიო, ზვიუშა, ზვიადიკო;
42. ზურაბი: ზურა, ზურაბა, ზურია, ზურიკო, ზუკა;

¹ რუსული ენის გავლენის გამო გვაქვს ძ ფონემა.

² ქართული ენის ერთვნულ კორპუსში, კერძოდ, რეფერენციალურ ქვე-კორპუსში, დავძებნეთ „ეთეროს“ გამოყენების შემთხვევები. ემპირიული მასალის მი-ხედვით, 123 ფორმიდან აღნიშნული ონიმი სახელობით ბრუნვაში იდგა 99 შემ-თხვევაში, „თითქოს სადღაც გარმონი თავისთვის იწელება, ეთერო კი თავისთვის უზნობს“ (მ. ცხადაია), მოთხოვობითში – 1-ში, „ეთერომ მომიტანა“ (გ. რაზიკაშვილი), მიცემითში – 6-ში, „არც ეთეროს მოუგონია“ (ე. ირემაშვილი), ნათესაობითში – 15-ში, „ეთეროს ლექსები საერთოდ გამოიჩევა ლაკონურობით“ (დ. ბედიანიძე), მხოლოდ ორჯერ იყო წარმოდგენილი წილებით ბრუნვაში, აქედან კი ერთი „ეთერო“ ფორმით: „რად სტირ ეთერო? – მერე მაინც ჩამეძიებოდა დედა“ (ნ. დეკანოიძე). უკანასკნელი „ო“ სხვათა სიტყვის ნაწილაკია.

³ ფრჩხილებში წარმოდგენილი ონიმები ელისაბედის მოფერებით ვარიან-ტებადაც გვხვდება.

⁴ ზაალ + ზარ > ზაალზარ > ზაზა (ჭუმბურიძე, 2003: 157)

43. თამარი: თამთა, თამუნა, თამუსია, თამუნია, თამო, თამრიკული, თამარა, თამრო, თამრიკო, თამრიკელა, თამრიკუნა, თაკო, თაკუნა, თალიკო, თათა, თათი, თათია, თათული, თათულიკო;
44. თევდორე: თედორე, თედო, თედუა, თედუნა;
45. თეიმურაზი: თემური, თემურა, თეიმური, თემუკა, თემუკო, თემიკო, მურაზი;
46. თეონა: თეო, თეკო, თეთუნა, თეთე;
47. თორნიკე: თოკო, თოკლაკო, თოკუნა, თოკუნია, თოკა, თონო;
48. იაკობი: ია¹, იაკო², კობა;
49. ივანე: ივა, ივიკო, ვანო, ვანიკო, ვანუშა, ვანია, ვანუშვა, ვანუშვი, ვანიჩკა, ვანუა;
50. ილია: ილა, ილო, ილიკო;
51. იოანე: იო, იოიო;
52. იოსები: სოსო, სოსია, სოსოია, სოსიკო, სოსიკონა, ოსიკო, იოსეკა, სესე;
53. ირაკლი: ივა, ივაკო, ივუშა, ირა, ირუშა, ირ! (Voc);
54. კესარია: კესო, კესუნა;
55. კონსტანტინი: კოსტანტილე, კოსტა, კოსტალა, კოსტია, კოწია, კოწო, კოტე, კოტიკო, კოტუნა, კოტია, კოტუა, კოტეტი, კოსე, კოკო, კიტა;
56. ლაშა: ლაშიკო, ლაშუკა, ლაშუნა;

¹ კაცის სახელი „ია“ არის იაკობისა და იასონის შემოკლებული ფორმა, ქალის სახელი „ია“ კი ყვავილის სახელიდან მომდინარეობს. „ქართველური ანთროპონიმების სახელდების ერთ-ერთი თავისებურებაა ქალისა და ვაჟის სახელების ფორმალური დამთხვევა – ერთი და იგივე სახელი გამოყენებულია ორივე სქესის ადამიანისათვის“ (ქურდამე, ლომია, მარგარი, 2017: 424). ქალის სახელად „ია“ 13215 შემთხვევაშია დადასტურებული, ხოლო მამაკაცის – 148 შემთხვევაში (სილაგაძე, თოთაძე, 1997: 7).

² იაკობის მოფერებითი ფორმა „ია“, ამ უკანასკნელს კი შემდეგ დაერთო – კოსუფიქსი ე.ი. ონიმი „იაკო“ მივიღეთ არა „ბ“-ს დაკარგვით, არამედ ია-ზე – კობლოსართის დართვით. თუმცა, შესაძლოა პროცესი სხვაგვარადაც წარმართულიყო, კერძოდ, იაკობი > იაკო, შემოკლებული ვარიანტი თავიდანვე იაკო ყოფილიყო. თუმცა ჩვენ პირველ მოსაზრებას უფრო ვემზრობით.

57. ლევანი: ლევანა, ლევანიკო, ლევანუკა, ლევანჩო, ლევანი, ლევო, ლოლო¹, ლევან! (Voc);
58. ლია: ლიკა, ლიკუ, ლიკუნა, ლიკაკო;
59. ლუარსაბი: ლუა, ლუარსაბა, ლუარსაბიკო;
60. ლუკა: ლუკაკო, ლუკაჩო, ლუკინიო;
61. მაგდალინა: მაგდალენა, მაგდანა, მაგდა, მადლენა, მადინა, მადი, მად! (Voc);
62. მაია: მაიკო, მაი! (Voc);
63. მაკრინქ: მაკრო, მაიკო², მაკა, მაკო;
64. მამა: მამუკა, მამუკელა;
65. მანანა: მანო, მანჩო, მანანუკა, მანანიკო, მანანუშკი, მანან! (Voc);
66. მარგალიტა: მარგარიტა, მარგო, მარგუშა, მარგუში;
67. მარიამი: მარი, მარუსა, მარიკო, მარიკუნა, მარიშკა, მარია, მარო, მარიკა, მარუსია, მარიკო, მარიკა, მარუსია, მარიკო, მაშო, მაშიკო;
68. მელანია: მელანა, მელანო, მელო;
69. მერაბი: მერაბა, მერო, მერაბიკო;
70. მერი: მერიკო, მერიკუნა, მერუკა;
71. მიხეილი: მიხო, მიშა, მიხა, მიხაკო;
72. ნაზი: ნაზო, ნაზიკო, ნაზია;
73. ნათელა: ნათია, ნათკა, ნათო, ნათუშკი, ნათუშკა;
74. ნანა: ნანუკა, ნანკა, ნანიკო, ნანუნა, ნანაჩკა, ნანული, ნანულა, ნანუჩი, ნანუჩა, ნანი, ნანია, ნანო, ნან! (Voc);
75. ნატალია: ნატა, ნატო, ნატაშა, ნატაშკა, ნატუ, ნატუკა;
76. ნესტანი³: ნესტანუკა, ნესტანჯარი, ნესტო;
77. ნიკოლოზი: ნიკო, ნიკუშა, ნიკა, ნიკანორი, ნიკოლა, ნიკალა, კოლია, კოლა;

¹ ბოლო სამ ონიმში ლაბიო-დენტალური ვ ჩაანაცვლა ლაბიალურმა ო-მ, ვ > ო.

² მაიკო მაიას, მარიამისა და მაკრინქს საალერგო ფორმაა (ჭუმბურიძე, 2003: 241).

³ „ნესტანი“ პარალელური ფორმების სიუხვით ან გამოირჩევა. „ვეფხისტყაოსანში“ ამ სახელის მატარებელი პერსონაჟი ნესტან-დარეჯანად, ნესტანჯარად (მხოლოდ ერთხელ) ან დარეჯანად იწოდება. რესთაველი არცერთხელ არ იყენებს ფორმა „ნესტანს“. შესაძლოა ამ ფაქტმაც განაპირობა ამ ონიმის (ნესტანის) პასიურობა (აფრიდონიძე, 1998: 85).



78. ნინო: ნინიკო, ნინუკი, ნიცა, ნინუცა, ნუცა, ნუციჭული, ნუციჭული;
79. ნოდარი: ნოდო, ნოდარა, ნოდარიკო;
80. ნუგზარი: ნუგზარა, ნუგო, ნუგი, ნუგზო;
81. ოთარი: ოთარა, ოთო, ოთია, ოთიკო, ოთუნა;
82. ოლღა: ოლღა, ოლია, ოლიკო, ოლა;
83. პატა: პატა, პატია, პატიკო, პატუნა, პატო;
84. პავლე: პავლია, პავლიკო, პალიკო, პავლიკა, პაოლო;
85. პაპუნა: პაპა, პაპი, პაპო, პაპია, პეპია, პაპუა, პაპალა, პაპალია, პაპანა, პაპენა, პაპინა, პაპიტა, პაპუტა, პაპუკა, პაპუჩა, პაპუჩი, პაპუჩელა;
86. პეტრე: პეტრია, პეტრუა, პეტრიკელა, პეტია, პეტა, პეტო, პეტუა;
87. რაფიელი: რაფო, რაფიკო;
88. რევაზი: რევაზა, რეზო, რეზიკო, რეზიკუნა, რევი;
89. რობიზონი: რობიზონა, რობო, რობი, რობიკო, რობა;
90. რუსუდანი: რუსიკო, რუსო;
91. საბა: საბუნა, საბუკა, საბუშა, საბუნია;
92. სალომე: სალი, სალო, საკო, საკუ, სალიკა, სალ! (Voc);
93. სერგო: სერგი, სერგია, სერგუნა;
94. სიმონი: სიმონა, სიკო, სისო, სიმონიკა;
95. სოლომონი: სოლომონა, სოლომანი, სულო, სულიკო¹, სანია, სოლო, სოლიკო;
96. სულხანი: სუხო, სულა, სულხანა;
97. ტარიელი: ტარო, ტარია, ტარიელა, ტატო;
98. ტიტე: ტიტია, ტიტიკო;
99. ქაიხოსრო: ხოსრო, ხოსია, ხოსიტა, ხოსიკა, ხოსრუა, ქაქუცა;
100. ქეთევანი: ქეთი, ქეთა, ქეთო, ქეთუშა, ქეთუნა, ქეთუკა, ქეთათო, ქეთეთო, ქეთინო, ქეთუსა, ქეთუსია;
101. ქრისტინე: ქრისტინა, ქრისტი, ქისო;
102. შალვა: შალიკა, შალიკო, შალუტა, შაკო, შაკუნა;

¹ სულო, სულიკო ონიმებში „უ“ მიღებულია ო-ს დავიწროებით.

103. შაქრო¹: შაქარა, შაქრუა;
104. შორენა: შორე, შოკა;
105. ციალა: ცია, ციაკო, ციკო;
106. ცუცა: ცუცია, ცუცეა, ცუცქა, ცუცნა, ცუცუნა, ცუცუ, ცუცი,
ცუციკო;
107. ხათუნა: ხათუთა, ხათუთი, ხათუნი, ხათუკა, ხათუნია.

როგორც დავინახეთ, პარალელური ფორმები იმეორებენ ამო-
სავალი სახელის საყრდენ სეგმენტს. მაგ: თევდორე > თედო, ნიკო-
ლოზი > ნიკო, ევგენი > გენო და ა.შ.

წარმოვადგენთ კომპოზიტურ ანთროპონიმებსაც, რომელთა
უდიდესი ნაწილი ქართული ენის ნიადაგზეა შექმნილი:

1. ალექსანდრე: ალექსი, ალეკო, ალე, ალიკო, ალიოშა, სა-
ნდრო, სანდრიკო, სანდრუნა, სანდრინიო, საშა, საშიკო,
საშკა, ლექსო, ლექსუნა;
2. ანასტასია²: ტასო, ტასიკო, ნასტა, ნასტია;
3. გულვარდი: გულვარდო, გულისვარდი, გულისვარდო,
ვარდო, ვარდუა, ვარდიკო, გულა, გულო, გულჩო, გული-
კო;
4. გულთამზე: მზე, მზეო, მზია, გულა, გულო, გულჩო, გუ-
ლიკო;
5. გულნაზი: გულნაზა, ნაზო, ნაზიკო, ნაზია, ნაზი, გულა,
გულო, გულჩო, გულიკო;
6. გულქანი: გულქანა, გუქა, გულო, გული;
7. დოდო: დოდოშვა, დოდუშვა, დოდონა, დოდუნა, დოდი-
შვა, დოდიკო;
8. ელეონორა: ელე, ნორა, ნორიკო;
9. თინათინი: თიკო, თიკა, თინა, თინაკო, თინუკა, თინიკო,
თინი, თინო;

¹ შაქრო „მიიჩნევა ზაქარია-ს მოფერებით ფორმად, თუმცა შეიძლება მისგან
დამოუკიდებლად იყოს წარმოქმნილი“ (ჭუმბურიძე, 2003: 211). ვფიქრობთ, „შაქროს“
სემანტიკა შესაძლოა დაკავშირებული იყოს „შაქართან“, ამიტომაც ამ ორ ონიმს,
შაქროსა და ზაქარიას ცალ-ცალკე წარმოვადგენთ.

² ამ სახელის მქონე პირს შემოკლებით ანასაც დაუქახებენ, შესაბამისად, ანას
მონაცვლე ფორმებსაც. ანას პარალელური ფორმები იხილეთ ზემოთ, რიგით შესამე
ნომრად.

10. იამზე: ია, იაკო, მზე, მზეო, მზია;
11. კახაბერი: კახა, კახი, კახუ, კახუნა, კახუჩა, კახუჩელა, კახო, კახუა, ბერი, ბერა, ბერო, ბერუა, ბერუჩა, ბერიკა, ბერიტა;
12. მზევინარი: მზევინარა, მზე, მზეო, მზია;
13. მზექალა: ქალა, მზე, მზეო, მზია;
14. მზეჭაბუკი: ჭაბუკა, ჭაბუა;
15. მზეხათუნა: მზეხა, ხათუნა, ხათუთა, ხათუთი, ხათუნი, ხათუკა, ხათუნია, მზე, მზეო, მზია;
16. ნაზიბროლა: ბროლია, ბროლა, ნაზი, ნაზია, ნაზო, ნაზიკო;
17. ოქროპირი: ოქრო, ოქრუა;
18. პირიმზე: პირიმზისა, მზე, მზეო, მზია;
19. პირიმთვარე: პირიმთვარისა, მთვარისა, მთვარო, მთვარე;
20. ქალთამზე: ქალა, მზე, მზეო, მზია;
21. ცისკარა: ცისა;
22. ცისმარი: ცისმარა, ცისა;
23. ცისნამი: ცისნამა, ცისა, ცისო.

როგორც ვხედავთ, ქალის სახელებს საფუძვლად უდევს ყვავილთა, ცისა და მნათობთა სახელური ფუძეები, მაგალითად: გულვარდი, პირიმზე, ცისმარა და ა.შ.


„ხათუნა“ და „ნაზი“ დამოუკიდებელ ონიმებად უფრო ხშირად გამოიყენება, ვიდრე კომპოზიტის ნაწილად (მზეხათუნა, ნაზიბროლა). ეს უკანასკნელი დღეს თითქმის უკვე აღარც გვხვდებიან. ამიტომაც ხათუნა და ნაზი წარმოვადგინეთ ცალკე ანთროპონიმებადაც. ამ გადაწყვეტილების მიღებას ხელი იმანაც შეუწყო, რომ ხათუნა და ნაზი წარმოშობით თურქულ-ირანული ონიმებია და ისინი დაუკავშირდნენ ქართულ სიტყვებს: „მზესა“ და „ბროლას“ და ისე შექმნეს კომპოზიტი. რაც შეეხება ლექსოს, სანდროს, თემურსა და სხვა ონიმებს ისინი ვარიანტული ფორმებია და მათ ცალკე არ გამოვყოფთ.

არაქართულ ნიადაგზე წარმოქმნილი ანთროპონიმი წარმოშობით შეიძლება კომპოზიტი იყოს, მაგრამ, თუ ქართულ ენაში მისი აღქმა-გაგება კომპოზიტური ხასიათის აღარაა, მაშინ მას ცალკე რთულ სახელთა რიგში არ დავტოვებთ. მაგალითად **ლუარსაბი** ირანული

ონიმია და შედგება ორი სიტყვისგან: რუდპრ (წითელი) და ასპ (ცენტრი), ნიკოლოზი ნიკესა (გამარჯვება) და ლაოს (ხალხი) შეერთებითაა მიღებული ბერძნულ ენაში (ჭუმბურიძე 2003: 180, 190). რადგანაც ქართულში ისინი მარტივ სახელებად გაიაზრებიან, რთულ სახელთა რიგში არ მოვათავსეთ. საჭიროა გავითვალისწინოთ ანთროპონიმის წარმომავლობა, რათა მისი სეგმენტაციის დროს შეცდომაში არ შევიდეთ. მაგალითად ონიმი ბარბარე შეიძლება ვიფიქროთ, რომ ფუძეგა-ორგენებით მიღებული ანთროპონიმია, მაგრამ ეს სახელი ბერძნული ენის ნიადაგზეა შექმნილი, ნიშნავს უცხოელს, არაბერძენს (ჭუმბურიძე 2003: 225). შესაბამისად, ქართულ ენაში არ განხორციელებულა მისი რედუქციისაც და კომპოზიტად არ უნდა მივიჩნიოთ.

სქემა A

პარალელური სახელი



პარალელური სახელი

ერთსეგმენტიანი

ორსეგმენტიანი

კომპოზიტი

მარტივი, ერთფუძიანი

 ალექსანდრე იამზე
 ალექსანდრე იამზე

 ანასტასია კახაბერი
 ანასტასია კახაბერი

 გულვარდი მზექალა
 გულვარდი მზექალა

 გულთამზე მზეხათუნა
 გულთამზე მზეხათუნა

 გულნაზი ნაზიბროლა
 გულნაზი ნაზიბროლა

 ელეონორა ქალთამზე
 ელეონორა ქალთამზე

 აჩესალომი ელისაბედი
 აბესალომი ელისაბედი
 ავთანდილი თეიმუ(რ)აზი
 ავთანდილი თეიმურაზი

 გიორგი იაკობი
 გიორგი იაკობი

 დიმიტრი ივანე
 დიმიტრი ივანე

 ევგენი ირაკლი
 ევგენი ირაკლი

 ევატერინე ნიკოლოზი
 ევატერინე ნიკოლოზი

 ელგუჯა სოლომონი
 ელგუჯა სოლომონი

 ელენე ქაიხოსრო
 ელენე ქაიხოსრო

ლიტერატურა

აფრიდონიძე 1998 – შ. აფრიდონიძე, „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა სახელები: სტატისტიკა და სტილისტიკა: ქართული ონომასტიკა I. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1998.

გოდერძიშვილი 2012 – ქ. გოდერძიშვილი, ქართველური ან-თროპონიმიკის ძირითადი საკითხები. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“, 2003.

სილაგაძე, თოთაძე 1997 – ა. სილაგაძე, ა. თოთაძე, გვარ-სახელები საქართველოში. თბილისი, 1997.

ურუშაძე 1987 – ა. ურუშაძე, ძველი ბერძნული ენა. თბილისი, 1987.

ქართული ენა: ენციკლოპედია 2008 – ქართული ენა. ენციკლოპედია, (შემდგენელი ი. ქობალავა, რედაქტორი გ. კვარაცხელია), ეროვნული მწერლობა, თბილისი, 2008.

ქურდაძე, ლომია, მარგარი 2017 – რ. ქურდაძე, მ. ლომია, ქ. მარგარი, ქართველურ ანთროპონიმთა სახელდების ზოგიერთი პრინციპისათვის: სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი ენა და კულტურა # 4, ქუთაისი, 2017. <https://enadakultura.com/conferences/>

შანიძე 1969 – მ. შანიძე, ი ხმოვანფუძიანი ანთროპონიმების ბრუნების ისტორიისათვის ქართულში: კრებ. თბილისის უნივერსიტეტი გიორგი ახვლედიანს. თბილისი, 1969.

ჭუმბურიძე 2003 – ზ. ჭუმბურიძე, რა გქვია შენ. თბილისი: ლოგოს პრესი, 2003.

ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე 1988 – ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი (მასალები ქართული ენის სისტემური კურსისათვის). თბილისი: მეცნიერება, 1988.

კორპუსი

ქართული ენის ეროვნული კორპუსი – <http://gnc.gov.ge/gnc/page>

Formal Analysis of Parallel Anthroponyms

Summary

The study of anthroponyms occupies an important place in linguistics. The object of the present research is the parallel forms evidenced in official, i.e. "passport" names in Georgian.

Anthroponyms containing the same root are considered parallel name forms, for example, the variant forms of "Tamar" are Tam-una, Tam-usia, Tamr-iko, Tamta... The parallel forms of an official name are the result of apocope and simplification of the passport name (Nikolozi> Niko) or its expansion (Givi>Givikuna).

In the formation of parallel names, special importance is attached to the base segment. A base segment is the part of an official name that participates in the formation of parallel forms. The essence of base segments is dependent on the structure of an onym, as a result, anthroponyms can be represented as: a) onyms with one base segment (Gvantsa>Gvants-utsa, Gvants-unia – the base segment being "Gvants"; Vazha>Vazh-iko, Vazh-ika, Vazh-una – the base segment being "Vazh"...) and b) onyms with two base segments (Avtandili>Avt-una, Avt-iko // Tandila – the base segments are "Avt" and "Tandil"; Nikolozi> Niko, Nikusha // Kol -a, Kol-ia – the base segments are "Nik" and "Kol").

The structural analysis of base segments is of relevance to answer the following questions: how many phonemes can a base segment consist of? Which sounds can disappear in it? In which cases are there two base segments? Does the length of an anthroponym determine the occurrence of several segments? How many syllables can a base segment consist of? Do vowels or consonants in a base segment have phonetic variants? How are anthroponym diminutives formed? What does the common parallel onym mean?

უფრო მეტად გამოიყენება უკავშირობის მიხედვისათვის და მასთან დაკავშირდება მარტინიუსის მიზანის სისტემის მიხედვისათვის. მაგრამ მასთან დაკავშირდება მარტინიუსის მიზანის სისტემის მიხედვისათვის და მასთან დაკავშირდება მარტინიუსის მიზანის სისტემის მიხედვისათვის. მაგრამ მასთან დაკავშირდება მარტინიუსის მიზანის სისტემის მიხედვისათვის.

ნიც ჯოჯუა

დეისტური სტრუქტურის მულტიმოდალურ რჩქლამაში

1. შესავალი

გამომდინარე იქიდან, რომ რეკლამა თავისი არსით თანამედროვე მომხმარებელზეა ორიენტირებული და საზოგადოების ცხოვრებაში აქტუალობას ინარჩუნებს, უკვე წლებია, მისი სხვადასხვა ასპექტი, კერძოდ, მორფოლოგიური, სემანტიკური, სინტაქსური, პრაგმატიკული თუ სხვა, ინტერდისციპლინური კვლევის ობიექტია. შეისწავლიან ამ მულტიმოდალური ჟანრის კომპლექსურ ბუნებას სხვადასხვა პერსპექტივიდან, იქნება ეს ლინგვისტურ-პრაგმატიკული, სოციალურ-კულტურული, მარკეტინგული თუ რიტორიკული კვლევითი ჩარჩო.

რეკლამა კომპლექსური ჟანრია, და განურჩევლად სარეკლამო პროდუქტისა, იქნება ეს მომსახურება თუ უბრალოდ ნებისმიერი ნივთი, მისი მთავარი მიზანი კონკრეტული აუდიტორიის დარწმუნება და მასზე გავლენის მოხდენაა. შესაბამისად, რეკლამაში ინტეგრირებულია მრავალფეროვანი ლინგვისტური, ექსტრალინგვისტური და პარალინგვისტური ელემენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ პირდაპირ ან „შეფარულ“ ზეწოლას მომხმარებელზე, რასაც მარკეტოლოგები ეწ. „უხეშ გაყიდვას“ და „რბილ გაყიდვას“¹ უწოდებენ.

ამ ფონზე, დეიქსისი, თავისი სემანტიკურ-პრაგმატიკული ბუნებიდან გამომდინარე არა მხოლოდ დროსა და ადგილზე მიუთითებს, არამედ კომუნიკაციაში ჩართულ წევრებს – შეტყობინების გამგზავნისა და მიმღებს შორის ურთიერთობასაც ამყარებს. შესაბამისად, დეიქსისის ლინგვისტური მოვლენა რეკლამაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს როგორც აუდიტორიის დარწმუნების

¹ hard sell და soft sell

ერთ-ერთი ეფექტური ინსტრუმენტი სიახლოვის, უშუალობრივი და ინტერაქტიური განცდის შექმნით, რაც, თავის მხრივ, ეხმადანება ვარაუდს იმის შესახებ, რომ წარმატებული რეკლამა ხშირ შემთხვევაში სალაპარაკო დისკურსის მახასიათებლებს „სესხულობს“ და ამით მოსაუბრე-მსმენელს შორის უშუალო საუბარს ემსგავსება (ჯოჯუა, 2022).

შესაბამისად, წინამდებარე ნაშრომი შეისწავლის და განიხილავს დეიქსისის გამოყენების შემთხვევებს რამდენიმე ინგლისურენოვანი და ქართული რეკლამის მაგალითზე, კონკრეტულად კი ერთ-ერთი მსოფლიოში ყველაზე წარმატებული ამერიკული კომპანიის – Apple.Inc – ისა და საქართველოში მოქმედი პოპულარული ფარმაცევტული კომპანიების – პე-ეს-პე (PSP) და ჯიპისი (GPC), სარეკლამო ტექსტ-გზავნილებში, რათა გამოავლინოს, პრაგმატიკულ ჭრილში გააანალიზოს და შეადაროს დეიქტური სიტყვები და სტრატეგიები ორ ენაში, რომელიც მიზანმიმართულად გამოიყენება რეკლამის შექმნელების მიერ კონკრეტული სამიზნე აუდიტორიის დარწმუნების საშუალებად.

2. დეიქსისი და მისი ტიპები

დეიქსისი, რომელიც მომდინარეობს ბერძნული სიტყვისგან „*deiknynai*“ –ჩვენება (ოქსფორდის ინგლისური ენის ლექსიკონი), წარმოადგენს ენობრივ ერთეულთა ფუნქციას, გამოკვეთოს საკომუნიკაციო აქტში ჩართული პირების მიმართება დროით და სივრცობრივ მონაცემებთან. იული (იული 1996: 9) აღწერს მას, როგორც „ჩვენება და მითითება ენის საშუალებით“ – „*pointing through language*“ და ხაზს უსვამს, რომ დეიქტური ფრაზების მნიშვნელობა ზეპირ, პირისპირ კომუნიკაციაში ვლინდება. ლაიონზიც (1997) აღნიშნავს, რომ, როგორც წესი, დეიქსისი გულისხმობს სწორედ სამეტყველო აქტში საუბარში მონაწილე მოსაუბრე-ადრესანტისა და სულ მცირე ერთი ადრესატის მიერ ნახსენები პირების, ობიექტების, მოვლენების, პროცესებისა და აქტივობების ადგილმდებარეობის განსაზღვრასა და დადგენას დროით-სივრცობრივ კონტექსტში, რომელიც სწორედ სამეტყველო სიტუაციას ახლავს თან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კონტექსტობრივი ინფორმაციის გარეშე, ანუ მოსაუბრეზე, ადრესატზე, დროსა და ადგილზე გარკვეული ინფორმა-

ციის გარეშე დეიქტური ფრაზებისა და სიტყვების მნიშვნელობის ამოცნობა შეუძლებელია (ლევინსონი 1983). უფრო მეტიც, შეუძლებელია იმის დადგენა, დეიქტური გამონათქვამი სიმართლეს შეიცავს თუ არა, რადგან დეიქტური სიტყვები მნიშვნელობის ცვალებად კომპონენტს შეიცავენ; მათი დენოტაციური მნიშვნელობა განსხვავდება კონკრეტული დროის, ადგილის და სემანტიკური მნიშვნელობის მიხედვით (ლევინსონი, 1983), შესაბამისად, დეიქტური ერთეულების ინტერპრეტაციისთვის წინარე ცოდნას კონტექსტზე გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

ამას გარდა, დეიქტური ერთეულები გვეხმარება იმის გაანალიზებაში, თუ რა არის ახლოს და რა შორს მოსაუბრისგან, რაც მიუთითებს დეიქსისის ეგოცენტრულ ბუნებაზე და სწორედ ცენტრიდან, ანუ რეფერენციის წერტილიდან ხდება გამონათქვამის ინტერპრეტირება. ლევინსონს (1983) სტეპლტონთან (2017) დეიქტური ცენტრის მაგალითად მოჰყავს წინადადება: (ინგ. *I'm over here now*, (ქართ.) მე აქ ვარ ახლა), რომელშიც მოსაუბრე, ისევე როგორც წარმოთქმის ადგილი და დრო არიან დეიქტური ცენტრები და ზეპირი კომუნიკაციის დეკოდირება ზუსტად მათი განხორციელების დროსა და ადგილას ხდება შესაძლებელი; წერილობით დისკურსში კი – მისი დაწერის მომენტში.

სამეცნიერო ლიტერატურაში განარჩევენ დეიქსისის 3 ტიპს:

პირის დეიქსისი – წარმოდგენილია პირის ნაცვალსახელებით – (ქართ.) მე, ჩვენ, შენ, თქვენ, ის, ისინი; (ინგ.). *I, you, we, he/she, it, they* და *shez*. ამათგან პირველი და მეორე პირი საუბრის მონაწილეებზე მიუთითებს, მესამე კი უხილავ, მოთხობილ მონაწილეზე. აღსანიშნავია, რომ პირის ნაცვალსახელი ქართულსა და ინგლისურში 2 შემთხვევაში განსხვავებული ფორმებით არის წარმოდგენილი, კერძოდ, 1) ქართულ ენაში მეორე პირი მხოლობით და მრავლობით რიცხვს განარჩევს – შენ, თქვენ, ხოლო თანამედროვე ინგლისურში მხოლოდ ერთი – მრავლობითი ფორმა *You* არის შემორჩენილი; 2) მესამე პირის სულიერის აღმნიშვნელი ნაცვალსახელები ქართულ ენაში გენდერულ განსხვავებას არ ასახავენ. (ის – მდედრობითი ან მამრობითი), ხოლო ინგლისურში განსხვავებული სურათი გვაქვს: *He* – მამრობითი; *She* – მდედრობითი, შესაბამისად, პიპოთეტურად, რიგ შემთხვევებში დეიქსისის გამოყენება და ინტერპრეტაცია კონ-

კრეტული დისკურსით ან სოციალური ფაქტორებით შეიძლება ამზადება სხვას.

სივრცობრივი/ადგილის დეიქსისი – (ქართ). *ეს, ის, აქ, იფ*: (ინგ). *this, that, here, there*, და *სხვ*. რომლებიც ტექსტს ათავსებს სივრცეში; ამათგან ჩვენებით დეიქსისთან *this/that* (*ეს/ის*) მიმართებით საინტერესოა ფილმორის (1977) მიერ განხილული ორი სხვადასხვა შემთხვევა: *ესტიკულაციური/მაჩვენებლი და სიმბოლური*, რომლებშიც პირველს მაჩვენებელი (pointing) ფუნქცია აქვს, ხოლო მეორეს – სიმბოლურ-განმაზოგადებელი. მაგალითისთვის ავიღოთ ორი განსხვავებული წინადადება: „(1) *ეს* არის ჩემი სახე. (2) *ეს* სახე ერთადერთია [...] (3) *ეს* სახე მხოლოდ ჩემია“ (ჯიპისი-ს რეკლამა: <https://www.youtube.com/watch?v=Bqx0KtDrI8>). მოცემული სარეკლამო ტექსტის ნაწყვეტში დანომრილი ადგილის დეიქსისიდან – „*ეს*“, (1) და (3) შემთხვევაში მოცემულ ნაცვალსახელს ლოკალური, მაჩვენებელი ფუნქცია აქვს, მითუმეტს ვიზუალურად გამოკვეთილი სახის ფონზე. თუმცა (2) შემთხვევაში – მისი ფუნქცია განმაზოგადებელი უფროა და სიმბოლურ დატვირთვას იძენს უამრავი სავარაუდო გადატანითი მნიშვნელობით: სახე, როგორც ხატი, როგორც ადამიანის იდენტობის ან ინდივიდუალიზმის მაჩვენებელი და სხვ.

დროითი დეიქსისი – (ქართ.) *ახლა, დღეს, გუშინ*; (ინგ) *now, today, yesterday* და *სხვ*. რომელიც მიუთითებს კონკრეტულ დროზე და ათვლის წერტილად საუბრის მომენტ სიღებს; შესაბამისად., დროითი დეიქსისი გულისხმობს **ზმის გრამატიკული დროის, დროის ზმიზედებისა და სხვა დროითი ფრაზების** გამოყენებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მკვლევრები დროითი დეიქსისის გამოყენებასათან დაკავშირენით გარკვეულ არაკანონზიმერებებს ეწ. წინასწარ დაგეგმილ ჟანრებში ხედავენ, რადგან ასეთ შემთხვევაში რეალური დრო მოცემული კომუნიკაციური აქტის დროს არ ემთხვევა.

ლევინსონი (1983) ლაიონზისა (1977) და ფილმორის (1977) გავლენით გამოყოფს **დისკურსის** და **სოციალურ** დეიქსისს. ამათგან პირველი მოიცავს მოსაუბრესა და ადრესატს შორის კოდირებული სოციალური როლებისა და ურთიერთობის ასპექტებს, ხოლო მეორე – კონკრეტული კომუნიკაციური აქტის დისკურსის სხვადასხვა კომპონენტში კოდირებულ მიმართებებს. მაგალითად, ისეთი სიტყვები, როგორიცაა (ინგ.) *earlier, later, the preceding, the following, in the*

following weeks, during next month, in the next chapter/ (ქართ.) შემოწმებით, წინამორბედით, მომდევნო, მომდევნო კვირას, თვეს და სხვ. მიეკუთვნება დისკურსის დეიქსისს, რადგანაც მათი მნიშვნელობის დეკოდირება და ურთიერთობის დამყარება მოსაუბრება და მსმენელთან სწორედ თანამდევი დისკურსის საშუალებით ხდება.

სოციალური დეიქსისი გამოვლინდება მოსაუბრისა და მსმენელის მესამე პირთან ურთიერთობისას, უფრო კონკრეტულად კი, როგორც ლევინსონი (1983) განმარტავს, ენობრივი სისტემის ის ასპექტები, რომლებიც სათავეს იღებს მონაწილეთა სოციალურ იდენტობაში სამეტყველო აქტის დროს, ან მათ შორის, ან მათი სხვა მონაწილეებთან მიმართებით.¹ მაგალითისთვის, ქართულ ენაში მეორე პირის ნაცვალსახელი წარმოდგენილია ორივე – მხოლობითი და მრავლობითი ფორმით – შენ (მხოლ.) და თქვენ (მრავლ.), რომელთაგანაც, სოციალური ნორმებისა და შეზღუდვების გათვალისწინებით, მხოლობითი მიმართვა არაფორმალურ, არაოფიციალურ, ნაცნობ და უფრო მსუბუქ ურთიერთობას უსვამს ხაზს, მაშინ როცა, მრავლობითი, გარდა მისი მთავარი ფუნქციისა, მიმართოს ერთზე მეტ ადრესატს, ფორმალურ, უცნობ და უფრო ზრდილობიან მიმართვად მოიაზრება. ინგლისურ ენაში მეორე პირის ნაცვალსახელი მხოლოდ ერთი – მრავლობითი ფორმითაა გამოხატული – You (მრავლ.); შესაბამისად, მას ამგვარი სოციალური ნიუანსების გამოხატვა არ შეუძლია, თუმცა, ძველ ინგლისურში არსებობდა არქაული ფორმა *thee*, რომელიც გამოიყენებოდა იმავე სოციალური როლის აღსანიშნად, რომელიც აქვს ქართულ ნაცვალსახელს – თქვენ.

3. დეიქსისი ინგლისურენოვან რეკლამაში: კომპანიის Apple.Inc რამდენიმე რეკლამის ანალიზი

როგორც დამარტიმუნებელი ჟანრი, რეკლამა ამჟღავნებს იმპლიციტურობის მაღალ ხარისხს (ჯოჯუა, 2022). შესაბამისად, იმ მრავალფეროვან და მრავალწახნაგოვან ლინგვო-პრაგმატიკულ საშუალებებს შორის, რომლებსაც მარკეტოლოგები მიმართავენ თავიანთი პირდაპირი ზეწოლის დასაფარად, არაოფიციალური და უმუ-

¹ “those aspects of language structure that are anchored to the social identities of participants in the speech event, or to relations between them, or to relations between them and other referents” (ლევინსონი, 1983:63).



აღო ტონი კომუნიკაციის მეორე შხარეს მდგომი პოტენციული მყიდველის დარწმუნების საუკეთესო საშუალებაა (კუკი 2001). ასეთი სიახლოვისა და ინტიმურობის განცდა რეკლამაში ხმირად დიალოგის სახითაა რეალიზებული, რომელშიც ექსპლიციტურად სასურველი შინაარსია ჩადებული ასევე სასურველი სიტუაციის ფონზე. თუმცა აღსანიშნავია, რომ რეკლამაში მსუბუქი სასაუბრო სტილის მახასიათებლები მაშინ უფრო იგრძნობა, როდესაც მასში არა დიალოგური, არამედ მონოლოგური ტექსტობრივი პასაჟი, ანუ რეკლამის მოქმედი გმირის სიტყვა საკუთარი თავის, ან სხვა მოქმედი გმირ(ებ)ის ან მაყურებლისადმი მიმართული, ატარებს ძირითად კომუნიკაციურ ფუნქციას.

ამგვარი კომუნიკაციური აქტი რეალიზდება და შემდგომ დეკოდირდება მსმენელის მიერ ძირითადად დეიქსისის საშუალებით, რომელიც, როგორც რეფერენციის საშუალება, უნივერსალური ლინგვისტური თვისების მატარებელია და ყველა ენაში გამოვლინდება (ქართული ენა, ენციკლოპედია).

აქედან გამომდინარე, განვიხილავთ რამდენიმე ტექსტობრივ მაგალითს ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული თანამედროვე ამერიკული კომპანიის Apple.Inc სარეკლამო კამპანიის მონოლოგურ ტექსტობრივ პასაჟებს:

მაგალითი 1: Apple's "Here's to the Crazy Ones"/Think Different (1997) (<https://www.youtube.com/watch?v=tjgtLSHhTPg> ბოლოს ნანახია: ივნისი, 2024).

რეკლამაში ინტეგრირებული მონოლოგური ტექსტი:

"*Here's* to the crazy ones. The misfits. The rebels. The troublemakers. The round pegs in the square holes. The ones who see things differently. *They're* not fond of rules. And *they* have no respect for the status quo. *You* can quote *them*, disagree with *them*, glorify or vilify *them*. About the only thing *you* can't do is ignore *them*. Because *they* change things. *They* push the human race forward. And while some may see *them* as the crazy ones, *we* see genius. Because the people who are crazy enough to think *they* can change the world, are the ones who do."

¹ I said when asking a group of people to hold up their glasses and then drink as an expression of good wishes to someone or hope for the success of something

ტექნოლოგიების მწარმოებელი კომპანიის – Apple. Inc გენერიკული მოყვანილი ცნობილი მულტიმოდალური რეკლამის მონოლოგურ ტექსტში, რომელიც ვერბალურად არის გაუღერებული ე.წ. „ზედდა-დებული ხმის“ (ჯოჯუა, 2022) მიერ, გამოიკვეთა სივრცობრივი/ადგილის – (1) here და პირის დეიქსისი, კერძოდ, პირველი – (1) we, მეორე – (2) you და მესამე (10) – they/them პირის მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელები.

გამომდინარე იქიდან, რომ მოცემული დეიქტური ერთეულები გამოყენებულია რეკლამის დისკურსში, რომელიც „დაგეგმილია“ და არ ასახავს სპონტანურ ზეპირ კომუნიკაციას და, ბუნებრივია, მისი განხორციელების დროს ადგილზე არ არიან კომუნიკაციის კონკრეტული მონაწილეები – კონკრეტული ცოდნით ნაცვალსახელების აღსანიშნი სუბიექტების შესახებ, გამოკვეთილი დეიქსისის დეკოდირებისთვის აუცილებელია მულტიმოდალური დისკურსის ანალიზი. მოცემულ შემთხვევაში დიდ როლს ასრულებს ვიზუალური კადრები, რომელიც გაუღერებული ტექსტის პარალელურად გადის. ეკრანზე ჩანს კაცობრიობის ისტორიის ისეთი მნიშვნელოვანი ფიგურები, როგორიცაა აინტაინი, განდი, მოჰამედ ალი და სხვ. შესაბამისად, მოცემული დისკურსის უხილავი მონაწილეების გათვალისწინებით, მესამე პირის მრავლობითი ნაცვალსახელი **they/them** გარდა მაჩვენებელი ფუნქციისა ითავსებს განმაზოგადებელ, სიმბოლურ ფუნქციას და მიუთითებს არა კომუნიკაციური აქტის უხილავ მონაწილეზე, არამედ აბსტრაქტულად სამაგალითო პიროვნებებზე, რომლებიც ისტორიას ქმნიან.

იგივე ახსნა შეიძლება ჰქონდეს მეორე პირის ნაცვალსახელის You-ს გამოყენებას, რომელიც მიმართავს არა კონკრეტულ მოსაუბრებს, არამედ ზოგადად ადამიანებს, მაყურებელებს, რომელსაც ნაჩვენები სახალხო ფიგურების საქმიანობისა და იდენტობის შესახებ გარკვეული ცოდნა გააჩნიათ; ასევე სწამთ და იზიარებენ მათ სიდიადეს, ფასეულობებს და სხვ.

აქვე საინტერესოა პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელის, we -ს გამოყენება არა მისი პირდაპირი დანიშნულებით, მიუთითოს კომუნიკაციის ანუ რეკლამის ინიციატორებზე, არამედ შექმნას ადრესატ მსმენელთან მეტი სიახლოვე და გამონახოს საერთო ენა.



რაც შეეხება სივრცობრივი დეიქსისის here ფუნქციაზე მთხვევაში მისი გამოყენებაც პოლიფუნქციურია: 1) მასში რეალიზდება გადატანითი იდიომატური მნიშვნელობა (იდიომ. Here's to რაც, Cambridge Advanced Learners' Dictionary-ს მიხედვით, მიუთითებს კოლექტიურად საზეიმო ვითარებაში კონკრეტულ ადამიანებზე პატივის მიგებას და და მათი დამსახურების აღნიშვნას; 2) მსმენელის მოახლოებას საუბრის ცენტრთან, შესაბამისად, მოსაუბრებსმენელის მიერ გაზიარებული შეხედულებების, ფასეულობებისა და ცოდნის სიახლოების ხაზგასმას.

მაგალითი 2: "Designed by Apple in California" (2014)
<https://www.youtube.com/watch?v=170fh2mvog0> ბოლოს ნანახია ივნისი, 2024).

რეკლამაში ინტეგრირებული მონოლოგური ტექსტი:

"**This** is it. **This** is what matters. The experience of a product. How **it** makes someone feel. Will **it** make life better? Does **it** deserve to exist? **We** spend a lot of time on a few great things. Until every idea we touch enhances each life **it** touches. **You** may rarely look at **it**. But **you'll** always feel **it**. **This** is our signature. And **it** means everything."

მოცემულ მულტიმოდალური რეკლამის მონოლოგურ ტექსტი, რომელიც წინა მაგალითის მსგავსად ეწ. „ზედდადებული ხმის“ მიერ არის გაფლერებული, გამოვლინდა (3) სივრცობრივი/ადგილის-This, (1) პირველი პირის მრავლობითი- we, (2) მეორე პირის განუსაზღვრელი - you და მესამე პირის მხოლობითი - (6) It დეიქსისი.

როგორც მულტიმოდალური რეკლამის ქანრისთვისაა დამახასიათებელი, რეკლამის ტექსტით განხორციელებული კომუნიკაცია „დაგეგმილია“, არა სპონტანური და შესაბამისად, მასში გამოკვეთილი დეიქსისის ყველა შემთხვევა მხოლოდ დისკურსის ანალიზით დეკოდირდება. მოცემულ შემთხვევაშიც, წინა მაგალითის მსგავსად, დიდ როლს ასრულებს ვიზუალური კადრები, რომელიც გაფლერებული ტექსტის პარალელურად გადის. ეკრანზე ჩანს საკუთარი თავითა და ცხოვრებით კმაყოფილი ადამიანების ცხოვრების ამსახველი სხვადასხვა მომენტი, რომლებიც სწორედ რეკლამირებული კომპანიის პროდუქტის საშუალებით მიღწევა: ყურსასმენები მუსიკა, ტაბლეტები, ლეპტოპები, სმარტფონები თავიანთი ფოტო-აღმეჭდვის ფუნქციით და სხვ. თითეული მათგანის ასახვისთვის



გამოყენებულია ადგილის დეიქსისი – This და მესამე პირის მხრივი ლობითი რიცხვის ნაცვალსახელი it – ჩვენებითი ფუნქციით ვიზუალურ ცვალებად კადრებზე. თუმცა გარდა ამ ფუნქციისა, მოცემული დეიქტური სიტყვები იმავდროულად ტექსტის ჯაჭვურ კოპერენტულობასაც უწყობენ ხელს, მაგ., „*This* is our signature. And *it* means everything’ - it – რეფერენციით წინა სიტყვაზე – signature.

რაც შეეხება პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელებს, წინა მაგალითის მსგავსად, ნაცვალსახელი You მიმართულია არა კონკრეტულ მოსაუბრებზე, არამედ ზოგადად ადამიანებზე, მაყურებელზე, რომელსაც ნაჩვენები კადრები დადებით სენტიმენტებს ჰვირის გარკეცული გაზიარებული ცოდნის, რწმენისა და წინა გამოცდილების მეშვეობით.

აქვე საინტერესოა პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელის, **we-is** გამოყენება არა მისი პირდაპირი დანიშნულებით, მიუთითოს კომუნიკაციის ანუ რეკლამის ინიციატორებზე, არამედ, მოირგოს თანამოაზრე ადამიანების როლი ადრესატ მსმენელთან მეტი სიახლოვისა და საერთო ენის გამონახვის მიზნით.

4. დეიქსისი ქართულ რეკლამაში: ფარმაცევტული კომპანიების ჯიპისი და პე-ეს-პეს რეკლამის ანალიზი

მაგალითი 1: ფარმაცეპტული კომპანია ჯიპისის რეკლამა „ეს არის ჩემი სახე“ (2015) (<https://www.youtube.com/watch?v=Bqx0KtDrisI> ბოლოს ნანახია ივნისი, 2024)

რეკლამაში ინტეგრირებული მონოლოგური ტექსტი:

„**ეს** არის ჩემი სახე. **ეს** სახე ერთადერთია. არასდროს არსებობდა, და არც არასდროს იარსებებს. რადგან **ეს** სახე მხოლოდ ჩემია. **ეს** სახე არის, ვინც ვარ **მე** ჩემთვის, შენთვის, სხვისთვის. **ეს** სახე გიყვარს, როცა გიყვარვარ, და გძულს, როცა გძულვარ. ჩემი სახე **ჩემთვის** ყველაფერია და **ის** საუკეთესოს იმსახურებს. ჯიპისი. თქვენი სილამაზისთვის“

მოცემული მულტიმოდალური კოსმეტიკური საშუალებების რეკლამის „ზედდადებული ხმის“ მიერ გაუღერებული ტექსტი შეიცავს ადგილის დეიქსისს – (5) **ეს**, მხოლობითი რიცხვის პირველი პირის დეიქსისს – (1) **მე**, და მესამე პირის დეიქსისს – (1) **ის**, აღსანიშნავია, ზმნაში ჩაშენებული მეორე ობიექტური პირის ნიშანი –



გ- (გიყვარვარ, გ-ძულს) , რომელიც რეალურად მეორე პირის, მხრის ლობითი რიცხვის დეიქსისის ფუნქციას ასრულებს

ამათგან, ადგილის დეიქსისი წარმოდგენილია როგორც მაჩვენებელი ფუნქციით – **ეს არის ჩემი სახე და კვრანზე ვიზუალურად აქცენტირებული ადამიანის სახეზე აკეთებს რეფერენციას, ასევე განმაზოგადებელი/სიმბოლური ფუნქციით – ეს სახე ერთადერთა რომელშიც შეიძლება ვივარაუდოთ სახე – მეტონიმიურად, როგორც პიროვნების ინდივიდუალიზმის მაჩვენებელი. საინტერესოა მესამე პირის დეიქსისი – ის, რომელიც ანაცვლებს ადგილისას ერთ შემთხვევაში. ადგილის მიმახლოებელი დეიქსისისგან – **ეს – განსხვავებით, მოცემული ნაცვალსახელი აშორებს მსმენელს კომუნიკაციის ცენტრიდან. შესაბამისად, დისკურსულად, მისი გამოყენება, ნებისმიერი პიროვნების ინდივიდუალიზმის გამოხატვისა და ფსევდოაბიექტურობის შექმნის საშუალება უნდა იყოს.****

მაგალითი 2: ფარმაცევტული კომპანია პე-ეს-პეს რეკლამა: (<https://www.youtube.com/watch?v=GBjBCiOPTFs>)2015) ბოლოს ნანახია ივნისი 2024).

რეკლამაში ინტეგრირებული მონოლოგური ტექსტი:

„ისინი ცხოვრობდნენ ბედნიერად, სურდათ უკეთესი, სჯეროდათ გამართლების, და იცოდნენ, რომ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო, გასაოცარი, დაუჯერებელი, განუმეორებელი ემოციების დასაწყისი...“

პე-ეს-პეს საზაფხულო გათამაშების მოცემულ მულტიმიდალურ რეკლამაში „ზედდადებული ხმის“ მიერ გაუღერებული ტექსტი შეიცავს მესამე პირის მრავლობითი რიცხვის დეიქსისს – (1) ისინი, პოლიფუნქციურად: ა) **მაჩვენებელი ფუნქციით, რამდენადაც მითითეთებს კვრანზე გასულ კადრებზე აღბეჭდილ ბედნიერ წყვილებზე მათი ცხოვრების სხვადასხვა მნიშვნელოვან მომენტში და მათი სოციალური ცხოვრების სხვადასხვა მნიშვნელოვანი მომენტის აღსანიშნად და ბ) განმაზოგადებელი ფუნქციით, ანუ აღნიშნავს ყველა იმ ადამიანს, ვინც ბედნიერია და კარგ განწყობაზეა. აღსანიშნავია ზმნაში ჩაშენებული მესამე პირის მრავლობითი რიცხვის ნიშანი - ს-ათ (სურდათ, სჯეროდათ) და ნენ (იცოდნენ), რომლებიც რეალურად მესამე პირის მრავლობითი დეიქსისის ფუნქციას ასრულებენ.**

დასკვნა:

ამრიგად, წარმატებული ამერიკული და ქართული კომპანიების 4 რეკლამის დისკურსის ტექსტობრივი მასალის ღინგვო-პრაგმატიკული ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სამიზნე აუდიტორის დარწმუნების გაძლიერების მიზნით,

1. თითოეული მულტიმოდალური რეკლამის ტექსტი მონოლოგური ხასიათისა და მონოლოგურ ტექსტობრივ პასაჟში გამოიყენება სხვადასხვა ტიპის დეიქსისი სულ მცირე 5-ჯერ მაინც, რაც გამოწვეული უნდა იყოს იმით, რომ ამ ღინგვისტურ მოვლენას მაღალი კოპეზიური გამავლობა ახასიათებს. მონოლოგური ტექსტის გააზრებისთვის კი კოპეზიური საშუალებები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია;

2. ოთხივე გაანალიზებულ რეკლამაში, როგორც ინგლისურენოვანში, ასევე ქართულში, სხვადასხვა სიხშირით დასტურდება დეიქსისის შემდეგი ტიპები: **ადგილის/ სივრცობრივი და პირის, რომლებიც რეკლამის მულტიმოდალობიდან და მისი, როგორც დაგემილი დისკურსის ბუნებიდან გამომდინარე დისკურსის დეიქსისა-დაც გვევლინებიან.**

3. 2.1. **ადგილის დეიქსისი ორივე ენაში უმეტესად წარმოდგენილია ბოლიფუნქციურად:** ა) **მაჩვენებელი/მიმთითებელი ფუნქციით კონკრეტული მულტიმოდალური რეკლამის ვიზუალურ ელემენტზე; ბ) განმაზოგადებელი/სიმბოლური ფუნქციით, რომელიც მსმენელსა და მოსაუბრეს შორის კომუნიკაციის ცენტრს აახლოებს და სასურველი შედეგის მისაღწევად გაზიარებულ შეხედულებებს, ფასეულობებსა და ცოდნას ეყყარება.**

2.2. პირის დეიქსისი ორივე ენაზე შექმნილ რეკლამაში წარმოდგენილია როგორც მხოლობითი, ასევე მრავლობითი რიცხვით ბოლიფუნქციურად: ა) **მაჩვენებელი/მიმთითებელი ფუნქციით კონკრეტული მულტიმოდალური რეკლამის ვიზუალურ ელემენტზე; ბ) განმაზოგადებელი ფუნქციით, რომელიც მსმენელსა და მოსაუბრეს შორის სიახლოვისა და ინტიმურობის ფსევდოგანცდას ქმნის.**



2.3. პირის დეიქსისთან მიმართებით აღსანიშნავია, რომელიც გლისურისგან განსხვავებით, ქართულ ენაში, მისი ზმნის კომპლექსურობის გათვალისწინებით, ორივე შემთხვევაში გამოიკვეთა **ზმნა-ზი ჩაშენებული დეიქსისი; ანუ მეორე და მესამე პირის ნიშნების საშუალებით გამოხატული დეიქსისი (მაგ., გ-იყვარს, გ-ძულს, ხ-ჯრათ, იცოდ-ნენ), და არა ცალკეული დეიქტური სიტყვებით, რაც გამოწვეულია ქართული ზმნის განსხვავებიული, მოქნილი ბუნებითა და ქართული ენის სინთეზური სტრუქტურით.**

დასასრულს, უნდა აღინიშნოს, რომ ყველა განხილულ შემთხვევაში გამოიკვეთა პოლიფუნქციური დეიქსისი; მისი გამოყენება კი მიუთითებს რეკლამის მისწრაფებაზე იმპლიციტურობისა და პოლისემისადმი, რაც, როგორც ვნახეთ, რეკლამაში სოციო-კულტურული და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებით მანიპულირების გზით რეალიზდება. ამგვარი დაფარული მანიპულაციის საჭიროება კი გასაგებია მაშინ, როცა საზოგადოებაში რეკლამისადმი კვლავ არ-სებობს გარკვეული სკეპტიციზმი და სამიზნე აუდიტორიის დასარწმუნებლად მასზე პირდაპირი ზეწოლის შეფარვა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

ლიტერატურა

იული, ჯორჯ 1996 – Yule, George. Pragmatics. Oxford: Oxford University Press. 1996.

ლათონზი, ჯონ 1977 – Lyons, John. Semantics. Cambridge: Cambridge University Press. 1977.

ლევინსონი, სტივენ, კერტის 1983 – Levinson, Stephen, Curtis. Pragmatics. Cambridge: Cambridge University Press. 1983.

სტეიპლტონი, ანდრია 2017 – Stapleton, Andreea. (2017) Deixis in Modern Linguistics. Student Journal. University of Essex. DOI: <https://doi.org/10.5526/esj23> 2017.

ფილმორი, ჩარლზ 1997 – Fillmore, Charles. J. Lectures on Deixis. Stanford, CA: CSLI Publications. 1997.

ჯოჯუა, ნინო 2022 – რიტორიკული და ლინგვისტური განზომილებები რეკლამის დისკურსში. (ინგლისურენოვანი და ქართული



სატელევიზიო რეკლამის კვლევაზე დაყრდნობით); მონოგრაფია გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, ISBN 978-9941-33-313-2 2022.

ემპირიული მასალა

<https://www.youtube.com/watch?v=tjgtLSHhTPg> მასალა უკანას-კნელად გადამოწმდა:: ივნისი, 2024.

<https://www.youtube.com/watch?v=170fh2mvogU> მასალა უკანას-კნელად გადამოწმდა: ივნისი, 2024.

<https://www.youtube.com/watch?v=Bqx0KtDrisI> მასალა უკანას-კნელად გადამოწმდა: ივნისი, 2024.

<https://www.youtube.com/watch?v=GBjBCiOPTFs> მასალა უკანას-კნელად გადამოწმდა: ივნისი 2024.

NINO JOJUA

Deictic Strategies in Multimodal Advertising

Summary

Due to its relevance in many aspects of modern life, advertising has become the subject of extensive research from multiple perspectives. Researchers focus on some general linguistic peculiarities (morphological, semantic, syntactic) of the genre in question with the purpose of revealing strategies commonly employed by the advertisers to exercise persuasion. Against this background, deixis, a linguistic phenomenon deeply rooted in context and the communicants' shared knowledge, can serve as a powerful tool in advertising to enhance persuasion. Due to its nature to set the time and place as well as to display the relationship between the members involved in communication (the message sender and the receiver), deixis can be an effective means for influencing the

target audience through creating the atmosphere of familiarity, closeness and privacy, thus largely adding to the assumptions that successful advertising in many cases adopts the features of spoken discourse and resembles the conversation between the interlocutors (Jojua, 2015).

Therefore, this paper examines and discusses the use of deixis in several English and Georgian advertising texts, namely, the advertising texts of one of the most famous American companies in the world - Apple. Inc. and popular Georgian Pharmaceutical companies -GPC and PSP, with the aim to identify, interpret and compare deictic words and strategies which are reasonably employed by the advertisers to create targeted advertising that resonates with specific audiences.

Deixis is a linguistic concept that refers to the way in which speakers and writers indicate the referents of their utterances by using words and expressions that are relative to the particular context of communication.

Deictic words are used to indicate the speaker's or writer's perspective, the time and place of the speech act, the addressee, and the things being talked about. They also serve to mark the speaker's attitude towards the information being communicated.

Deictic words are often used in advertising to create a sense of intimacy and trustworthiness. For example, the word "you" is commonly used in advertisements to address the target audience directly, making them feel like they are part of the product or service. This can help to establish a connection with the consumer and make them more likely to purchase the product.

Deictic words can also be used to create a sense of exclusivity or prestige. For example, the word "we" is often used in advertisements to refer to the company or brand, suggesting that the product or service is unique and special.

Deictic words can also be used to create a sense of social responsibility or concern for the environment. For example, the word "our" is often used in advertisements to refer to the company's commitment to environmental sustainability and social responsibility.

Deictic words can also be used to create a sense of humor or fun. For example, the word "you" is often used in advertisements to refer to the consumer in a playful and lighthearted way, suggesting that the product or service is meant to be enjoyed and used for fun.

Deictic words can also be used to create a sense of nostalgia or怀旧感. For example, the word "old" is often used in advertisements to refer to the company's history and tradition, suggesting that the product or service has been around for a long time and has a rich history.

მოგონებათა ზოგნიდან

გიორგი გოგოლაშვილი

კანონი ჰართული ენის გესახებ

(იდეიდან დაწონამდე. ფაქტები. მოვლენები...)

(მეოდე საუკუნის ბოლო ათწლეული. იდეა ენის კანონის შექმნისა. წინააღმდეგობანი. მოვლენათა განვითარების ქრონოლოგია. „საქართველოს კანონი სახელმწიფო ენის შესახებ“. ისევ წინააღმდეგობები. „კანონი გვაქვს და... არა გვაქვს“...)

ჩვენში რეალურად საუბარი ენის კანონის შექმნაზე მე-20 საუკუნის 90-იან წლებში იწყება. 1991 წელს გაირკვა, რომ „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამამ“ ფაქტობრივ არსებობა შეწყვიტა. მაშინ დაისვა ეს საკითხი: ქართული ენის ინტერესების დაცვას საკანონმდებლო გარანტიები სჭირდებოდა.

არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ინიციატივით კონსულტაციისათვის მოვიწვიეთ იურისტი თედო ნინიძე (იმქამად პარლამენტის წევრი).

თედოს სტუდენტობიდანვე კარგად ვიცნობდი, ვმეგობრობდით. ამ ფაქტმა გაადვილა ჩვენი თანამშრომლობა.

რამდენჯერმე გვეწვია ინსტიტუტში თედო ნინიძე. მისი საუბრებიდან ბევრი რამ ჩვენთვის სიახლე იყო: ენობრივი პოლიტიკა დემოკრატიულ საქართველოში, ქართული ენის სტატუსი პირველ კონსტიტუციაში; ევროპის მოწინავე ქვეყნების გამოცდილება და სხვა...

მერე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება აირია... ხელისუფლება შეიცვალა. ზვიად გამსახურდიამ საქართველო დატოვა... ედუარდ შევარდნაძე დაბრუნდა და დაიწყო დამოუკიდებელ საქართველოში „შევარდნაძის ეპოქა“...



და კიდევ ერთი სამწუხარო ამბავი: 1993 წლის 10 მაისს
გარდაიცვალა ბესიკ ჯორბენაძე – „ენის კანონის“ იდეტს პლატფორმულების თავკაცი...“

საბედნიეროდ, ენის კანონის იდეა არ მომვდარა. იუსტიციის სამინისტრომ განაგრძო მუშაობა ამ კანონზე...

1994 წელს გაიმართა „ენის კანონის“ პირველი ოფიციალური განხილვა სამთავრობო დონეზე. თედო ნინიძემ (იმჟამად უკვე იუსტიციის მინისტრმა) გაიტანა კანონპროექტი მთავრობის სხდომაზე...

ამბად ვიცი, რომ სხდომას მშვიდად არ ჩაუვლია. იუსტიციის სამინისტროს დაევალა, გაეგრძელებინა მუშაობა კანონზე...

ასე რომ, კანონპროექტი ენის შესახებ არსებობს...

შენიშვნა: კანონი სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა მიმართულებით მუშავდებოდა. ერთ პერიოდში იყო საუბარი „სახელმწიფო ენის კანონზე“; შემდეგ საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდში მიმდინარეობდა მუშაობა „ენის სახელმწიფო კანონზე“; საბოლოოდ გადაწყვდა და მიღებული იქნა „სახელმწიფო ენის კანონი“. ამ ნარკვევში სიმოკლის-ათვის ვიხმარ ტერმინად „ენის კანონს“... ამ შენიშვნაში მითითებული ცვლილებები გავითვალისწინოთ...

იმავე 1994 წელს პარლამენტში განიხილეს კანონპროექტი. ინიციატორი იყო ქართული ენის ქვეკომიტეტი (თავჯდომარე მანანა გიგინეიშვილი). სხდომას სერიოზული ხასიათი იმითაც მისცეს, რომ პლენარულ სხდომათა დარბაზში ჩატარდა...

კანონპროექტის წინააღმდეგ ვრცელი სიტყვა თქვა კოტე გაბაშვილმა. კოტე ფილოლოგია – აღმოსავლეთმცოდნე და ამ გამოსვლაში შეაერთა თავისი ლინგვისტური ცოდნა და პოლიტიკური ინტერესები... კოტე გაბაშვილს ჰყავდა მხარდაჭერები...

ეს ის დროა, ვინც ხმამაღლა იტყვის სათქმელს და მკვეთრი ეპითეტებით შეამკობს ოპონეტს. სიმართლეც „იმის მხარესაა“...

სხდომაზე ენის კანონის არსებობის საჭიროებაზე არგუმენტირებულად ისაუბრა ლევან ღვინჯილიამ (იმჟამად ტელე-რადიო კომიტეტი) ურთ-ერთი ხელმძღვანელი).

მომხრეთა მხარეს მეც მომიხდა გამოსვლა.

ვფიქრობდი და ვფიქრობ, რომ იმ სხდომაზე გამოთქმული მხარდამჭერი არგუმენტები კანონის მომხრეთა მიერ უფრო დამაჯერებელი იყო, ვიდრე მოწინააღმდეგეთა....

მოგვიანებით საჭიროდ მივიჩნიე ამ სხდომაზე გამოთქმული თვალსაზრისი კანონის საჭიროების შესახებ დაფიქსირებულიყო და ამიტომაც ლევან ღვინჯილიასთან ინტერვიუ გავაკეთე და ჟურნალში „ბურჯი ეროვნებისა“ გამოვაჭვეყნე 1998 წლის მე-5 ნომერში. ამ ინტერვიუს აღების დროს ლევანი უკვე „ენის პალატის“ თავმჯდომარეა. საკმაოდ ვრცელი საუბრიდან აქ მოვიყვან იმ მონაკვეთს, ენის კანონს რომ შეეხება.

ვსაუბრობთ საკითხზე – ენობრივ ნორმას აქვს თუ არა კანონის ძალა; ამ თემაზ მიგვიყვანა „ენის კანონის“ პრობლემასთან.

გ. გ. – ბატონო ლევან, ჩვენს კომისიაზე დაისვა ეს საკითხი და იქნებ აქვე განმარტოთ, ნორმათა კომისიის დადგენილებაში მიღებულ ნორმებს რა იურიდიული ძალა აქვს; როგორია თქვენი პასუხისმგებლობა მათ შესრულებაზე?

ლ. ღ. – სამართლებრივი თვალსაზრისით ამ კომისიის დადგენილებებს ის ძალა აქვს, რა ძალაც ჰქონდა ქვეყნის პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილ აქტს. თუ არ არსებობს სხვა საკანონმდებლო აქტი.

გ. გ. – მე რა მაინტერსებს: კომისიამ მიიღო ნორმა სალიტერატურო ენის კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით; ამ ნორმას აქვს თუ არა კანონის ძალა; მის დარღვევაზე პასუხისმგებლობის საკითხი დგას თუ არა?

ლ. ღ. – სამწუხაროდ, იურიდიული თვალსაზრისით მას კანონის ძალა არა აქვს; ამ ნორმის დარღვევისათვის რომ ვინმეს ვუჩივლით სასამართლოში, პროცესს ვერ მოვიგებთ.

გ. გ. – მაშ, რისთვის გვჭირდება ისეთი ნორმა, რომელიც არ იქნება სავალდებულო შესასრულებლად და რომლის შეუსრულებლობის უფლება ექნება ნებისმიერს?

ლ. ღ. – ეს არის პროფესიონალთა, ექსპერტთა გადაწყვეტილება. ამ გადაწყვეტილების დამკვიდრებისათვის არის საჭირო ორგანული კანონი. თუ ენის კანონში იქნება ასახული (და, ვფიქ-

რობთ, რომ უნდა იყოს), რომ ამ კანონის მიერ მიღებული ჲსალი ტერატურო ენის ნორმების გამოყენება ენის მოხმარების ამა და ამ სფეროში არის აუცილებელი, მაშინ მისი არგამოყენება იქნება სამართალდარღვევის ფაქტი. ამიტომ არის აუცილებელი, რომ არსებობდეს კანონი ენის შესახებ.

გ. გ. – როგორ უნდა შეიქმნას, ვინ უნდა დაამუშაოს ეს კანონი?

ლ. ღ. – მოგეხსენებათ, საკანონმდებლო ორგანო არის პარლამენტი და მისი ნებისმიერი სტრუქტურა, უპირველეს ყოვლისა, მოწოდებულია კანონშემოქმედებითი საქმიანობისათვის. პარლამენტი არის სახელმწიფო ენის ქვეკომიტეტი, რომელსაც, როგორც აღვნიშნეთ, სათავეში უდგას ქ-ნი მანანა გიგინეიშვილი. ეს ქვეკომიტეტი არის შემადგენელი ნაწილი საპროცედურო საკითხთა კომიტეტისა (თავმჯდომარე პარლამენტარი როსტომ დოლიძე).

გ. გ. – სახელმწიფო ენის ქვეკომიტეტი მეცნიერების, განათლებისა და კულტურის კომიტეტში არ უნდა შედიოდეს?

ლ. ღ. – რატომდაც ასეა. ჩემი აზრით, უპირველესი დანიშნულება ამგვარი სტრუქტურული ერთეულისა უნდა იყოს კანონშემოქმედებითი საქმიანობა, ანუ ხელშეწყობა ენის სფეროში სახელმწიფო ენის დამკვიდრებისა და მისი სტატუსის გამტკიცებისა შესაბამისი კანონების შექმნით.

გ. გ. – ბატონო ლევან, თქვენ გახსოვთ ალბათ, პარლამენტში ქართული ენის ქვეკომიტეტის გაფართოებულ სხდომაზე ბატონმა კოტე გაბაშვილმა ბრძანა, რომ არ არის საჭირო კანონი ენის შესახებ. რას ბრძანებდით ამის თაობაზე?

ლ. ღ. – პირველყოვლისა, მინდა პრინციპულად განსხვავებული თვალსაზრისი გაგიზიაროთ. საქართველოში ეს კანონი არის აუცილებელი. როდესაც საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გერმანიაში, ბატონო კოტე გაბაშვილი ბრძანებს, რომ ჩვენში არ არის საჭირო ასეთი კანონი, მას შესაბამისი მაგალითები მოჰყავს ამის საბუთად, მაგრამ უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება ამის საპირისპიროდ. არის მრავალი ქვეყანა, სადაც სანიმუშო დონეზეა აყვანილი კანონშემოქმედების სფერო ენის საკითხში.



გ. გ. – თუნდაც ფრანგული მაგალითი. ჩვენ ამის თაშროებული ვწერდით კიდეც ჟურნალის წინა ნომრებში.

ლ. ღ. – საფრანგეთზე რომ არაფერი ვთქვათ, ძალიან მნიშვნელოვანი აქტები აქვთ გამოცემული ამ თვალსაზრისით ბალტისპირეთის სამივე რესპუბლიკას. არა მხოლოდ ზოგადი კანონი ენის შესახებ, არამედ იქ კანონებითვეა განსაზღვრული უცხოენოვან მოქალაქეთა დამოკიდებულება სახელმწიფო ენისადმი. ვთქვათ, რა დონის მოხელეს რა ცოდნა მოეთხოვება სახელმწიფო ენისა; მათ მიერ ქვეყანაში თანამდებობის დაკავებისას აუცილებელია გამოცდის ჩაბარება სახელმწიფო ენაში. ამისთვის საკანონმდებლო აქტებია შექმნილი: როგორ უნდა ჩატარდეს გამოცდა. ვინ უნდა ჩაიბაროს ეს გამოცდა. რა დოკუმენტი უნდა მიეცეს მას და ა. შ. ცალკე მსჯელობის საგანი შეიძლება ეს სფერო იყოს. ძალიან კარგი კანონი აქვს ენის შესახებ გამოცემული აზერბაიჯანს. მე არაერთგზის მითქვამს და გავიმეორებ: ვნატრობ, საქართველომ იმ დონის კანონი გამოსცეს, როგორიც აზერბაიჯანს აქვს გამოცემული. ელჩიბეის პრეზიდენტობის დროს არის ეს კანონი მიღებული და მოქმედებს დღესაც, არავის არ გაუუქმებია. ამგვარი კანონები არის შექმნილი კანადაში, საბერძნეთში, ესპანეთში, იტალიაში. ენობრივი ურთიერთობები კანონების დონეზეა მოგვარებული შვედეთში, შვეიცარიაში... ერთი სიტყვით, ბევრ ქვეყანაში ამის პრაქტიკა არსებობს. შეიძლება მსგავსი აქტები არ გამოუცია კანონმდებლობის დონეზე ამერიკას, რომელსაც ჩვენ ხშირად ვხამავთ ხოლმე რაღაც-რაღაცებში, მაგრამ, ჩვენ უნდა ამოვიდეთ ჩვენი ქვეყნის მდგომარეობიდან; რა გვჭირდება ჩვენ არა ის, რა სჭირდება და რა ხდება ამერიკაში.

გ. გ. – ცხადია, ამერიკის მაგალითი ან რომელიმე სხვა ქვეყნის მაგალითი ჩვენ არ გამოგვადგება, იმიტომ რომ ჩვენ მცირერიცხოვანი ერი ვართ. მოგეხსენებათ, მცირერიცხოვან ერთა ენობრივი პრობლემები გაცილებით უფრო მძიმეა და რთული, ვიდრე დიდი ერებისა...

ლ. ღ. – თუ გნებავთ დიდ ერზეც მოგახსენებთ: განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს ენობრივი საკითხებისადმი ირანს, თუმცა, ამის პასუხად მეუბნებიან, რომ ირანი პოლიტიკური ორიენტაციის თვალსაზრისით ისეთი ქვეყანაა, რომელიც ამერიკას არ



ცნობს, იქ გართულებებია და ირანი ამას საგანგებოდ უკუთხებს როცა ვამბობთ, რომ ასევე უდგება საკითხს საბერძნეთი, ამბობენ, რომ საბერძნეთი არ არის მთლად ხელსაყრელი მაგალითი: არ ვიცი, რატომ. როცა ვამბობთ, რომ საფრანგეთს აქვს ამგვარი დამოკიდებულება ენის მიმართ, ოპონენტი ამბობს, რომ საფრანგეთი უფრო კონსერვატიული ქვეყანაა და მისი მაგალითი არ გამოდგება: კანადის მაგალითს როცა მოვიყვანთ, იქ კვებეკის სეპარატიზმზე საუბრობს ოპონენტი.

ბ. ბ. – ერთი სიტყვით, ოპონენტი ყოველთვის მოძებნის მიზეზს, რომ ჩვენში არ შეიქმნას კანონი ენის შესახებ, არ გვქონდეს ეს კანონი....

ლ. ღ. – არადა, ყველაზე მეტად ჩვენ გვჭირდება ეს კანონი. იმიტომ რომ, საქართველოში ძალიან მძიმე სურათია შექმნილი ე.წ. ეროვნულ უმცირესობებთან ურთიერთობის თვალსაზრისით, რადგან დღეს საქართველოს მოქალაქეთა დიდ ნაწილს ველაპარავებით უცხო ქვეყნის ენაზე.

გ. გ. – არც სახელმწიფო ენაზე და არც მათ მშობლიურ ენაზე.

ლ. ღ. – დიახ, რუსულად. მე ხშირად მიწევს კონტაქტები ქვემო ქართლის რაიონებთან და როცა დავრეკავ, ჩვეულებრივ, რუსულად უპასუხებენ. ქართული არ ესმით, ან ძალზედ უჭირთ.

ჩვენი საუბარი აქ არ დამთავრებულა, დიხანს გაგრძელდა. უურნალის ამ ნომერში აქ შევწყვეტით დიალოგს ამ საინტერესო საკითხებზე. ჩვენი საუბრის გაგრძელებას მომდევნო ნომერში შემოვთავაზებთ.

* * *

ვთქვით, 1994 წელს გაიმართა ენის კანონის პირველი ოფიციალური წარდგენა სამთავრობო დონეზე....

1995 წელს შეიქმნა საქართველოს პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო კომისია. კომისიას ედუარდ ემვარდნაძე თავმჯდომარეობდა, ენის კანონი „განსახილვებლად“ მას გადაეცა....

1997 წელს შეიქმნა ენის სახელმწიფო პალატა და ენის კანონს ახალი მზრუნველი გამოუჩნდა.

ენის კანონის წარმატებისათვის ზოგჯერ საჭირო იყო აზრის „გაოფიციალურება“. თამაზ ხმალაძე (რადიოგადაცემით „ენაი შე-

მკული და კურთხეული“) და იოსებ ჭუმბურიძე (გაზეთი „თბილისია სი“) იყვნენ ამ საქმის დიდი გულშემატკივრები.

„ჩანაწერების“ მნიშვნელობას ვანიჭებ ამ პუბლიკაციას, რომელიც იოსებ ჭუმბურიძემ გაზეთ „თბილისში“ დაბეჭდა (№14, 2002 წ.). პუბლიკაცია გადაიბეჭდა ჟურნალში „ბურჯი ეროვნებისა“ (№1-2, 2002 წ.) გთავაზობთ სრულად მასალას გაზეთ „თბილისი-დან“.

ნუ დავაბნევთ მსმენელს, ანუ აჩქარება წელიწადში ერთხელ?

საქართველოს ტელევიზიის პირველი არხით შოუპროგრამა „რას ფიქრობს ხალხი“ 2002 წლის 25 იანვარს ქართული ენის პრობლემებზე მსჯელობას დაუთმო. გადაცემაში სხვებთან ერთად მონაწილეობდა ჟურნალის „ბურჯი ეროვნებისა“ მთავარი რედაქტორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი გოგოლაშვილი. მატონი გიორგი ის პირველმა, ვისთვისაც ქართული ენა ყველაზე დიდი ავტორიტეტია და მის პრობლემებზე ყოველთვის მწვავედ და მოურიდებლად საუბრობს. თუმცა ხსენებულ გადაცემაში ამის საშუალება არ მიეცა.

(№14 (19576) 2002 წ.)

– ზატონო გიორგი, აშკარად ჩანდა, რომ სათქმელი ვერ თქვით. მაინც რის თქმას აპირებდით?

– მართალია, სტუდიაში ვიჯექი, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ გადაცემაში ვმონაწილეობ და ი. მხოლოდ ერთი რეპლიკის საშუალება მომეცა, ისიც – სანახევროდ. ჩანს, ასე იყო და გეგმილი. მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარი ისაა, რომ ასეთი მტკივნეული და სადავო საკითხები პროფესიონალებმა უნდა განიხილონ. დარბაზს რომ გადავხედე, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ზევრი ადგილების შესავსებად იყო მოწვეული, ძველი, საბჭოური მეთოდი.

– თქვენი რეპლიკა ასეთი იყო: „ნუ დავაბნევთ მსმენელს, სიმართლე ვუთხრათ“. მაინც რა არის ეს სიმართლე?



– ამ შეკითხვას მოკლედ და ერთმნიშვნელოვნად ვერ ცუბანა სუხებთ. მაგალითად, დაისვა შეკითხვა: გვაქვს თუ არა ქართული საალიტერატურო ენის ნორმები? ამ კითხვას მარტივი პასუხი აქვს. რა თქმა უნდა, გვაქვს, და ეს იცის ყველამ, ვისაც საშუალო სკოლის პროგრამა გაუვლია. მაგრამ არ გვაქვს მექანიზმი, რომლითაც ამ ნორმების დაცვას გავაკონტროლებდით. სხვაგვარად: არა გვაქვს საკანონმდებლო აქტი, რომელიც სახელმწიფო ენის მიმართ ჩვენს იურიდიულ პასუხისმგებლობას განსაზღვრავდა.

– ენის შესახებ კანონს გულისხმობთ?

– მოდით, ასე ვთქვათ: კანონი იქნება ეს, თუ სხვა სახის სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც საქართველოს მოქალაქის პასუხისმგებლობას განსაზღვრავდა სახელმწიფო ენის მიმართ.

– კი, მაგრამ სსენებული გადაცემა ხომ არსებითად ქართული ენის შესახებ კანონზე, უფრო სწორად, კანონ-პროექტზე მსჯელობას მიეძღვნა. „მთავარი მონაწილენიც“, უდავოდ, ამ პრინციპით იყვნენ შერჩეულნი: ლევან ღვინჯილია – ენის სახელმწიფო პალატის თავმჯდომარე (ეს კანონ-პროექტი სწორედ პალატამ მოამზადა), გუჩა კვარაცხელია – ქართული ენის სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე (აქ ეს კანონ-პროექტი რამდენჯერმე განიხილეს), მანანა გიგინეიშვილი – პარლამენტის ქართული ენის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე (ქვეკომიტეტში ამჟამად დევს განსახილველად კანონ-პროექტი), გურამ შარაძე – პარლამენტარი (რომელიც დაჟინებით მოითხოვს კანონპროექტის განხილვას და მიღებას).

– დიახ, გადაცემა ამ მიმართულებით წარიმართა და ძირითადი კითხვაც ეს იყო: გვჭირდება თუ არა კანონი ენის შესახებ.

– სიმართლე სადღა იმაღებოდა?

– იმის მტკიცებაში, თითქოს, ჩვენში არსებული რთული ვითარების გამო ამ კანონის მიღება ნაჩქარევი იყოს.

ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების წერილი ჩაიკითხეს. სწორედ ისინი გვირჩევდნენ, არ ავჩქარებულიყავით... რას ნიშნავს ნაჩქარევად მიღებული კანონი? ეს კანონპროექტი ხუთი წლის წინათ გამოჩნდა ასპარეზზე. იუსტიციის სამინისტროში მომზადდა, პირველად მთავრობის სხდომაზე იქნა განხილული (1994 წ.), მერე საჯარო განხილვაზე – ქართული ენის სახელმწიფო კომისიის სხდომაზე – 1998 წლის 4 აპრილს იუსტიციის მინისტრ-



მა წარმოადგინა. სხდომას ბატონი ე. შევარდნაძე თავმჯდომარებული მობდა. მოდით, თვალი გადავავლოთ ამ კანონპროექტის განხილვის ისტორიას და მერე დავასკვნათ, ვჩქარობთ, თუ საკითხს არა-სერიოზულად ვეკიდებით. 1998 წლის 4 აპრილს ითქვა, კომისიის წევრები ორი კვირის მანძილზე გასცნობოდნენ ამ პროექტს, ავტორებს გაეთვალისწინებინათ გამოთქმული შენიშვნები და უახლოეს ხანში კვლავ განხილულიყო კომისიის სხდომაზე...

კომისიის მომდევნო სხდომა კი... 1999 წლის 13 აპირილს გაიმართა (?!). სხდომას კვლავ პრეზიდენტი თავმჯდომარებდა. პროექტი სხდომას ენის სახელმწიფო პალატის თავმჯდომარებ წარუდგინა. კვლავ შენიშვნები, კვლავ „უახლოესი დროისათვის“ გადადება და კვლავ ერთი წლის შემდეგ ჩატარებული სხდომა (ამ-ჯერად სახელმწიფო მინისტრის მოადგილე თ. ისაკაძე-თავმჯდომარებდა)... საკითხის ისევ „უახლოესი პერიოდისათვის“ გადადება და ისევ მომდევნო წელს გამართული სხდომა...

კანონ-პროექტი მეოთხედ 2001 წლის 12 აპრილს განვიხილეთ ქართული ენის სახელმწიფო კომისიის სხდომაზე. ყველაფერი ნაცნობი სცენარით წარიმართა...

– აპრილში კანონის განხილვა, ალბათ, ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებაა...

– არა მგონია, ვცდებოდე: ეს იყო ღონისძიება ღონისძიებისათვის... ასე შეიძლებოდა უსასრულოდ გაგრძელებულიყო და გრძელდება კიდეც... ენის სახელმწიფო პალატამ მოახერხა ის, რომ კანონ-პროექტი პრეზიდენტმა პარლამენტს წარუდგინა და ქ-ნი მანანა გიგინეიშვილის ინიციატივით პარლამენტართა ერთმა ჯგუფმა წერილით მიმართა პრეზიდენტს, უკან გაეთხოვა ეს კანონი პარლამენტიდან...

– ამის საფუძველი რა იყო?

– მოდით, მე ჩავიკითხავ ადგილებს ქ-ნი მ. გიგინეიშვილის ინტერვიუდან (გაზეთი „ახალი ეპოქა“, №100, 2001 წ.): „ეუთოს წარმომადგენელთა აზრით, კანონპროექტი ძალიან დასახვეწია“, კანონპროექტი პირველად იუსტიციის მინისტრმა წარადგინა; ყველა განხილვაზე დადებითი დასკვნა ახლდა იუსტიციის მინისტრის ხელმოწერით... გამოდის რომ, თუ „ძალიან დასახვეწია“, ძალიან ცუდად გვქონია საქმე იუსტიციის სამინისტროში... საერ-



თოდ, კანონპროექტს გაეცნო ყველა დაინტერესებული ორგანიზაციის მიერთოდა... თურმე, „ეუთო გვთავაზობს ახალი ჩარჩოკანონის შემუშავებას, საკუთარი ექსპერტების დახმარებას“... დავიჯერო, ჩვენ არ შეგვწევს ძალა, ასეთი კანონი შევქმნათ? იქვე ქ-ნი პარლამენტარი ასეთ საკითხს სვამს: „ენის პალატის კანონპროექტში წერია, რომ საქართველოს ყველა მოქალაქე ვალდებულია, ქართული იცოდეს. ფაქტია, თითქმის ერთმა მილიონმა ჩვენმა მოქალაქემ ენა არ იცის! მათ რას ვეუბნებით?“ კითხვის ასე დასმა ამ კანონპროექტზე საერთოდ უარის თქმაა. ეუთო რომ კანონს დაგვიწერს, ის რას ეტყვის ამ მილიონ მოქალაქეს? თუ – ვერაფერს, მაშინ ის კანონიც არ ივარგებს, ამ ლოგიკით; თუ რამეს ეტყვის – ახლა გვითხრას, გვასწავლოს...

– ბატონო გიორგი, არაქართულენოვანი მოსახლეობის საკითხი რომ პრობლემურია, ესეც ხომ ფაქტია?...

– კი, ბატონო, მაგრამ მსგავსი პრობლემები არ იდგა სხვა სახელმწიფოების, ვთქვათ, ბალტიისპირეთის ქვეყნების წინაშე? როგორ მოაგვარეს მათ? ენის კანონი ელჩი-ბეის პრეზიდენტობისას მიიღეს აზერბაიჯანში... ეროვნულ უმცირესობათა სათვისტომოების წარმომადგენლების წერილი, რომელიც ქალბატონმა მანანა გიგინეიშვილმა იმ გადაცემაში ჩაიკითხა, გვაფრთხილებდა, ასეთი კანონის მიღება ემიგრაციას გაზრდისო... არაქართულენოვანი მოქალაქე თუ თავის ეთნიკურ სამშობლოში დაბრუნდება, ამას ემიგრაცია არ ჰქვია... თუ სხვა ქვეყანაში წავა, იმ ქვეყნის სახელმწიფო ენის ცოდნა არ დასჭირდება? რომელი ქვეყანაა ასეთი? რას ნიშნავს ეს მუქარა?

სამწუხაროდ, ამ წერილში კანონპრეოქტის ბოლო განხილვისას კომისიაზე გამოთქმული შენიშვნები გამახსენდა... დიახ, ეს წერილი შეკვეთილია... და კიდევ: ტელეგადაცემაში ზ. ხალილოვმა თქვა, ეს კანონი ეთნოკონფლიქტების წარმოქმნას შეუწყობს ხელსო და მაგალითად ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა მოიყვანა (1989 წელს რომ დამტკიცდა) – ამ პროგრამამ წარმოშვა ისეთსა და აფხაზეთში კონფლიქტებით. ეს აზრიც ერთ-ერთმა ქალბატონმა ბრძანა ენის კომისიის სხდომაზე... სხდომაზეც და გადაცემაშიც ლ. ღვინჯილიამ სწორად უპასუხა, მაგრამ ფაქტია, ამგვარი აზრის განვითარებას ვიღაც მართავს... „ახალი ვერსიის“

მეოთხე ნომერში გ. ნოდია გვარწმუნებს: „ნეგატიურ შედეგს უსიკვდავ“ ნონი ნამდვილად გამოიწვევს, ამის სრულ გარანტიას გაძლევთ... რას ნიშნავს „სრული გარანტია“? რის „სრული გარანტია“ გვაქვს, ამის „სრულ გარანტიას“ რომ გვაძლევს გ. ნოდია?

და, საერთოდ, ძალზე საეჭვოდ დაემთხვა ეს გადაცემა და გ. ნოდიას პუბლიკაცია... ღმერთმა ქნას, ვცდებოდე... ნოდიას წერილი საგანგებო მსჯელობის თემაა. საერთოდ, მომაბეზრებელი გახდა ყველაფრის მცოდნეთა და ყველაფრის ექსპერტთა შეგონებანი. მით უმეტეს, როცა ანბანურ ჭეშმარიტებას ფილოსოფიად ნათლავენ და ჩვენ, მათი სიტყვებით რომ ვთქვათ, „პატრიოტულ ლოზუნგებს ამოფარებულ ანტიეროვნულ ძალებს“, ჭკუას გვასწავლიან, თითს გვიქწევენ და „საერთამორისო დონეზე“ შერცხვენით გვემუქრებიან...

– ბატონო გიორგი, გ. ნოდია ხსენებულ ინტერვიუში ამბობს: „საზოგადოდ, ადამიანის უფლებაა, იყოს უნიჭო, ზარმაცი, გაუნათლებელი, სულელი, გონებაჩლუნგი“... განა, ამ უფლებას ვინმე ართმევს?

– რა თქმა უნდა, არავინ; იყოს, ვინ უშლის, ოღონდ ჩვენ დაგვანებოს თავი! ისევ გადაცემას დაუუბრუნდეთ. იმ ტელეგადაცემით შეურაცხყოფილი დავრჩი: როცა ყმაწვილი არნოლდ სტეფანიანი ჭკუას გვარიგებდა, დაანებეთ ქართული ენის დაფინანსებაზე ფიქრს თავი და ჯარს მოახმარეთ ის თანხაო... ანდა ზაურ ხალილოვი მენტორული ტონით რომ გვიხსნიდა, რატომაა ცუდი ენის კანონის მიღება... როცა შეეკამათნენ, განაწყენდა, სიტყვა დამამთავრებინეთო და დაამთავრებინეს... იურისტების, ენის სპეციალისტების ამდენი ხნის შრომა ერთი ხელის მოსმით ჩაგვიყარეს წყალში ბატონებმა სტეფანიანმა და ხალილოვმა!... მაგრამ, თურმე, ასეა საჭირო... ეს მარტივად დაგეგმილი თამაში, უნიჭოდ დადგმული სკეტჩია. სუფლიორიც ნაცნობია...

– და მაინც, რა ელის კანონს? გვექნება ოდესმე?

– წინა პარლამენტში შეიქმნა ქართული ენის ქვეკომიტეტი. მაშინ იმედი მომეცა, რომ ქართული ენის პრობლემები მოგვარდებოდა. ამდენი წელია, ეს ქვეკომიტეტი არსებობს და არარანაირი საკანონმდებლო აქტი არ შეუმუშავებია. აგურ ექვსი თვეა, კანონი ენის შესახებ განსახილველად უდევს და არ განუხილავს... პირი-

ქით, განუხილავად მისი უკან გაწვევა მოსთხოვა პრეზიდენტის მხოლოდ სხვა კანონთა რედაქტირებისა და სტილური ჩასწორებისათვის ქვეკომიტეტი არ იყო საჭირო... მოდით, ასე შევხედოთ საკითხს: ჩვენ გვაქვს ქართული ენის სახელმწიფო კომისია, რომელსაც პრეზიდენტი თავკაცობს; ჩვენ გვაქვს სახელმწიფო სამსახური – ენის სახელმწიფო პალატა; ჩვენ გვაქვს პარლამენტში ქართული ენის ქვეკომიტეტი; ჩვენ გვაქვს... ვის ვუბრმავებთ თვალს? გამოდის, რომ ეს კეთდება იმისათვის, ვიღაცას ვუთხრათ: აი, როგორ ვზრუნავთ ქართულ ენაზე! სინამდვილეში რა ხდება? კომისიისა და ქვეკომიტეტის მუშაობის შედეგებზე ზემოთ მოგახსენეთ; საკანონმდებლო ბაზის უქონლობა პალატის მუშაობას, ფაქტობრივად, აჩერებს...

ასეთ ფონზე რამდენიმე დეპუტატის მცდელობა პარლამენტში კანონის განხილვის თაობაზე უიმედო ჩანს... სიტყვა პრეზიდენტზეა; ვნახოთ, რას იტყვის იგი.

ერთი ფაქტიც მახსენდება: ერთ-ერთი წინა მოწვევის პარლამენტში ბატონმა თენგიზ ბუაჩიძემ დეპუტატებს სწორი ქართულით საუბრისაკენ მოუწოდა და დარბაზიდან რეპლიკა ესროლეს: „რა დროს ქართული ენაა!...“ ეს ხმამაღლა ითქვა, მთელი საქართველოს გასაგონად და არავის გაუკიცხავს ის დეპუტატი... იგივე სული ხომ არ ტრიალებს დღევანდელ პარლამენტში?... ბატონი თენგიზი კი, საუბედუროდ, აღარ არის!...

– სამაგიეროდ პარლამენტში თუ პარლამენტს გარეთ უხვად არიან ისეთები, ქართულ ენას რომ უპირისპირდებიან...

– გახსოვთ, ალბათ, თქვენს გაზიერები გამოვეხმაურეთ ამ ფაქტს: დასავლეთზე ორიენტირებულმა (თუ დასავლეთიდან მართულმა) პროვინციალიზმში რომ დასბო ბრალი იმათ, ვინც ქართული ენის ინტერესებს იცავს; ასე თქვა: ქართულს ის იცავს, ვინც უცხო ენა არ იცისო... ვერაგული ნათქვამია: ე. ი. უვიცი ხარ, თუ ქართულს იცავო... აღარ გათავდა ამ ყველაფრის მცოდნეთა თვითნებობა და თავხედობა!...

მოდით, კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი დასავლეთისაგან მართულ ქართველთა „საგმირო“ საქმეებს:

არ არის საჭირო ეროვნებაო და ამოიღეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებიდან!



სავალდებულო არ არის ქართული ენის ცოდნაო და ებრძვის ან კანონს, რომელიც იურიდიულად პასუხისმგებელს გახდიდა სა-ქართველოს მოქალაქეს ქართული ენის წინაშე;

ილია და სხვანი ბანძები არიანო, გალაკტიონი სოფლელიაო, რაღა დროს ესენიაო...

გააფთრებით ებრძვიან ქართულ ცნობიერებას, მორალს, ზნეობას იაფფასიანი და უზნეო კინო-ტელეპროდუქციით;

შეურაცხყოფენ ჩვენს წარსულს, წმინდანებს!...

იბრძვიან მართლმადიდებლობის წინააღმდეგ შემართულ სექტანტთა უფლებების დასაცავად;

და სხვა... და სხვა...

- ბატონო გიორგი, არ უნდა ხდებოდეს ყოველივე ეს უანგა-როდ, „სიყრმესა შინა უმეცრებით“...

- სამწუხაროდ, ასეა. ამ ეკონომიკურად დაქცეულ ქვეყანაში იოლად იყიდება სული... მერე უცხოური ფონდები, გრანტები, ინ-სტიტუტები საკუთარ მშობელს აუგად მოგახსენიებინებს, ენას გა-გაწირვინებს და სულგაყიდულები ჰყიდიან ისტორიას, კულტუ-რას, ენას...

- ბატონო გიორგი, ყველა მათგანი ერთად რომ ნახოთ შეკრე-ბილი და ერთი შეკითხვის უფლება გქონდეთ, რას ჰკითხავდით?

- ასე რამ შეგამულათ საქართველო, ანდა ამდენს რას გიხ-დიან ამ სიძულვილში?

- ამდენი საუბრის შემდეგ, იქნებ, მაინც ვთქვათ, რა იყო ზე-მოხსენებული გადაცემის მიზანი და რა შედეგი მივიღეთ?

- მიზანი ჩემთვის მთლად ნათელი არ არის. შედეგი კი, ვფიქრობ, არცთუ სასიკეთოა: არ ბრუნავს საჩვენოდ წისქვილი; რომელზეც ვასხით წყალი... სხვისას ფქვავს, მტრისას!... ქართუ-ლის მტრისას!... ამიტომაც შოუ-პროგრამათა ავტორებს, ალბათ, მეტი ფიქრი მართებთ, გამუდმებით სხვის წისქვილზე წყლის და-სხმა რომ არ გამოგვივიდეს...

ესაუბრა თოსებ ჭუმბურიძე

* * *

როგორც ვთქვით, ყველა საკომისიო განხილვა ერთი და ომა-30 „სცენარით“ წარიმართებოდა. გამოითქმებოდა შენიშვნები და



„კეთილი სურვილებით“ უბრუნებდნენ „ენის პალატას“ უგადასაზღვრული მუშავებლად“, „დასახვეწად“, „გასაუმჯობესებლად“, „შენიშვნების გასათვალისწინებლად“... საქართველოს პრეზიდენტის წინაშე ყველა ცდილობდა „თავმოწონებას“...

დათქვამდნენ, ერთ თვეში შევიკრიბოთო და იკრიბებოდნენ ერთი წლის შემდეგ... მომავალ აპრილში...

ასე იყო მე-4 განხილვაზეც, 2001 წლის 12 აპრილს. ამ სხდომის საინტერესო ანალიზს გვთავაზობს ლევან ლინჯილია გაზეთ „ახალ ეპოქაში“ (20. 04. 2001) გამოქვეყნებულ ინტერვიუში. მოვიყვან რამდენიმე ფრაგმენტს: მასალა გადმოვტეჭდეთ ჟურნალში „ბურჯი ეროვნებისა“ (№3-4, 2001).

ლევანის საუბარმა გამახსენა ერთ-ერთ განხილვაზე გამოთქმული საწინააღმდეგო აზრი: „ენის კანონის“ მიღება ხელს შეუშლის ინვესტიციების მოზიდვას (უცხოელებს ქართული რეკლამები ექნებათ გასაკეთებელიო)...“

2001 წლის 12 აპრილს გაიმართა საქართველოს პრეზიდენტან არსებული სახელმწიფო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის სხდომა. დღის წესრიგში ერთი საკითხი იყო – განხილვა საქართველოს კანონის პროექტისა „სახელმწიფო ენის შესახებ“. პროექტის შესახებ სხდომას მოახსენა საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის თავმჯდომარემ ლევან ლვინჯილიამ. სხდომას თავმჯდომარებლად საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე. გაზეთ „ახალ ეპოქაში“ (20. 04. 2001). გამოქვეყნდა სოფიო თოდუას საუბარი ბ-ნ ლევან ლვინჯილიასთან, სადაც საუბარია ამ კანონ-პროექტის და ჩატარებული სხდომის თაობაზე (იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით).

* * *

„თავის დროზე ერთმა ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ აღნიშნა, რომ საქართველოს არ სჭირდებოდა კანონი ენის შესახებ. ამ მოსაზრებამ, ბუნებრივია, აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. სხვათა შორის, დღესაც ბევრი ფიქრობს, რომ ენის კანონის მიღება აუცილებელი არ არის. მე კი მგონია, რომ ამ კანონის მიღება არათუ აუცილებელია, დაგვიანებულიც კია. დამოუკიდებლობის მიღების პირველსავე წლებში ბალტისპირეთის სამსავე რესპუბლიკაში შე-

იქმნა შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურები და მიღებულ იქნა ეს კანონები სახელმწიფო ენის შესახებ. აღარაფერს ვამბობ ევროპის განვითარებულ ქვეყნებზე, სადაც ეს პრობლემა კარგა ხნის წინ მოაგვარეს. მაგალითად, საფრანგეთში ამგვარი სამსახური კულტურისა და ფრანკოფონიის სამინისტროსთან არსებობს – მას „ფრანგული ენის დელეგაცია“ ეწოდება, სადაც დაახლოებით 30 კაცი მუშაობს. რაოდენ საკვირველიც უნდა იყოს, საფრანგეთში კანონზე სახელმწიფო ენის შესახებ ზედამხედველობას აწესებს ფინანსთა სამინისტრო. ეს კი ნიშნავს, რომ ამ კანონის აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხები იმავდროულად გულისხმობს გარკვეული ფინანსური ურთიერთობების (ჯარიმის დაკისრება თუ სხვა სანქციები) გარკვევას. მეტიც, საფრანგეთის ყველა სამინისტროში შექმნილია ხუთ-ათ-კაციანი ჯგუფები, სადაც ამ კონკრეტული სამინისტროსა და დარგის შესაბამის ტერმინოლოგიაზე მუშაობენ. დამუშავებული მასალები იგზავნება „ფრანგული ენის დელეგაციაში“, იქ ხელახლა ხდება მათი შეჯერება და უკვე ამის შემდეგ იქცევა სავალდებულოდ ამ ტერმინების გამოყენება, რომლებიც ამა თუ იმ დარგში მკვიდრდება. რაც შეეხება კანონს „სახელმწიფო ენის შესახებ“, მას ხელს აწერენ საფრანგეთის პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, სახელმწიფო მინისტრი, განათლების მინისტრი, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრი და ფრანკოფონიის მინისტრი.

– თქვენ მიერ წარდგენილ კანონპროექტში რა დაიწუნა პრეზიდენტმა?

– შევარდნაძეს ეს კანონი არ დაუწუნებია. პირიქით, შესავალ სიტყვაში მან გარკვეული პოზიტიური დამოკიდებულება გამოხატა კანონპროექტის მიმართ. სიტუაცია დაპატა საქართველოს პარლამენტის სახელმწიფო ენის ქვეკომიტეტის თავმჯდომარის, ქალბატონ მანანა გიგინებშვილისა და კიდევ რამდენიმე სხვა ორატორის გამოსვლამ. არადა, ისინი ისეთ საკითხებზე კამათაობდნენ, რაც, ჩემი აზრით, საკამათო არ არის. ორი წლის წინათ, როდესაც პირველად განიხილებოდა პროექტი სახელმწიფო ენის შესახებ, პრეზიდენტმა კომისიის წევრებს დაავალა, წერილობითი სახით წარმოედგინათ თავიათი შენიშვნები. რამდენიმე გამონაკლისის გარდა, თავი არავის შეუწუხებია. დღეს კი სწორედ ეს

ხალხი აცხადებდა პრეტენზიას. რაც შეეხება მანანა გიგინეიშვილს, რანც სხდომის მოწვევამდე რამდენიმე კვირით ადრე მოგვაწოდა თავისი შეხედულებები კანონპროექტთან დაკავშირებით. საკმაოდ მწვავე რეცენზია დაწერა და შენიშვნებიც არ დაუშურებია, მაგრამ საქმე ისაა, რომ ქალბატონ მანანას დღეს ის პუნქტები და პარაგრაფებიც აღარ აკმაყოფილებს, რომლებიც ორი წლის წინათ მისი კატეგორიული მოთხოვნის შემდეგ გავითვალისწინეთ. ცხადია, იდეალური კანონი არ არსებობს, მაგრამ თუ ასე გაგრძენლდა, კანონს „სახელმწიფო ენის შესახებ“ ვერასოდეს მივიღებთ. მხატვრები ამბობენ, არ არსებობს დასრულებული ტილო, ფუნჯის ერთი მოსმა რომ არ შეიძლებოდესო. როდისმე ხომ უნდა დამთავრდეს პროექტზე მუშაობა?

– მანანა გიგინეიშვილმა უკმაყოფილება გამოთქვა „უცხო ენეზის“ განმარტებასთან დაკავშირებით, რასაც, რჩილად რომ ვთქვათ, საზოგადოების გარკვეული ნაწილის აღშფოთება მოჰვეა...“

– წინა პროექტში ეწერა, რომ „უცხო ენა“ კანონის მიხედვით ნიშნავს სახელმწიფო ენების (ქართული, აფხაზური) გარდა დანარჩენ სამწერლობო ენებს. ამ ტერმინმა სერიოზული დავა გამოიწვია, ამ განმარტების შედეგად, ბუნებრივია, რუსული, აზერბაიჯანული თუ სომხური ენები უცხო ენათა კვალიფიკაციას მიიღებს. ამან ქალბატონი მანანა ძალზე აღაშფოთა – მისი აზრით, ამით ჩვენ არაქართულენოვან მოსახლეობას ვეუბნებით, რომ ის ენა, რომელზედაც ისინი საუბრობენ, უცხო ენაა. ცოტა არ იყოს, უხერხულია, როცა რომელიმე გამგებელმა საერთოდ არ იცის ქართული და საქართველოს ხელისუფლებას რუსულად ელაპარაკება. არა მგონია, იმ რეგიონებში, სადაც არაქართველი მოსახლეობა კომპაქტურადაა დასახლებული, არ მოიძებნოს შესაბამისი კადრები. პირველსავე სიტყვაზე მოვიდეთ: რუსულად უცხო ენა – ინიციატიური კვეყნის ენას ნიშნავს. ჩვენ მაინც წავედით კომპრომისზე და „უცხო ენა“ კანონპროექტის თანახმად განვმარტეთ, როგორც ჩანს, ამგვარი განმარტებაც ბევრს ეხამუშება. სიტყვას აღარ გავაგრძელებ, იმდენი შეუსაბამო არგუმენტი იყო მოხმობილი. საბოლოოდ პრეზიდენტმა კანონპროექტის განხილვა ერთი თვით გადადო.

* * *

როგორც ზემოთ აღინიშნა, 2002 წლის 12 აპრილს ქართული ენის კომისიამ მეოთხედ განიხილა კანონპროექტი... დასამუშავებელი დაუბრუნდა ენის სახელმწიფო პალატას და იმავე წელს პალატის თავმჯდომარის ლევან ღვინჯილიას მონდომებით, როგორც იქნა გადაეცა პარლამენტს განსახილველად...

და დაიწყო 2002 წელი – ენის კანონის არსებობის ისტორიაში ყველაზე მძიმე პერიოდი...

* * *

მაშ ასე: კანონპროექტი პარლამენტშია. სახელმწიფო ენის კომისიაზე ყველა განხილვას ვესწრებოდი. ხელთა მაქვს პროექტის ბოლო ვარიანტი. გაზეთ „თბილისის“ რედაქტორი იოსებ ჭუმბურიძე საქმის კურსშია; ამ კანონს გულშემატკიცრობს.

ერთ დღესაც შეშფოთებულმა დამირევა – რადიოთი მოვისმინე ინფორმაცია: ენის კანონში ასეთი პუნქტი იქნება, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ეძლევა უფლება ხმათა უმრავლესობით მიიღონ გადაწყვეტილება სამუშაო ენის შესახებ.

იოსებ ჭუმბურიძეს, ცხადია, ჰქონდა საფუძველი. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ეძლეოდა უფლება. სახელმწიფო ენა ჩაენაცვლებინა ნებისმიერი ენით, რომელსაც გადაწყვეტდა. იცოდა, რომ ამ კანონის პროექტთან კავშირი მქონდა. დავამშვიდე იოსები, არაა-მეთქი მართალი, ასეთი რამ კანონში არ წერია-მეთქი...

– არაო, დაიუინა, – ნამდვილად ასე თქვა დეპუტატმა გელა კვარაცხელიამ. რადიოკომიტეტში თამაზ ხმალაძეს ვთხოვთ, გადაემოწმებინა, მოესმინა ჩანაწერი...

მართალი აღმოჩნდა, იოსების მოწოდებული ინფორმაცია ზუსტი იყო...

ლევან ღვინჯილიასთან გადავამოწმე; ვინ გითხრაო, დაინტერესდა... მივაწოდე წყარო ინფორმაციისა... გაიკვირვა, რა ალა-პარაკებდაო...

გაირკვა: მას შემდეგ, რაც კანონპროექტი სახელმწიფო ენის კომისიამ პარლამენტს გადაუგზავნა, სამეული კართული ენის

ქვეომიტეტის თავმჯდომარე მანანა გიგინეიშვილი, ენის სახელმწიფო მწიფო პალატის თავმჯდომარე ლევან ღვინჯილია, დეპუტატი გელა კვარაცხელია – პააგას წავიდნენ; წაიღეს ჩვენი კანონპროექტი...

და, როგორც ჩანს, „ჩამოიტანეს“ (გამოატანეს) ახალი ვარიანტი...

სასწრაფოდ მოვიძეთ ახალი ვარიანტი კანონპროექტისა. ფაქტის წინაშე აღმოვჩნდით: ქართული ენის სახელმწიფო კომისიის მიერ დამატებითი პუნქტები სახელმწიფო კომისიასთან შეთანხმების გარეშე (ეუთოს მოთხოვნითო!)... ახსნა-განმარტებას თავს არიდებდნენ... უპასუხოდ დარჩა კითხვაც: რის სანაცვლოდ მოხდა ეს? რა მივიღეთ ამ დათმობის სანაცვლოდ?...

სანამ საუბარს განვაგრძობთ, უურნალიდან „ბურჯი ეროვნებისა“ გადმოვხეჭდავთ კანონში ჩამატებულ ვარიანტს და მწერალთა კავშირის მიმართვას ამ საკითხის გამო:

* * *

„ჩვენმა მკითხველმა იცის, რომ საქართველოს პარლამენტში პროექტის სახით წარდგენილია „საქართველოს კანონი სახელმწიფო ენის შესახებ“; ისიც ცნობილია, რომ საზოგადოების განსაკუთრებული ვნებათაღელვა გამოიწვია კანონის მე10 და მე-12 მუხლების რამდენიმე პუნქტმა. გთავაზობთ სადაც პუნქტებს.

საქართველოს კანონი სახელმწიფო ენის შესახებ

მუხლი 10. საქართველოს მოქალაქეების უფლებათა გარანტი-ები ენის გამოყენების სფეროში

1. საქართველოს ყველა მოქალაქე ვალდებულია ამ კანონის შესაბამისად სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობა დაამყაროს სახელმწიფო ენაზე.

მუხლი 12. სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა საქმისწარმოების ენა

5. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო – საკურებულო უფლებამოსილია მისი სრული შემად-



გენლობის უმრავლესობით მიიღოს გადაწყვეტილება ამ კანონით დადგენილი წესით საკრებულოსა და მის დაქვემდებარებაში პრეზ- ბული შესაბამისი აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობაში, სა- ხელმწიფო ენასთან ერთად, ადგილობრივი მოსახლეობის უმრავ- ლესობისათვის გასაგები სხვა ენის გამოყენების შესახებ.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვე- ტილების მიღების შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველო- ბის ორგანოებს უფლება აქვთ:

ა). ჩაატარონ სხდომები და სხვა ზეპირი მოსმენები შესაბა- მის არასახელმწიფო ენაზე;

ბ). საკრებულოს იურისდიქციის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ ფიზიკურ პირთა ზეპირი ან/და წერილობითი ფორმით ოფიციალური ურთიერთობა დაამყარონ შესაბამის არასახელმწი- ფო ენაზე;

გ). შიდა სარგებლობის საქმისწარმოება განახორციელონ და შიდა სარგებლობის დოკუმენტაცია შეადგინონ შესაბამის არასა- ხელმწიფო ენაზე;

დ). სხვა სახის საქმისწარმოების მასალები და დოკუმენტა- ცია, რომელიც არ არის მითიოებული ამ პუნქტის „გ) ქვეპუნქტში, სახელმწიფო ენაზე შედგენის შემდეგ თარგმნონ და გამოაქვეყნონ შესაბამის არასახელმწიფო ენაზე“ („ბ. ე.“ №5-6, 2002).

სწორედ კანონის პროექტის ასეთი ვარიანტი გახდა მწერალ- თა კავშირის შეშფოთების მიზეზი და მან სასწრაფოდ მიმართა პარლამენტს:

„გამოვთქვამთ რა ჩვენს ღრმა პატივისცემას საქართველოს პარლამენტის მიმართ, თავს ვალდებულად ვთვლით, სწორედ პარლამენტს გავუზიაროთ ჩვენი მოსაზრება საქართველოს სახელ- მწიფო ენის კანონთან და კავშირით, განსაკუთრებით იმ „ცვლილებების“ გამო, რომელიც კანონპროექტში მოგვიანებით შეიტანეს საქმეში ბოლომდე ჩაუხედავ უცხოელ მრჩეველთა თუ ჩვენი ზოგიერთი ცნობილი, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ძვე- ლებურად მოაზროვნე თანამემამულის წყალობით.

გაუზიადებლად შეიძლება ითქვას, რომ ნებისმიერი ამგვა- რი „ცვლილება“, ადვილი შესაძლებელია, მსგავსად ბევრი აშკარად ანტიქართული და საქვეყნოდ გახმაურებული გამოხდომისა, შორ-

სგამიზნული პოლიტიკურ ავანტიურად და უაღრესად უცრაგულების იარაღად იქცეს ისევ ჩვენი სახელმწიფო ბრივი თავისთავადობის წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, სურთ თუ არა ეს „ობიექტურად განწყობილ“ ჩვენს თანამემამულეებს და უცხოელ მეგობრებს.

იმედია, საქართველოს პარლამენტი კვლავაც გამოიჩინს სა-თანადო პრინციპულობას, რადგან ამგვარი „რჩევების“, უფრო ზუსტად კი, ამგვარი კატეგორიული მოთხოვნების გათვალისწინება, ისევ და ისევ ლენინური ინტერნაციონალიზმის ტყვეობაში და-გვაბრუნებს მხოლოდ, რაც, უპირველეს ყოვლისა, სათუოს გახდის დამოუკიდებლობას; გასარკვევი გაგვიხდება, ღირსნი ვართ თუ არა საერთოდ დამოუკიდებლობისა, შეგვიძლია თუ არა ჩვენთვის საჭირობოთო საკითხების გადაწყვეტა სხვათა კარნახისა და რჩე-ვების გარეშე...

ამიტომ, ჩვენი აზრით, რაც შეიძლება სწრაფად და ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაირკვეს, ქართულ ენას კვლავაც ფორმა-ლურად აქვს ჩვენს კონსტიტუციაში სახელმწიფო ენის სტატუსი მინიჭებული, თუ როგორც ნებისმიერი სახელმწიფო ენა, ისიც ერ-თნაირად სავალდებულოა ქვეყნის ყველა მოქალაქისათვის.

პატივსიცემით,

საქართველოს მწერალთა
საერთო-ეროვნული კავშირი

14 მაისი, 2002 წ.

„ლიტერატურული საქართველო“, №20, 2002 წ.

* * *

გაზეთ „თბილისის“ რედაქტორმა ი. ჭუმბურიძემ გადაწყვიტა, სასწრაფოდ გამოექვეყნებინა ეს დამატება და სამსჯელოდ ექ-ცია...

ერთი საინტერესო ფაქტიც: კანონში შეტანილი დამატების გამო შექმნილი უკმაყოფილების ხმა მისწვდა ერთ ცნობილ (არ-ცოუ სახელიან) დეპუტატს – ცნობილ პიროვნებას და პარლამენტის სხდომაზე პირველმა მან გააქცირა ეს ამბავი...

ატეხა აჟიოტაჟი... როგორც ხდება ხოლმე, ასეთი ადამიანები ჩვეულებრივ იდეას უტეხნ სახელს... იდეას დისკრედიტაციას ახ-დენენ... ამით სარგებლობენ პასუხისმგებელი პირები და პროვოკა-

ციულ კითხვებს სვამენ: იმ „მავანის“ გვერდით დგახმობლის გრცხვენიაო?...

იოსებ ჭუმბურიძეს ვუამზე, რომ კომისიის სხდომაზე ამ კანონპროექტის დასაცავად კარგი სიტყვა თქვა მწერალმა თამაზ ჭილაძემ. იქნებ გვესარგებლა ამით და აღმოვჩნდებოდით „თამაზ ჭილაძის გვერდით“...

რედაციამ ჟურნალისტი თამარ შაიშმელაშვილი გაგზავნა თამაზ ჭილაძესთან – ეთხოვა კომენტარი პარლამენტში წარდგენილ კანონპროექტში შეტანილ ცვლილებათა შესახებ... ბ-მა თამაზმა ბრძანა, სანამ ინტერვიუ მომზადდებოდა, ლოგიკური იქნება ენის თემაზე „მნათობში“ გამოქვეყნებული ჩემი წერილი გადაბეჭდოთ და მერე მივაყოლოთ ინტერვიუ... ასეც მოხდა...

გაზეთ „თბილისში“ (2002 წ., №53) გამოქვეყნდა სადავო მუხლი კანონპროექტისა და თამაზ ჭილაძის ინტერვიუ (სახლა დავთმოთ თავისუფლება?"); ორივე მასალა გადავტეჭდეთ ჟურნალში „ბურჯი ეროვნებისა“ (2002 წ. №5-6).

ჟურნალის იმავე ნომერში გადმოვტეჭდეთ მწერალთა კავშირის მიმართვა პარლამენტისადმი... თამაზ ჭილაძის კრიტიკულ ინტერვიუს აქ არ მოვიყვანთ...

აქ გადმოვიტანთ მხოლოდ კანონში შეტანილ ცვლილებებს, რომლის განხილვამაც სერიოზული სახე მიიღო... და – კანონის თავგადაკლული დამცველები კანონის მოწინააღმდეგედ გვაქცია...

* * *

გაზეთ „თბილისში“ პუბლიკაციებმა და თამაზ ხმალაძის სა-ავტორო რადიოგადაცემამ „ენაი შემკული და კურთხეული“ ამ სახითათო ცვლილების შესახებ საზოგადოებრივი აზრის სწორი ორიენტაცია მოახდინა... რამდენიმე საინტერესო შეხვედრა-განხილვა მოხდა კანონპროექტში შეტანილი დებულებისა.

2002 წლის მაისის შუა რიცხვებში (თარიღს ვერ ვაზუსტებ) გაიმართა შეხვედრა-განხილვა აჭარის წარმომადგენლობაში (გალაკტიონის ქუჩაზე). შეხვედრას ჰამლეტ ჭიპაშვილი უძღვებოდა. პროექტს იცავდა ლევან ღვინჯილია... განხილვაზე მიგვიწვიეს

ჩვენც – „თბილისის“ რედაქტორი ი. ჭუმბურიძე და მუშავებულებისა“ რედაქტორი...

რამდენადაც ვიცი, ეს იყო პირველი საჯარო განხილვა ახლადშეტანილი ცვლილებისა. ვისაუბრეთ იმის შესახებ, რატომაა მიუღებელი და სახიფათო ეს ვარიანტი. სახელმწიფო ენა კონკრეტულ რეგიონში უთანასწორდება არასახელმწიფო ენას; არათუ უთანასწორდება, რეგიონული უმრავლესობის ენა სახელმწიფო ენაზე მაღლა დგება...

ქართული კარგავს თავის სტატუსს... ლევან ლვინჯილიაძე განმარტა, რომ ამ ცვლილების შეტანა საჭიროა, რომ კანონი მიიღონ. როცა დამტკიცდება ეს კანონი, ამ ნორმას მერე შევცვლითო (მოვხსნითო...)...

ცხადია, ვერ გავიზიარეთ შემოთავაზებული განმარტება: ამგვარი უფლების არმიღება უფრო იოლია, ვიდრე მინიჭებული უფლების ჩამორთმევა. დაშვებული ნების აკრძალვა შეუძლებელი იქნება... ცვლილების ავტორები არ იზიარებენ ამ პოზიციას, საზოგადოებისათვის მისაღებია ჩვენი ***.

* * *

იმხანად ჟურნალ „ბურჯი ეროვნების“ შემოქმედებით ჯგუფს შეხვედრა მოუწყვეს თსუ სიღნაღის ფილიალში. ჩანაწერი ამ შეხვედრის შესახებ იმჟამად გამოქვეყნდა, როგორც ინფორმაცია ამ შეხვედრის შესახებ:

* * *

„2002 წლის 23 მაისს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიღნაღის ფილიალში ახალგაზრდა შემოქმედთა წრის თაოსნობით გაიმართა შეხვედრა ჟურნალ „ბურჯი ეროვნებისას“ შემოქმედებით კოლექტივთან. შეხვედრას უძღვებოდა ახალგაზრდა შემოქმედთა წრის თავმჯდომარე თეაბეროზაშვილი. წრის წევრებმა (ელენე სალარიძემ, ნინო მანჯაფარაშვილმა, ივერი ოთარაშვილმა და სხვა) და უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა ისაუბრეს იმ პრობლემების შესახებ, რაზეც ძირითადად არის საუბრი ჟურნალში. განსაკუთრებული ინტერესი და ცხოველი კამათი გამოიწვია პუბლიკაციებმა სახელმწიფო ენის კანონის პროექტის შესახებ. შეკრების მონაწილეებმა



მხარი დაუჭირეს საქართველოს მწერალთა საერთო-ეროვნული კავშირის მიმართვას პარლამენტისადმი ამ საკითხთან დაკავშირებით.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ თსუ პროფესორები მათ ნათა-
ძე და ციური ახვლედიანი. შეხვედრა შეაჯამა ფილიალის რექ-
ტორმა, პროფესორმა გაიოზ ნადირაშვილმა. მასპინძლებს მადლო-
ბა გადაუხადეს და უურნალის პერსპექტივებზე ისაუბრეს თამაზ
ხმალამემ, იოსებ ჭუმბურიძემ და გიორგი გოგოლაშვილმა".

* * *

ამ შეხვედრას უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: საჭიროდ
მიგვაჩნდა საქმეში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩა-
რთულიყო: მის სიტყვას სხვა ძალა და მნიშვნელობა ჰქონდა. პრო-
ფესორი მაია ნათაძე უნივერსიტეტის დიდი საბჭოს წევრი იყო (მე
დიდ საბჭოში შემიყვანეს 2003 წელს). სიღნაღიდან თბილისამდე
ერთად ვიმგზავრეთ ჩემი მანქანით: ქალბატონმა მაია ნათაძემ, ცი-
ური ახვლედიანმა, იოსებ ჭუმბურიძემ და მე.

ქალბატონ მაიას დეტალურად გავაცანით საქმის ვითარება;
თავად ენათმეცნიერსა და პოლიტიკოსს არ გასჭირვებია მდგომა-
რობის სირთულეში გარკვევა... ვთხოვთ ეს საკითხი დაესვა
უნივერსიტეტის დიდ საბჭოზე და კანონპროექტის განხილვაში
ჩაერთო უნივერსიტეტი...

მომდევნო კვირაში დიდი საბჭოს სხდომა იყო დანიშნული.
ქ-ნმა მაიამ საბჭოს საქმის ვითარება აუხსნა, დაანახვა მოსალოდ-
ნელი საფრთხეები და სთხოვა რექტორს, ბატონ როინ მეტრეველს,
საბჭოზე განეხილათ ეს ვარიანტი კანონპროექტისა...

როგორც მოსალოდნელი იყო, საბჭო დაინტერესდა პრობლე-
მით; ბატონმა როინმა დაავალა ფილოლოგის ფაკულტეტის დე-
კანს, პროფესორ ამირან გომართელს, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი,
განეხილათ კანონპროექტი და მოემზადებინათ დასკვნა საბჭოსა-
თვის...

შეიქმნა სამუშაო ჯგუფი: პროფესორები – ამირან გომართე-
ლი, გიორგი წიბახაშვილი, ზურაბ ჭუმბურიძე, ავთანდილ არაბუ-
ლი, გიორგი გოგოლაშვილი...

დაინიშნა საჯარო განხილვის დღე – 2002 წლის 20 ოქტომბერი.
განხილვაზე მოწვეულნი იყვნენ პროექტის მხარდამჭერები, ქ-ნი



მანანა გიგინეიშვილი და ბ-ნი ლევან ღვინჯილია. სხდომაში საკუთარი იდ ხმაურიანად ჩაიარა.

შექმნილი განწყობის გასააზრებლად ერთ პასაუს გავიხსენებ. გამოსვლისათვის სიტყვა ითხოვა საზოგადოება „არაგველების“ თავმჯდომარემ. გამომსვლელმა სწორად შეაფასა ვითარება და პოზიციაც მართებული დაიჭირა. „არაგველის“ გამოსვლის შემდეგ სხდომის წამყვანმა სიტყვა მისცა პროექტის მხარდამჭერებს. სანამ გამომსვლელი ტრიბუნასთან მივიდოდა, დარბაზში ფეხზე წამოდგა მიხეილ ქურდიანი და ხმამაღლა განაცხადა: **არაგველების აზრი გავიგეთ, ახლა გველებს მოვუსმინოთო.** დარბაზი ახარხარდა და განსახილველი პროექტის მიმართ ისედაც ცუდად განწყობილი დარბაზში ვითარება კიდევ უფრო დამძიმდა...

ამ სხდომის შემდეგ მომზადდა დასკვნა და გადაეცა რექტორატს... დასკვნა გამოვაქვეყნეთ ჟურნალში „ბურჯი ეროვნებისა“ (2002 წ. № 7-8). აი, ეს დასკვნაც:

დასკვნა კანონპროექტზე საქართველოს სახელმწიფო ენის შესახებ

2002 წლის 29 ივნისს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა **საქართველოს სახელმწიფო ენის შესახებ კანონპროექტის** განხილვა. კანონპროექტის შესახებ განმარტება გააკეთა საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის თავმჯდომარემ **ლ. ღვინჯილიამ.** განხილვაში მონაწილეობა მიიღეს პროფესორებმა: გ. გოგოლაშვილმა, ნ. ქუთელიამ, მ. ნათაძემ, გ. წაბახაშვილმა, ზ. ჭუმბურიძემ, ტ. სიბარულიძემ, რ. მიშველაძემ, ა. არაბულმა და სხვ. განხილვისას გამოთქმული შენიშვნებისა და თვალსაზრისისების შეჯერება და დასკვნის ჩამოყალიბება დაევალა პროფესორებს: გ. წაბახიშვილის, ზ. ჭუმბურიძეს, ა. გომართელს, გ. გოგოლაშვილსა და ა. არაბულს. წარმოვადგენთ ამ დასკვნას:

მსჯელობა შეეხება **საქართველოს სახელმწიფო ენის შესახებ კანონპროექტის** იმ ვარიანტს, რომელიც განსახილველად არის წარდგენილი საქართველოს პარლამენტში.



ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის და განვითარების სამინისტრო

თავიდანვე კატეგორიულად ვაცხადებთ, ამ კანონპროექტის
წარმოდგენილი სახით საპარლამენტო განხილვა გაუმართლებელი
და საქმისთვის (საქმე კი უაღრესად მნიშვნელოვანია) საზიანოა,
რადგანაც:

1. ამ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის საპარლამენტო გან-
ხილვას წინ უნდა უძღვდეს საერთო-სახალხო განხილვა და გამო-
თქმულ მოსაზრებათა გათვალისწინება, რაც რატომდაც არ გაკეთ-
და.

2. კანონპროექტი დაუხვეწია, იგი შეიცავს არსებითი ხსი-
ათის თეორიულ-მეცნიერულ და პრაქტიკულ უზუსტობებს, რო-
მელთა და კანონებასაც შემდგომში მძიმე, და იქნებ გამოუსწორებე-
ლიც, შედეგები მოჰყვება. მაგალითად, ვერავითარ ლოგიკას ვერ
უძლებს „სახელმწიფო ენის“ და „არასახელმწიფო ენის“ ცნებათა
ახსნა, რომლებითაც იწყება კანონპროექტი. ამ „ახსნებში“ მხოლოდ
ერთი – მომხმარებლური – აზრი გამოსჭივის და სრულიად იგ-
ნორირებულია საკითხის ეროვნულ-კულტურული და ფსიქოლო-
გიური ასპექტები; არ არის გათვალისწინებული საერთაშორისო
ენობრივი მშენებლობის პრაქტიკისა და თეორიის საკითხები. ასე-
თი მიდგომა შეიცავს დაპირისპირებებისა და უარყოფითი ემოციე-
ბის სახიფათო მუხტს. ენების ამგვარი „დახარისხება“ მეცნიერუ-
ლად მცდარია და პრაქტიკულად უპერსპექტივო. ბოროტ მონაგო-
ნად უნდა ჩაითვალოს ვიდაცის მიერ შემოგდებული სიყალბე,
თითქოს საქართველოში მცხოვრებ არაქართველებს არ სურდეთ
ენის შესწავლა. სახელმწიფო ენის მდგომარეობის განმტკიცება შე-
საძლებელია მხოლოდ ამ ენის სწავლებისა და მისი სახელმწიფო-
ებრივი ფუნქციების დაცვით თვით სატიტულო ერის (ანუ ვისი
სახელითაც არის შექმნილი სახელმწიფო) მიერ განათლებაში, ეკო-
ნომიკაში, პოლიტიკაში, საშინაო და საგარეო ურთიერთობებში. ამ
საქმეში ადმინისტრირებას მხოლოდ უარყოფითი შედეგის მოტანა
შეუძლია.

3. მოქმედ კანონებში ცვლილებების შეტანა ყოველთვის
მტკიცნეულია საზოგადოებისათვის. სახელმწიფო ენის შესახებ კა-
ნონში კი მისი დამტკიცების შემდეგ ცვლილებების შეტანა სრუ-
ლიად დაუშვებელია, რადგანაც ნებისმიერი ცვლილება გახდება



დაპირისპირების მიზეზი. ენის კანონმა უნდა შექმნას პირობები სახელმწიფო ენის სრულფასოვანი და სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მაგრამ ისე, რომ არ მოხდეს სხვა ენების არა თუ სულყოფა, არამედ მისი თავისუფალი შეზღუდვა ისტორიის მიერ მათთვის ნაბოძებ ფარგლებში. ერთ სახელმწიფოში არსებულ ენათა ასეთი შეხამება სრულიად აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში ენათა პარმონიული თანაარსებობა და ურთიერთ კეთილი გავლენის ნაცვლად გაჩნდება მუდმივი ქიშპი, კონფრონტაცია, რაც ყველასთვის საბედისწერო აღმოჩნდება, ამ ე. წ. გლობალიზაციის ეპოქაში.

4 ამ სულისკვეთებით უნდა დაიხვეწოს კანონპროექტის ის მუხლები, სადაც ლაპარაკია ე. წ. „არასახელმწიფო“ (უვარგისი ტერმინია!) ენების ფუნქციონირების შესახებ.

პარლამენტში შესული კანონპროექტი საქართველოს სახელმწიფო ენის შესახებ ჯერ ძალიან შორს არის ასეთი პარამეტრებისაგან. ამიტომ იგი სერიოზულად უნდა გადაისინჯოს ყოველგვარი აჩქარებისა და უცხო ფაქტორების ზეგავლენის გარეშე.

იქამდე კი ჩვენ გვაქვს საქართველოს კონსტიტუციის მე-8 მუხლი სახელმწიფო ენის შესახებ და ისიც საკმარისია ქართული ენის ღირსეულად მოვლისათვის.

ნათქვამი არ ნიშნავს, რომ ჩვენ საერთოდ ენის შესახებ კანონის წინააღმდეგი ვართ. კანონი ენის შესახებ აუცილებლად საჭიროა, მაგრამ არა ასეთი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებული განხილვა კანონპროექტისა გადამწყვეტი აღმოჩნდა: დიდმა საბჭომ კომისიის დასკვნა დაამტკიცა და გადაუგზავნა პარლამენტს რექტორის, აკადემიკოს როინ მეტრეველის, თანმხლები წერილითურთ...

პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა ნოდარ ამაღლობელმა ტელევიზიით გააკეთა განცხადება, რომ თბილისის უნივერსიტეტის უარყოფითი დასკვნის საფუძველზე შეწყდა კანონპროექტის განხილვა და დაუბრუნდა უკან კომისიასო...

* * *

2002 წლის 26 ნოემბერს გაიმართა სახელმწიფო ენის კომისიის სხდომა პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის თავმჯდომარეობით...

სხდომის შთაბეჭდილებები გამოვაქვეყნე ჟურნალში „ბურჯი ეროვნებისა“ სათაურით: „ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა“.

სხდომაზე საკითხების სიმრავლე იყო. დამტკიცდა ქართული სალიტერატურო ენის ნორმები... შემდეგ... მივყვეთ ჟურნალში გამოქვეყნებულ შთაბეჭდილებებს:

* * *

„სხდომაზე თავდაპირველად ასეთი საკითხი მოვისმინეთ: „ქართული ენის სწავლების მდგომარეობის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში“. აღინიშნა, რომ ქართული ენის სწავლების მდგომარეობა (საგანმანათლებლო სისტემის ნებისმიერ ეტაპზე), თუნდაც უახლოეს წარსულთან შედარებით, მნიშვნელოვნად არის გაუარესებული: ეს გზა ქართული ენის დაღუპვის გზაა. სხდომაზე ითქვა, რომ ამ მოხსენების საფუძველზე პრობლემის მოსაგვარებლად მომზადდება საგანგებო დადგენილება. რა სახის იქნება ის, ვის რას დაავალდებულებს, როგორ აღუდგება წინ კატასტროფული სისწრაფით მიმავალ უკუსვლის პროცესს, – ეს ნათლად არ გამოკვეთილა. ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ ენის სახელმწიფო პალატის თავმჯდომარემ, ლევან ღვინჯილიამ და პარლამენტის ქართული ენის ქვეკომიტეტის თავმჯდომარემ, ქალბატონმა მანანა გიგინეიშვილმა მსჯელობა განვეხმარება გადაიტანეს სხვა თემაზე – სახელმწიფო ენის შესახებ კანონპროექტზე... იმის თქმა კი არ გვინდა, რომ ენის კანონი ნაკლებად პრობლემურია: უბრალოდ, დღის წესრიგში სხვა პრობლემები იდგა...“

ბატონმა ლ. ღვინჯილიამ ამ კანონპროექტთან დაკავშირებული კერძო თუ ზოგადი საკითხების თავისებური განხილვა მოაწყო. ოპონენტებთან ანგარიშწორებასაც ჰგავდა მისი გამოსვლა... უაღრესად ეროვნული, სამართლიანი და აუცილებელი იყო მწერალ თამაზ ჭილაძის გამოსვლა. ბატონმა თამაზმა ერთხელ კიდევ მიანიშნა, თუ რა გამოუსწორებელი პრობლემების წინაშე დაგვაყენებს კანონპროექტის ამ სახით მიღება.

ქალბატონმა მ. გიგინეიშვილმა კანონპროექტის შორინად მდეგეთა პოზიციის გაბათილება და გამწვავებული პრობლემების გაუბრალოება სცადა. მე-12 მუხლთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საქმე ეხება სოფლის საკრებულოებში საქმის წარმოების ენას. არადა, პროექტში სოფელი არ არის ნახსენები. გარკვევით წერია, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში საქმის წარმოების ენის საკითხს საკრებულო წყვეტსო: რაც, ცხადია, მხოლოდ სოფელს არ გულისხმობს.

კარგა ხნის წინათ, ოფიციალურად გამოცხადდა, ენის შესახებ კანონპროექტის განხილვის გადადება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან დასკვნის საფუძველზე მოხდაო (დასკვნა გამოჭერნდა ჟურნალში „ბურჯი ეროვნებისას“ №7-8, 2002 წ.). ქალბატონმა მ. გიგინეიშვილმა ამ დასკვნის გაუბრალოებაც სცადა: რამდენჯერმე გაიმეორა, რომ კანონპროექტი ფილოლოგიის ფაკულტეტზე განიხილეს და იქ, მირითადად, არაარსებით საკითხებზე იყო მსჯელობაო (მ. გიგინეიშვილი მოღალატედ გამოაცხადესო...); ჩანს, ქალბატონ მ. გიგინეიშვილს არ ჰქონდა სწორი ინფორმაცია. სამწუხაროდ, არ მოგვეცა საშუალება, კომისიის წევრებისთვის განგვემარტა, სინამდვილეში რა მოხდა, რა დასკვნა წარადგინა უნივერსიტეტმა პარლამენტში.

სინამდვილეში კი ასე იყო: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდ სამეცნიერო საბჭოზე პროფ. მ. ნათაძემ დასვა საკითხი, რომ უნივერსიტეტს მხარი დაეჭირა მწერალთა საერთო-ეროვნული კავშირის პოზიციისათვის ენის შესახებ კანონპროექტის თაობაზე. მწერალთა საერთო-ეროვნული კავშირის, მიმართვა პარლამენტისადმი „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა. უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიკოს რ. მეტრეველის აზრით, უმჯობესი იქნებოდა, უნივერსიტეტს გამოეთხოვა კანონპროექტი და მოეწყო მისი საჯარო განხილვა. დასკვნაც ამის საფუძველზე გამოეტანა. პარლამენტიდან მიღებული კანონპროექტის განხილვის ორგანიზება ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანს, პროფესორ ა. გომართელს დაევალა. 2002 წლის 29 ივნისს უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში გაიმართა კანონპროექტის განხილვა. განმარტებით კანონპროექტის თაობაზე გამოვიდა ენის პალატის თავმჯდომარე ლ. ღვინჯილია. განხილვაში მონაწილეობდნენ

უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები. გამოთქმული შენიშვნები ვნებისა და თვალსაზრისების შეჯერება და დასკვნის ჩამოყალიბება დაევალათ პრფესიონერებს გ. წაბახაშვილს, ზ. ჭუმბურიძეს, ა. გომართელს, ა. არაბულს და გ. გოგოლაშვილს. ეს დასკვნა გადაეგზავნა პარლამენტს; თანმხელებ წერილს ხელს აწერდა უნივერსიტეტის რექტორი, ბატონი რ. მეტრეველი. ასე რომ, ეს არის საუნივერსიტეტო განხილვის შედეგად მიღებული დასკვნა. კერძო პირებზე (მით უმეტეს, ქალბატონ მ. გიგინეიშვილზე, რომელიც განხილვას არ ესწრებოდა) არავის უსაუბრია...

ჩანს, ბატონი პრეზიდენტი არ იზიარებს კანონპროექტის მე-10 მუხლის ბოლო რედაქციას. მან გარკვევით აღნიშნა: მე ახლაც იმ აზრისა ვარ, რომ სახელმწიფო ენა ქვეყნის ყველა მოქალაქემ უნდა იცოდეს; ეს საჭიროა იმისთვის, რომ საქართველოს ყველა მოქალაქე, ეროვნების მიუხედავად, საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი იყოს. და კიდევ: ბატონმა პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ კანონის მიღების პროცესი ხელოვნურად არ უნდა დაჩქარდეს. კვლავ დავუბრუნდეთ ამ საკითხს, კარგად ვიფიქროთ და მივიღოთ სრულფასოვანი კანონი, რომელიც უპასუხებს ჩვენი ქვეყნის ინტერესებსაც და ევროპულ სტანდარტებსაც.

დიახ, ისეთი კანონი გვინდა, ჩვენი ქვეყნის ინტერესებს რომ უპასუხებს: თუ ასე არ იქნება, მაშინ ამგვარი კანონის საჭიროებაც არ იარსებებს – ეს აზრიც გამოითქვა ქართული ენის სახელმწიფო კომისიის სხდომაზე.

და 2002 წლის 28 ნოემბერს სახელმწიფო კომისიამ სხდომაზე კვლავ განიხილა ენის კანონის პროექტი და ისევ გადასცა პარლამენტს... არ ჩქარობდნენ განხილვას... ამასობაში მოხდა „ვარდების რევოლუცია“ და პროექტი დაიკარგა! დიახ, არაერთგზის მივაკითხეთ განათლებისა და მეცნიერების კომიტეტს (თავმჯდომარე ნ. გრიგალაშვილი) ამ კანონის თაობაზე. ვერ მოვიძიეთო, გვითხრეს, დაიკარგაო...

ფაქტობრივ, 2004 წელს ამ კანონის „გაქრობა“ იყო დასაწყისი იმ ბრძოლისა, რომელიც სამთავრობო პოლიტიკურმა ძალამ ღიად გამოუცხადა ქართულ ენას. მცირე ჩამონათვალი:



უმაღლესი განათლების კანონიდან ამოიღეს მუხლი „სწავლების შინაგანი განვითარების მიზანისთვის“ ენის შესახებ (დიდი ძალის ხმევით ეს პუნქტი დაბრუნდა კანონში...);

გააუქმეს ქართული ენის სახელმწიფო კომისია;

გააუქმეს ენის სახელმწიფო პალატა;

გააუქმეს ტელევიზიასა და რადიოში ყველა პროგრამა ქართული ენის შესახებ...

არსებობა შეწყვიტა ქართული ენის შესახებ ყველა გაზეთმა და ჟურნალმა;

გაუქმდა უმაღლეს სასწავლებლებში სავალდებულო საგანი „ქართული ენა“ (მეტყველების კულტურა);

პირველ კლასში დედაენის საათები გაუყვეს ინგლისურს... და სხვა...

როცა კითხვა დაისვა, რას ერჩოდნენ ქართულ ენას, ლომა-ია-საკაშვილის „განათლების რეფორმის“ ერთ-ერთმა თავკაცმა გიგი თევზაბეჭ „განმარტა“ – საქართველოს სახელმწიფო ენა ინგლისური უნდა გახდესო... ეს იყო გაცხადებული მიზანი დედაენისა-დმი დაპირისპირებისა...

აი, ამ ბრძოლას შეეწირა „კანონი ენის შესახებ“...

2011 წელს „ქართული ოცნების“ ენის კომისიაში იყო მშენებლობა „ენის კანონის“ შემოღების აუცილებლობაზე... ეს თემა საარჩევნო დოკუმენტებშიც აისახა.

საბედნიეროდ, 2012 წლის შემდეგ გაცოცხლდა მრავალნატანჯი იდეა „ენის კანონისა“. პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე ივანე კილურაძე ჩაუდგა სათავეში ამ საქმეს; მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში შეიქმნა კანონპროექტის შემმუშავებელი კომისია (აკადემიკოსები: თამაზ გამყრელიძე, მზექალა შანიძე, გუჩა კვარაცხელია, ავთანდილ არაბული, როინ მეტრეველი, ჯონი ხეცურიანი, ვაჟა შენგელია; პროფესორები: ლევან ღვიანჯილია და გ. გოგოლაშვილი)...

ურთულესმა ენობრივმა სიტუაციამ უკარნახა კომისიას, ამ ეტაპზე შემუშავებულიყო „კანონი სახელმწიფო ენის შესახებ“ (ხოლო საკანონმდებლო აქტი არასახელმწიფო ენების შესახებ ამის საფუძველზე და ექმნილიყო)...



კანონპროექტი 2013 წელს შევიდა პარლამენტში განსკმილა-
ველად... ისევ წინააღმდეგობები და 2015 წლის 15 ივნისს პარლა-
მენტმა მიიღო „კანონი სახელმწიფო ენის შესახებ“...

ვიფიქრეთ, დასრულდა ხანგრძლივი და უსამართლო ბრძო-
ლა ენის კანონის წინააღმდეგ; ვიზეიმეთ კანონის მიღება და იმე-
დით დაველოდეთ ამ კანონის ამოქმედებას...

მაგრამ, დაიწყო ახალი ეტაპი კანონის წინააღმდეგ ამხედრე-
ბული ძალებისა...

ამასაც ვიტყვით...

— რა მომავალი არ არის ამ კანონის შესახებ? — ისე ერთ ერთ ა-
მასაც ვიტყვით...

— ამ კანონის შესახებ და მის მიზანზე დამტკიცებული არის ამ კანონის ა-
მასაც მომავალი არ არის ამ კანონის შესახებ ამ კანონის ა-
მასაც ვიტყვით...

— ამ კანონის შესახებ არ არის ამ კანონის შესახებ? — ისე ერთ ერთ ა-
მასაც ვიტყვით...

— ამ კანონის შესახებ არ არის ამ კანონის შესახებ? — ისე ერთ ერთ ა-
მასაც ვიტყვით...

— ამ კანონის შესახებ არ არის ამ კანონის შესახებ? — ისე ერთ ერთ ა-
მასაც ვიტყვით...

— ამ კანონის შესახებ არ არის ამ კანონის შესახებ? — ისე ერთ ერთ ა-
მასაც ვიტყვით...

— ამ კანონის შესახებ არ არის ამ კანონის შესახებ? — ისე ერთ ერთ ა-
მასაც ვიტყვით...

— ამ კანონის შესახებ არ არის ამ კანონის შესახებ? — ისე ერთ ერთ ა-
მასაც ვიტყვით...

სარჩევი	
ს. გელაძე – ფრაზეოლოგიზმების (სიტყვებით -„სული, გონება“) ფრანგულ-ქართული კონტრასტული კვლევა	3
ა. გელოვანი – რამდენიმე კონცეპტუალური მეტაფორა საბუნებისმეტყველო დისკურსში.	10
თ. გუგუნავა – ფემინისტური ტენდენციების ლინგვისტური რეალიზაციის ზოგიერთი ასპექტი ვირჯინია ვულფის ნაწარმოებში: „ორლანდი: ბიოგრაფია“	23
ნ. დარასელია – ალუზიური მეტაფორები კიპლინგის მოთხოვაში მეტადაღურები	34
ი. დემეტრაძე – კონცეპტ „სინათლის“ მეტაფორული გავრცობა სხვადასხვა ენასა და კულტურაში	46
მ. ნებიერიძე – აკუსტიკურად ადეკვატური და ინტერპრეტირებადი შეტყობინებები TED Talk-ის მოხსენებებში	54
მ. რუსიეშვილი – უზუალური მეტაფორის სემანტიკურ-პრაგმატიკული მოდელი და კონცეპტუალური მეტაფორის ტიპოლოგია	63
ე. სადრაძე – ინსტრუქციათა ჟანრის ისტორიისა და ტიპოლოგიისათვის	72
ნ. შოშიაშვილი – პარალელური ანთროპონიმების ფორმობრივი ანალიზი	88



6. ჯოჯუა - დეიქტური სტრატეგიები მულტიმედიალურ რეკლამის ში.....	109
---	-----

მოგონებათა წიგნიდან

თეორია

გ. გოგოლი - კანონი ქართული ენის შესახებ (იდეიდან კანონამდე, ფაქტები, მოვლენები...).....	123
--	-----

ზოგიერთი მიზანი ენის შესახებ მიმდინარეობს 1993 წელს.

CONTENTS

S. Gueladze – A Contrastive Study of French and Georgian Phraseologisms Involving the Lexical Items for <i>Soul</i> and <i>Mind</i>	9
A. Gelovani – Some Conceptual Metaphors in the Discourse of Hard Sciences	22
T. Gugunava – Some Aspects of the Linguistic Realization of Feminist Tendencies in Virginia Woolf's <i>Orlando</i> : A Biography	33
N. Daraselia – Allusive Metaphors in Kipling's <i>The Gardener</i>	44
I. Demetradze – Metaphorical Extension of the Concept "Light" in Different Languages and Cultures	53
M. Nebieridze – Acoustically Adequate and Interpretable Messages in TED Talk Presentations	62
M. Rusie shvili – The Semantic-Pragmatic Model of a Dead Metaphor and a Typology of the Conceptual Metaphor	70
E. Sadradze – On the History and Typology of Instructional Genre	86
N. Shoshashvili – Formal Analysis of Parallel Anthroponyms	108
N. Jójua – Deictic Strategies in Multimodal Advertising	121
G. Gogolashvili – The Law on the Georgian Language (from the idea to the law: the facts and events)	123

